ლტოლვილთა ეფექტური ჩართულობა

მონაწილეობითი მიდგომები პრაქტიკოსებისთვის ადგილობრივ დონეზე

UNHCR
The UN Refugee Agency

MPG
MIGRATION POLICY GROUP

1 | სახელმძღვანელო

მადლობის სიტყვები

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა UNHCR-ის ევროპის რეგიონის ბიუროს დავალებით და შემუშავდა მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფთან თანამშრომლობით. მისი ავტორია კარმინ კონტე, რომელსაც მხარდაჭერას უწევდა ალექსანდერ ვოლფჰარტი მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფიდან. ტექნიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა UNHCR-ის მრავალპროფილური ჯგუფი. დასკვნები და კომენტარები მიღებული იქნა სახელმძღვანელოს საველე ტესტირებებში და შედეგების დამტკიცებაში მონაწილეებისგან ევროპის შვიდი ქვეყნიდან.

განსაკუთრებული მადლობა ეროვნულ კოორდინატორებს ბულგარეთიდან, ფინეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, მალტადან, პოლონეთიდან და სერბეთიდან:

ბისტრა ივანოვა (კოლექტივი „Multi Kulti“)

სარი ვანჰანენ (ფინეთის მიგრაციის ინსტიტუტი)

კონსტანტინოს ვლახოპულოს (ევროპული და უცხოური პოლიტიკის ბერძნული ფონდი - ELIAMEP)

გაია ტესტორე (დამოუკიდებელი მკვლევარი და კონსულტანტი)

ჟან-პიერ გოსი, ბეტანი ვილკსი და სონია მარკანტონიო (ფონდი „ადამიანები ცვლილებებისთვის“)

რენატა სტეფანსკა (მიგრაციის კვლევის ცენტრი, ვარშავის უნივერსიტეტი)

გორდანა გრუნჯიჩი და ვლადიმირ პეტრონიევიჩი (ორგანიზაცია „Grupa 484“)

კოლოფონი

ფოტოები:

© UNHCR/უილ სვონსონი

© UNHCR/ენდრიუ კაკკონელი

Shutterstock

დიზაინის ავტორი: dagmarvanschaik.nl

© UNHCR 2021

შინაარსი

1. წინასიტყვაობა 04

2. შესავალი 06

3. ინსტრუმენტების კრებულის სტრუქტურა 08

4. როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტების კრებული? 10

5. რა ძირითად საკითხებს გულისხმობს ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა? 12

5.1 გარკვევით იცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს – მათი საჭიროებები შეაფასეთ მუდმივად, იცოდეთ ხელმისაწვდომობის ბარიერები და შეიტანეთ ცვლილებები თქვენ მომსახურებებში გამოხმაურებების და რეგულარული შეფასების საფუძველზე

5.2 გაწეული დახმარება უნდა პასუხობდეს ყველას საჭიროებებს – თქვენი მომსახურებები მოაწყვეთ ისე, რომ სხვადასხვანაირ ჯგუფებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ერთი და იგივე დონის დახმარებაზე, მაგრამ ამასთანავე დახმარება იყოს მათზე მორგებული

5.3 მომსახურებები შექმენით გრძელვადიანი გათვლით – დანერგეთ ჩართულობის გრძელვადიანი ხედვა, რომელიც იმოქმედებს მიღების და თავდაპირველი ინტეგრაციის ეტაპის შემდეგაც

5.4 არამარტო იმუშავეთ ადამიანებისთვის, არამედ იმუშავეთ მათთან ერთად – ჩართეთ ლტოლვილები დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში. გაითვალისწინეთ მათი გამოხმაურება და ამყოფეთ ისინი ინფორმირებული

5.5 ჩართეთ ადგილობრივი ჯგუფები და ხელი შეუწყვეთ მოხალისეობას – მობილიზება გაუკეთეთ მიმღებ საზოგადოებაში არსებულ რესურსებს და ხელი შეუწყვეთ ნდობასა და პოზიტიურ იმიჯს

5.6 მიიღეთ ზომები რომ საინტეგრაციო და ჩართულობის დახმარება იყოს ყოვლისმომცველი – დაამყარეთ კავშირები და მოახდინეთ კოორდინაცია მომსახურებების სხვა გამწევებთან და შეავსეთ სისტემაში არსებული ხარვეზები

6. შემაჯამებელი პუნქტები ყოვლისმომცველი საინტეგრაციო და ჩართულობის ინიციატივის შესამუშავებლად 67

7. ინდიკატორები თქვენი საინტეგრაციო პრაქტიკის ხარისხის შეფასებისთვის 68

8. ტერმინთა განმარტება 72

9. გამოხმაურებები 75

1. წინასიტყვაობა

თუ როგორ განხორციელდება საქმიანობა ადგილობრივ დონეზე, შედეგები აქვს იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მოხდება ლტოლვილების ინტეგრაცია და ჩართვა საზოგადოებაში.

ლტოლვილთა დაცვის თვალსაზრისით ქალაქები ინოვაციის და კარგი პრაქტიკის აკვანის როლს ასრულებენ, რასაც ადასტურებს მათ მიერ აღებული ვალდებულება „ლტოლვილთა შესახებ გლობალური კომპაქტის“ შესრულების თაობაზე. მართლაც, თუ სად დაიდებენ ლტოლვილები ბინას და როგორ მოხდება მათი ჩართვა მასპინძელ საზოგადოებაში, დამოკიდებულია მერების, მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი ჯგუფების ხედვაზე, ურთიერთთანამშრომლობაზე და მონდომებაზე. ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება გულუხვ სოლიდარობას იჩენენ ლტოლვილების და მიგრანტების მიმართ მათი „გულში ჩახუტებით“ და მათ მიერ მდიდარი და მრავალფეროვანი წვლილის შეტანის უნარის აღიარებით. გარდა ამისა, ადგილობრივი საზოგადოებაც შეიძლება თანაგრძნობით განეწყოს იმ დევნის, დანაკარგების და კულტურული გაუცხოების მიმართ, რასაც ადგილი აქვს კონფლიქტის და ძალადობის გამო იძულებით გადაადგილებული ადამიანების მიმართ.

წინამდებარე სახელმძღვანელო შემუშავდა მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფთან ერთად და მიზნად ისახავს პრაქტიკული რჩევების მიცემას ადგილობრივი აქტორებისთვის ლტოლვილთა ჩართულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და მათ დამატებით მოტივირებას ამ მიმართულებით.

ამ ნაშრომით ჩვენ მიზნად ვისახავთ ისეთი ინსტრუმენტების კრებულის შექმნას, რომელიც ეყრდნობა მუნიციპალური ხელისუფლებების და ადგილობრივი აქტორების მიერ ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელებას, შესაფერისი საცხოვრისის, დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის და სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის უზრუნველყოფის სახით. ამ ღონისძიებებს საუკეთესო შედეგი მოაქვთ იმ შემთხვევაში, თუ მათ დაპროექტებასა და შემუშავებაში სრულყოფილად არიან ჩართული ლტოლვილები. ლტოლვილებს აქვთ უნარების ფართო სპექტრი, გამოცდილება და სურვილი, შეიტანონ წვლილი მათ ახალ საზოგადოებაში. ჩვენ ვიცით, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლტოლვილთა მონაწილეობა ხელს უწყობს მათი მხრიდან ნდობის ჩამოყალიბებას საბაზისო უფლებების განხორციელებაუნარიანობის მიმართ, ადგილობრივი საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობის და ნდობის გაჩენას. . მონაწილეობით მიდგომას შედეგად მოაქვს უფრო გააზრებული პოლიტიკა და უფრო შედეგიანი პროგრამები. თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთისგან განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფების ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფა ადვილი არ არის, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ლტოლვილთა საჭიროებების გათვალისწინებას პროექტირების პროცესში. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დახმარება ამ საქმეში.

ინსტრუმენტების კრებული ეფუძნება UNHCR-ის და ჩვენი პარტნიორების მიერ მონაწილეობითი მიდგომების გამოყენების ათწლეულების გამოცდილებას — და გარკვეულწილად ექსპერიმენტებსაც. ამასთან, მას კიდევ ერთი თავისებურება აქვს. ის პირდაპირ ეხმიანება იმ სირთულეებს, რომლებიც მერებს, ქალაქის მმართველებს და ადგილობრივი მომსახურების გამწევებს აქვთ ლტოლვილების და მიგრანტების მიღებისა და ჩართულობის მხრივ. ჩვენ გამოვიყენეთ ადგილად გასაგები ენა და კარგი პრაქტიკა, რომ წავახალისოთ ინოვაცია და კრეატიულობა. ასევე, შევიმუშავეთ ინდიკატორები პროგრესის გასაზომად, შედეგების შესაფასებლად და საჭიროებისდა მიხედვით საქმიანობაში კორექტივების შესატანად.

წინამდებარე ინსტრუმენტი შემუშავებულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, მომსახურების გამწევებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ლტოლვილთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ჩვენ ის სხვადასხვა ქვეყანაში და პირობებში გამოვცადეთ და შესაბამისად დავაკორექტირეთ. ჩვენ მოტივაციას გვიმაღლებდა ამ ინსტრუმენტის მიმართ გამოვლენილი ენთუზიაზმი და ჩართულობა. იმედი გვაქვს, ის გამოადგება პრაქტიკოსებს ნებისმიერ ადგილას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ის იქნება „ცოცხალი“ ინსტრუქცია, რომელიც დაგეხმარებათ კარგი პროექტების, გამოცდილების და ამ ინსტრუმენტის სამომავლო გამოყენების თაობაზე იდეების გაზიარებაში.

ჯილიან ტრიგგს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის თანაშემწე დაცვის საკითხებში

2. შესავალი

ახლადჩამოსული თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, მიგრანტების და მოქალაქეობის არმქონე პირების ჩართულობა პრიორიტეტი ხდება მერებისთვის, მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებისთვის, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებებისა და მომსახურებათა გამწევებისთვის. რადგან საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რეგულირების უფრო ზოგად საკითხებს ეხება, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე მოდის ამ რეგულაციების პრაქტიკაში აღსრულების და გამოსავლების პოვნის რთული ამოცანა. „ლტოლვილების შესახებ გლობალური კომპაქტის“ თანახმად, ინტეგრაცია და ჩართულობა სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხია — აქ მუნიციპალიტეტები, კერძო სექტორი და ადგილობრივი ორგანიზაციები გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ნოვატორებად და UNHCR-ის პარტნიორებად გვევლინებიან. თუ რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად განხორციელდება ადგილობრივ დონეზე ეფექტური ჩართულობის და ინტეგრაციის ამოცანა — გავლენას იქონიებს თავშესაფრის, განსახლების და სხვა გამოსავლების შესახებ სამომავლო გადაწყვეტილებებზე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე ეს ამოცანა სწორად შესრულდეს.

მართალია, 2015-16 წლებში ჩამოსული ადამიანების რაოდენობის პიკური ზრდის კვალდაკვალ იზრდებოდა ინტეგრაციის და ჩართულობის ღონისძიებების რაოდენობაც, ადგილობრივ აქტორებს და მუნიციპალურ ორგანოებს ნაკლებად თუ მიუწვდებათ ხელი პრაქტიკულ მითითებებზე იმასთან დაკავშირებით, როგორ შეიძლება მათი მომსახურებების და საქმიანობის მორგება თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, მიგრანტების და მოქალაქეობის არმქონე პირების სპეციფიურ მდგომარეობაზე და დაცვის საჭიროებებზე. როგორც საქმიანობის პროექტირების ეტაპზე, ისე შემდგომში მასში კორექტივების შეტანისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონაწილეობას. თუმცა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი ორგანიზება და შენარჩუნება რთულია. ლტოლვილებისა[1] და მიგრანტების სხვადასხვა საჭიროებების გამოვლენა ასაკის, გენდერის, კულტურის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის თუ სხვა ფაქტორების მიხედვით და ისეთი პროგრამების შექმნაა, რომლებიც უპასუხებენ ამ საჭიროებებს — საძნელო საქმეა, მაგრამ ისეთი, რომელიც ამად ღირს. წინამდებარე ინსტრუმენტების კრებული დაეხმარება ადგილობრივ აქტორებს თავიანთ ქალაქებში მონაწილეობითი მიდგომების დანერგვაში, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება ჰუმანიტარული და განვითარების აქტორების მიერ მასპინძელ საზოგადოებაში ჩართულობის და ინტეგრაციის პროგრამების შექმნის ათობით წლის განმავლობაში დაგროვებულ გამოცდილებას.

გარდა ამისა, ინსტრუმენტების კრებულის დანიშნულებაა, დაეხმაროს პრაქტიკოსებს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგების გააზრებაში და იმის განსაზღვრაში, როგორი პრაქტიკა შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად, შემდგომში მისი სხვა შემთხვევებში გამოყენების მიზნებისთვის. საქმიანობების დაგეგმვის, დაფინანსების, განხორციელების, შეფასების და (ქვეყნის გარეთ) მისი პოპულარიზაციის დროს „კარგი პრაქტიკა“ უკვე საწყის წერტილად ითვლება. მაგრამ რა უნდა ჩაითვალოს „კარგ პრაქტიკად“ ინტეგრაციის და ჩართულობის საქმიანობებში პრაქტიკული თვალსაზრისით — ამის მკაფიო გაგება არ არსებობს და არც მკაფიო კრიტერიუმებია, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს ახალი პროექტების შედგენა და განხორციელება, რომ მათი შედეგები იყოს მაქსიმალურად შედეგიანი.

---

[1] წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ტერმინ „ლტოლვილში“ ვგულისხმობთ ლტოლვილებს, დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე პირებს, თავშესაფრის მაძიებლებს და საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე სხვა პირებს, რომლებსაც აქვთ აქ მითითებული მომსახურებების მიღების უფლება.

მაკრო დონეზე რიგი საერთაშორისო კვლევების, აგრეთვე ცალკეული მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების სახით სიღრმისეულად არის გამოკვლეული ის სტანდარტები და სახელმწიფო პოლიტიკის ტიპები, რომლებიც ხელს უწყობს ინტეგრაციას. ასეთი კვლევის მაგალითია „ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმი“ (NIEM), რომელიც UNHCR-ს საპილოტე პროექტს და „მიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსს“ (MIPEX) ეფუძნება. მაგრამ მიკრო დონეზე, ინტეგრაციის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებს და დამფინანსებლებს არ აქვთ პრაქტიკული ინსტრუმენტების კრებული თუ როგორ განსაზღვრონ მოქმედების სწორი კურსი და როგორ შეაფასონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების სპეციფიური დაცვის და სოციალური საჭიროებებზე რეაგირების მხრივ. წინამდებარე ინსტრუმენტების კრებული სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად.

კერძოდ, გთავაზობთ დეტალურ **პრაქტიკული ინსტრუმენტების კრებულს და საკომუნიკაციო მასალებს**, რომლებიც ადგილობრივმა დაინტერესებულმა სუბიექტებმა შეიძლება გამოიყენონ პროექტირებისთვის, მონიტორინგისთვის, ბენეფიციარებისგან გამოხმაურებების მიღებისთვის და განხორციელებული საინტეგრაციო და ჩართულობის საქმიანობების შეფასებისთვის.

გარდა ამისა, წინამდებარე ინსტრუმენტების კრებულში მოცემულია ის **ძირითადი კრიტერიუმები**, რომელთა მეშვეობით შეძლებთ ინტეგრაციის და ჩართულობის საქმიანობებში **კარგი პრაქტიკის გამორჩევას**. სახელმძღვანელოს თითოეული თავში წარმოდგენილია კარგი პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც გამოვლენილი იქნა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა და წარმატების ფაქტორების მიხედვით, აგრეთვე მათი პოტენციალის მიხედვით, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლებოდეს გამოყენება სხვა ეროვნულ ან ადგილობრივ კონტექსტში, ასევე ზოგადად ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას.

3. ინსტრუმენტების კრებულის სტრუქტურა

წინამდებარე ინტეგრაციის ინსტრუმენტების კრებული ეფუძნება დღესდღეობით არსებულ საუკეთესო კვლევებს და სტანდარტებს მთელი ევროპიდან, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების და ცალკეული პრაქტიკოსების გამოცდილებას. კრებულში შედის ამოსაბეჭდი **სახელმძღვანელო**, სახელმძღვანელოს **ინტერაქტიული ონლაინ ვერსია**, ქულების ბარათი, **განმარტებითი ანიმაციური ვიდეო** და **ერთწუთიანი სარეკლამო ვიდეო.**

1

სახელმძღვანელოს ამოსაბეჭდი ვერსია

სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუმენტების კრებულის თეორიულ ნაწილს და მოიცავს საკითხავ და მულტიმედიურ მასალებს. ის მომსახურების გამწევებს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს სთავაზობს ზუსტ და მკაფიო ინსტრუქციას ლტოლვილთა ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის შემუშავებისთვის, რომელიც ექვსი ძირითადი საკითხისგან შედგება. სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს პრაქტიკოსებს წარმატებული სერვისების მიწოდებაში, რისთვისაც ის მათ აცნობს ჩართულობის სფეროში კარგ პრაქტიკად მიჩნეულ საქმიანობებს და ხერხებს.

2

სახელმძღვანელოს ონლაინ ინტერაქტიული ვერსია

სახელმძღვანელოს ინტერაქტიული ონლაინ ვერსია არამარტო მომხმარებელზე უფრო მეტად ორიენტირებული ვერსიაა, არამედ ის პრაქტიკოსებს სთავაზობს თვითშეფასების ჩამონათვალების შევსების და თითოეული თავის ბოლოს შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობას. სახელმძღვანელოს ბოლოს ამ ჩამონათვალების პასუხები და შენიშვნები ავტომატურად ჯამდება და პრაქტიკოსებს შეუძლიათ ნახონ დასკვნა უშუალოდ მათთან დაკავშირებით.

3

ქულების ბარათი

ონლაინ ხელმისაწვდომი **ქულების ბარათის** მეშვეობით პრაქტიკოსები გამოავლენენ კარგ პრაქტიკას ინტეგრაციის სფეროში, ქულების სისტემის საფუძველზე, რომელიც მომხმარებლისთვის იოლ ფორმატშია წარმოდგენილი.

4

განმარტებითი ანიმაციური ვიდეო

განმარტებითი ანიმაციური ვიდეო დამატებითი საშუალებაა, რომლითაც პრაქტიკოსები შეიძლება გაეცნონ სახელმძღვანელოში განხილულ ძირითად პუნქტებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვიდეო ვერ შეცვლის სახელმძღვანელოს. ის მხოლოდ ინფორმაციას იძლევა სახელმძღვანელოს თავებში წარმოდგენილი თემების შესახებ.

5

სარეკლამო ვიდეო

ერთწუთიანი სარეკლამო ვიდეოს მიზანია ინსტრუმენტების კრებულის პოპულარიზაცია, ასევე ის პრაქტიკოსებს აცნობს კრებულის ძირითად მიზანს და ამოცანებს.

წინამდებარე ინსტრუმენტების კრებული, რომელიც ინტეგრაციის სფეროს მუშაკების[1] დასკვნებისა და გამოხმაურებების საფუძველზე შემუშავდა, გამოცდილი იქნა შვიდ საპილოტე ქვეყანაში **(ბულგარეთი, იტალია, ფინეთი, საბერძნეთი, მალტა, პოლონეთი და სერბეთი)**. გარდა პილოტირებისა, პროცესი ითვალისწინებდა აგრეთვე ზემოაღნიშნულ ქვეყენებში სტაბილური ქსელების შექმნას იმ პრაქტიკოსებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებმაც სრულყოფილად იციან ეს კრებული და რეალურად იყენებენ მას თავიანთ პროგრამებში. ამ მეთოდის მიზანია, შვიდ საპილოტე ქვეყანაში „ტესტირების ეტაპის“ დამთავრების შემდეგ, ინსტრუმენტების კრებული ფართოდ დაინერგოს ევროპის რეგიონში და მთელ მსოფლიოში.

“ლტოლვილებს, პირველ რიგში, უნდა მოუსმინონ მათ საჭიროებებთან და მოლოდინებთან, მათთან მიმართებაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით და შეფასების ეტაპზე“

UNHCR-ის და MPG-ის ადგილობრივი პარტნიორი

[1] ბისტრა ივანოვა (კოლექტივი „მულტი კულტი“); გაია ტესტორე (მკვლევარი და კონსულტანტი); სარი ვანჰანენ (ფინეთის მიგრაციის ინსტიტუტი); ჟან-პიერ გოსი (ფონდი „ადამიანები ცვლილებებისთვის“); რენატა სტეფანსკა (მიგრაციის კვლევის ცენტრი, ვარშავის უნივერსიტეტი); ვლადიმირ პეტრონიევიჩ (ორგანიზაცია „Grupa 484“); კონსტანტინოს ვლახოპულოს (ევროპული და უცხოური პოლიტიკის ბერძნული ფონდი „ELIAMEP“).

4. როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტების კრებული?

ინტეგრაციისა და ჩართულობისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვის მიზნით, **ლტოლვილთა ინტეგრაციაზე მომუშავე პირებს ვთავაზობთ, სრულად გამოიყენონ წინამდებარე ინსტრუმენტების კრებულის ყველა კომპონენტი მათი საქმიანობების დაგეგმვის, კორექტირების და შეფასებისას.** მაშინაც კი, თუ აქ დასახელებული ყველა მიმართულება არ არის რელევანტური მათი პროექტების ან საქმიანობის სფეროსთვის, მათ მაინც შეუძლიათ გამოიყენონ ინსტრუმენტების კრებულის სხვა მიმართულებები, რომლებიც რელევანტური და აუცილებელია ლტოლვილებისთვის მომსახურებების გაწევისას.

ამ მიზნით ინსტრუმენტების კრებული გთავაზობთ **პრაქტიკულ ჩამონათვალებს, კარგ პრაქტიკას და ეტაპობრივ შეკითხვებს,** რომლებიც გამოგადგებათ ახალი საქმიანობების დაგეგმვა-შეფასებისას. ამ რესურსებს საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის სფეროში კარგი პრაქტიკის მტკიცებულებები, უფლებებით ეფექტური სარგებლობის პრინციპი და კულტურული ინტეგრაცია. ამასთანავე, ინსტრუმენტების კრებული გამოგადგებათ ინტეგრაციაზე და ჩართულობაზე მომუშავე ადგილობრივ ჯგუფებთან კომუნიკაციის და ინფორმაციის გავრცელების ინსტრუმენტის სახით.

პრაქტიკული ჩამონათვალები:

- თითოეული თავის ბოლოს **იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს** ლტოლვილების ინტეგრაციასა და ჩართულობაზე;
- **თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ საჭიროებები** და შესაძლებლობები და უკეთ **იურთიერთონ ლტოლვილებთან** თავიანთი საქმიანობების დროს;
- **დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენი მომსახურებები მოარგოთ ლტოლვილების საჭიროებებს და პოტენციალს** და ამის მიხედვით განახორციელოთ არსებული და ახალი პროექტები;
- დაგეხმარებათ იმის შეფასებაში, **რამდენად დგას თქვენი პრაქტიკა „სწორ რელსებზე“**:
  - თუ თქვენი პრაქტიკა აკმაყოფილებს ჩამონათვალში მითითებულ ყველა პუნქტს, ესე იგი თქვენი ორგანიზაცია სრულად იყენებს ინტეგრაციისა და ჩართულობისადმი ყოვლისმომცველ მიდგომას მოცემულ სფეროში;
  - თუ თქვენი პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ჩამონათვალში მითითებულ ზოგიერთ პუნქტს, ეს ნიშნავს, რომ თქვენმა ორგანიზაციამ უნდა გააუმჯობესოს ლტოლვილებისთვის განკუთვნილი შესაბამისი მომსახურების შინაარსი ან მისი მიწოდების ფორმა;
  - თუ თქვენი პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ჩამონათვალში მითითებულ არცერთ პუნქტს, მაშინ თქვენ სიღრმისეულად უნდა გადაიაზროთ თქვენი მომსახურებები და გაითვალისწინოთ წინამდებარე კრებულში მოცემული რეკომენდაციები თქვენი სერვისების შექმნისა და განხორციელებისას.

ამ ინსტრუმენტების კრებულში წარმოდგენილი **კარგი პრაქტიკა** შერჩეულია თითოეულ თავში დასახელებული ძირითადი კრიტერიუმების და ხუთი ზოგადი ინდიკატორის საფუძველზე (ამ ზოგადი ინდიკატორების სრული ჩამონათვალი იხილეთ 68-ე გვერდზე):

- **ჩართულობა და მონაწილეობა;**
- **აქტუალობა და ურთიერთშევსება;**
- **ეფექტურობა;**
- **მდგრადობა;**
- **პარტნიორობა და თანამშრომლობა.**

თვითშეფასების ცხრილები შეგიძლიათ იხილოთ ონლაინ სახელმძღვანელოში. ისინი მომსახურებების გამწევებს დაეხმარება თავიანთი პრაქტიკის შეფასებასა და მონიტორინგში, კერძოდ:

- პრაქტიკოსები შეძლებენ თავიანთი მომსახურებების შეფასებას;
- გამოავლენენ ხარვეზებს და გასაუმჯობესებელ საკითხებს მათ მიერ მომსახურებების გაწევისას;
- პრაქტიკოსებს აძლევს შესაძლებლობას, გაიაზრონ მათი არსებული და ახალი პრაქტიკა და დააწესონ მათზე რეგულარული მონიტორინგი;
- ჩამონათვალები შეიძლება გამოყენებული იქნას რესურსის სახით სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან ინტეგრაციის და ჩართულობის სტრატეგიებზე დისკუსიისა და აზრთა გაცვლის დროს.

ონლაინ **ქულების ბარათი** ადგილობრივ აქტორებს სთავაზობს მკაფიო კრიტერიუმებს კარგი პრაქტიკის გამოსავლენად. ის ადვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტია ინტეგრაციის და ჩართულობის საქმიანობების ქულებით შესაფასებლად.

ვისთვის არის ეს ინსტრუმენტების კრებული?

ეს ინსტრუმენტების კრებული განკუთვნილია:

- **ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და სერვისებისთვის;**
- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, მათ შორის ლტოლვილთა ხელმძღვანელობით მოქმედი ორგანიზაციებისთვის;**
- **რელიგიური ორგანიზაციებისთვის;**
- **საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;**
- **ბიზნეს სუბიექტებისთვის.**

ინსტრუმენტების კრებულის მიზანია, ინტეგრაციის მხრივ არსებული გამოწვევების ერთმანეთთან დაკავშირება და დანახვა ყოვლისმომცველი მიდგომით; ასევე, პრაქტიკოსი მუშაკების გაძლიერება. ის შეიძლება გამოიყენონ როგორც ორგანიზაციებმა, ისე ცალკეულმა პრაქტიკოსებმა, რომლებიც მომსახურებებს უწევენ ლტოლვილებს. მათ შეუძლიათ გამოიწერონ და გამოიყენონ ეს ინსტრუმენტების კრებული თავიანთი ორგანიზაციული კულტურის და სტრუქტურის შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის.

რისთვისაა ეს ინსტრუმენტების კრებული?

- **თვითშეფასება:** ლტოლვილთა ინტეგრაციაზე მომუშავე პირებს ამ ინსტრუმენტების კრებულის გამოყენება შეუძლიათ **საკუთარი პრაქტიკის უკეთ გასაანალიზებლად**, რის შემდეგაც მიღებული შედეგები შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს და იმსჯელონ მათზე შიგნით (თავიანთ ორგანიზაციებში) და გარეთ (პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის თვითონ ლტოლვილებთან). მათ რეკომენდაცია ეძლევათ, ეს ინსტრუმენტების კრებული გამოიყენონ მათ, როგორც მომსახურების გამწევის მიერ წარმოებულ ან როგორც დონორის ან ქვეკონტრაქტორის მიერ დაფინანსებულ **ყველა შესაბამის მომსახურებაში და პრაქტიკაში**. ამ მიზნით კრებული მოიცავს მომხმარებელზე ორიენტირებულ სახელმძღვანელოს, სადაც განმარტებულია ზემოაღნიშნული ანალიზის თითოეული ეტაპი და მოყვანილია ამ მიდგომის გამოყენების და მისი შედეგების მაგალითები.

- **თვითგააზრება და თვითგაუმჯობესება:** ინსტრუმენტების კრებულის გამოყენებით ადგილობრივ დაინტერესებულ სუბიექტებს შეუძლიათ თავიანთ პრაქტიკას შეხედონ „სხვა თვალით“ და დააფიქსირონ, რა მუშაობს კარგად და რისი გაუმჯობესება შეიძლება ლტოლვილებისთვის მათ მიერ მომსახურების გაწევის მხრივ. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ **ახალი საქმიანობები დაგეგმონ და ახალი საპროექტო წინადადებები შეიმუშაონ** ინტეგრაციისა და ჩართულობისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებით, მათი ორგანიზაციის მანდატში შემავალ სფეროებში. ამის ხელშესაწყობად ინსტრუმენტების კრებული გთავაზობთ **კარგი პრაქტიკის** მაგალითებს, რომლებიც ლტოლვილთა ინტეგრაციაზე და ჩართულობაზე მომუშავე დაინტერესებულ სუბიექტებს გამოადგებათ შთაგონების წყაროს სახით თავიანთ სამომავლო სამუშაოებსა და პროექტებში. აქ მოცემულია აგრეთვე **ბმულები** დამატებით რესურსებზე, საიდანაც შეგიძლიათ მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია შესაბამის თემებსა და პრაქტიკაზე.



5. რა ძირითად საკითხებს გულისხმობს ინტეგრაციისა და ჩართულობისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა?

ლტოლვილების ინტეგრაცია დინამიური და კომპლექსური ორმხრივი პროცესია, რომელიც ყოველი შესაბამისი პირისა და ყოველი ადგილობრივი საზოგადოების კონკრეტული საჭიროებების და შესაძლებლობების მიხედვით განისაზღვრება. ის მოითხოვს როგორც ადგილობრივი საზოგადოების, საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ ლტოლვილთა მიღებას და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ისე თავად ლტოლვილების მიერ ახალ გარემოში ადაპტირებას საკუთარ კულტურულ იდენტობაზე უარის თქმის გარეშე. როდესაც ლტოლვილები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ, თავდაჯერებულად და მიღებულად, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მოახდინონ ინვესტირება თავიანთ ახალ საცხოვრებელ ქვეყანაში და ღირებული წვლილი შეიტანონ მასპინძელ საზოგადოებაში. ადეკვატურ დახმარებას, მოტივირებას, ადგილობრივ კულტურაში გაშინაურებას და ახალი სოციალური გარემოს მიღებას ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ორივე მხარისთვის.

---

[2] UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტი, დასკვნა ადგილობრივ ინტეგრაციასთან დაკავშირებით no. 104: https://www.unhcr.org/excom/exconc/4357a91b2/conclusion-local-integration.html

ინტეგრაციის წარმატებული და ყოვლისმომცველი მოდელის თანახმად, ლტოლვილებისთვის მომსახურებების წარმატებულად გაწევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ექვსი რამ:

1. გარკვევით იცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს

მათი საჭიროებები შეაფასეთ მუდმივად, იცოდეთ ხელმისაწვდომობის ბარიერები და შეიტანეთ ცვლილებები თქვენ მომსახურებებში გამოხმაურებების და რეგულარული შეფასების საფუძველზე.

2. გაწეული დახმარება უნდა პასუხობდეს ყველას საჭიროებებს

თქვენი მომსახურებები მოაწყვეთ ისე, რომ სხვადასხვანაირ ჯგუფებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი დახმარებაზე, მაგრამ ამასთანავე დახმარება იყოს მათზე მორგებული.

3. მომსახურებები შექმენით გრძელვადიანი გათვლით

დანერგეთ ჩართულობის გრძელვადიანი ხედვა, რომელიც იმოქმედებს მიღების და თავდაპირველი ინტეგრაციის ეტაპის შემდეგაც.

4. არამარტო იმუშავეთ ადამიანებისთვის, არამედ იმუშავეთ მათთან ერთად

ჩართეთ ლტოლვილები დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში. გაითვალისწინეთ მათი გამოხმაურება და ამყოფეთ ისინი ინფორმირებული.

5. ჩართეთ ადგილობრივი ჯგუფები და ხელი შეუწყვეთ მოხალისეობას

მობილიზება გაუკეთეთ მიმღებ საზოგადოებაში არსებულ რესურსებს და ხელი შეუწყვეთ ნდობას და პოზიტიურ იმიჯს.

6. მიიღეთ ზომები რომ საინტეგრაციო და ჩართულობის დახმარება იყოს ყოვლისმომცველი

დაამყარეთ კავშირები და მოახდინეთ კოორდინაცია მომსახურებების სხვა გამწევებთან და შეავსეთ სისტემაში არსებული ხარვეზები.

5.1 გარკვევით იცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს

მათი საჭიროებები შეაფასეთ მუდმივად, იცოდეთ ხელმისაწვდომობის ბარიერები და შეიტანეთ ცვლილებები თქვენ მომსახურებებში გამოხმაურებების და რეგულარული შეფასების საფუძველზე.

საზოგადოებაში ლტოლვილთა ეფექტური ინტეგრაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი უნარებისადმი, შესაძლებლობებისადმი და საჭიროებებისადმი ყურადღების დათმობას. ეს აუცილებელია დაწყებული ნებისმიერი საქმიანობის თუ მომსახურების იდეის შემუშავების და დაგეგმარების ეტაპიდან დამთავრებული მისი საბოლოო განხორციელებით და შეფასებით. საინტეგრაციო მომსახურებები მიმართული უნდა იყოს ლტოლვილების გაძლიერებაზე, რომ აღჭურვოს და მოამზადოს ისინი გამოწვევებთან გასამკლავებლად, სტრესული სიტუაციების აცილების მიზნით სარისკო ქცევისგან თავის შესაკავებლად და მდგრადი გამოსავლისკენ მიმავალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

მომსახურებების გამწევებმა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა მათ მიერ შეთავაზებული დახმარების ღონისძიებები უნდა დაგეგმონ, განახორციელონ და განავითარონ ინტეგრირებული მიდგომით; მათ ხელი უნდა შეუწყონ ლტოლვილების მონაწილეობას პროგრამების და მომსახურებების დაგეგმვა-განხორციელებაში. საბოლოო ჯამში მათი მიზანი ლტოლვილების ისე გაძლიერება, რომ ეს უკანასკნელნი სოციალური გარემოს აქტიურ ნაწილად იქცნენ და დამოუკიდებლად შეეძლოთ ეკონომიკურ და სოციალურ რესურსებზე წვდომა.

რა დადებითი მხარეები აქვს გარკვევით ცოდნას იმისა, თუ რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს:

- ტოლვილებს გაძლიერებული აქვთ სოციალური და ეკონომიკური უნარები იმისათვის, რომ დამოუკიდებლად, ღირსეულად და მდგრადად დაიკმაყოფილონ თავიანთი მინიმალური საჭიროებები;
- ლტოლვილთა საინტეგრაციო საჭიროებები, უნარები, გამოწვევები და შესაძლებლობები უფრო სწორად არის გაგებული;
- სერვისები და სტრატეგიები კარგად არის მორგებული ლტოლვილთა კონკრეტულ საჭიროებებზე;
- ლტოლვილებს უფრო უკეთ შეუძლიათ გამოწვევების თავიდან აცილება, მათი გადალახვა და ზიანის შემდეგ აღდგენა;
- ლტოლვილები უფრო ნაკლებად არიან მოწყვლადი და ნაკლებად არიან ჰუმანიტარული და სხვა გარე დახმარების იმედზე.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

საჭიროებები შეაფასეთ მუდმივად: თქვენს მიერ მომსახურების გაწევა უნდა ეფუძნებოდეს საჭიროებების და ხარვეზების რეგულარულ და ყოვლისმომცველ შეფასებას; თქვენი საქმიანობა განიხილეთ რეგულარულად და შეიტანეთ კორექტივები შეცვლილი გარემოებების მიხედვით;

საჭიროებათა შეფასება სხვადასხვა წყაროს გამოყენებით: ლტოლვილთა საჭიროებები შეაფასეთ ყველა არსებული მონაცემების და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს საფუძველზე;

უბარიერო მომსახურებები: შეიმუშავეთ ისეთი სერვისები, რომლებშიც არ იქნება ენობრივი ბარიერი და ძნელად შესასრულებელი ადმინისტრაციული მოთხოვნები;

ადვილად მისაგნები და მიზნობრივი ინფორმაცია: თქვენი მომსახურებები გახადეთ მარტივად ხელმისაწვდომი. მიაწოდეთ ადვილად გასაგები ინფორმაცია თუ როგორ მიიღონ დახმარება;

ინდივიდუალურად მორგებული დახმარება, რომელიც გზას უხსნის გრძელვადიან ჩართულობას: გაუწიეთ ინდივიდუალურად მორგებული სარეინტეგრაციო მომსახურებები, რომელთა შედეგად ჩვეულებრივად ხელმისაწვდომი გახდება განათლება, შრომით ბაზარი, საცხოვრისი, ადგილობრივი ცხოვრება და ადგილობრივი საზოგადოება.

სამახსოვრო ჩამონათვალი რომ გარკვევით ვიცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილს

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ გარკვევით ვიცოდეთ, რა დახმარება ესაჭიროება ლტოლვილებს.

- საინტეგრაციო სტრატეგიების და გასაწევი მომსახურებების დაგეგმვამდე **გაანალიზეთ ყველა არსებული ინფორმაცია** ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ლტოლვილებთან გასაუბრების გზით (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ძირითადი საკითხი 4); შეაფასეთ ლტოლვილთა ინტეგრაციის შედეგების მხრივ გამოკვეთილი ტენდენციები;

- **განსაზღვრეთ ინტეგრაციის საჭიროებები, აგრეთვე შესაძლო ახალი გამოწვევები,** რომლებიც დაკავშირებული იქნება თქვენი მომსახურებების მიწოდებასთან. მაგალითად, კოვიდ 19-ის პანდემიამ ახალი პრობლემები შეუქმნა სერვისების მიმწოდებლებსაც და ლტოლვილებსაც (მაგალითად კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემები დისტანციური საინტეგრაციო ტრეინინგების დროს);

- **მოახდინეთ მომსახურებების, გეგმების და სტრატეგიების კორექტირება** ახალი საინტეგრაციო საჭიროებების და გამოწვევების მიხედვით. მოიპოვეთ ლტოლვილების მოსაზრებები და წაახალისეთ ღია ატმოსფერო და კარგი ურთიერთობები, რათა შეგეძლოთ ახალი და ხშირად თვალისგან დაფარული საინტეგრაციო საჭიროებების დანახვა და შეფასება (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ძირითადი საკითხი 4.4);

- **გამოარკვიეთ ინტეგრაციის პრობლემების გამომწვევი მიზეზები** და აღმოფხვერით დისკრიმინაცია და დაბრკოლებები, რომ მომავალში თქვენი საქმიანობა უფრო ეფექტური იყოს. ეს მიზეზები შეიძლება დაკავშირებული იყოს ადგილობრივი საზოგადოების პრაქტიკასთან, ინსტიტუციურ მიკერძოებასთან ან სტრუქტურულ ბარიერებთან;

- **განიხილეთ, როგორ გააძლიეროთ ლტოლვილების მიერ თავიანთი საინტეგრაციო საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობები და სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის შესაძლებლობებზე წვდომა.** ლტოლვილებს და მათ წრეებს აქვთ გარკვეული უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ. თუ კარგად გეცოდინებათ მათი შესაძლებლობები, თქვენ უფრო მეტად შეძლებთ იმის განსაზღვრას, როგორ შეიძლება მათი გამოყენება და გაძლიერება;

უზრუნველყავით თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით **საჩივრების და გამოხმაურებების მიღების შესაძლებლობა**, რისთვისაც შექმენით გამოხმაურებების დამოუკიდებელი მექანიზმი (მაგალითად, შეიძლებოდეს ანონიმური წერილობითი გამოხმაურებების წარდგენა სპეციალური ყუთების მეშვეობით, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება დისტრიბუციის ადგილებში, ჯანდაცვის ცენტრებში, სკოლებში და სხვა);

იცოდეთ, რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი სერვისები და ის შესაძლო **დაბრკოლებები**, რომლებიც ლტოლვილებს შეიძლება შეხვდეთ ამ სერვისების წვდომის დროს;

გაითვალისწინეთ რელიგიური საჭიროებების მრავალფეროვნება და იზრუნეთ ენობრივი და კულტურული ბარიერების მოხსნაზე, რომლებიც შეიძლება ხელს უშლიდეს თქვენს მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას; მაგალითად, მასალები მიაწოდეთ რამდენიმე ენაზე და სხვადასხვა ფორმატში ან უზრუნველყავით თარჯიმნის მომსახურება საკონსულტაციო და საორიენტაციო სერვისების მიწოდებისას;

გააუქმეთ რთულად შესასრულებელი დოკუმენტების მოთხოვნა, რომელიც დაწესებულია თქვენი მომსახურებების მისაღებად და ითვალისწინებს ისეთ წესებს და პირობებს, რომლებსაც ახალმოსულები ფაქტიურად ვერ შეასრულებენ;

იკისრეთ ხიდის როლი და რეგულარულად გაუზიარეთ ინფორმაცია, რათა ლტოლვილები არ დარჩნენ ინფორმაციის გარეშე თქვენი მომსახურებების შესახებ.

ლტოლვილების დახმარება მომსახურებებზე ხელმისაწვდომობაში: კარგი პრაქტიკის მაგალითები

ინდივიდუალურად მორგებული დახმარება, რომელიც გზას უხსნის გრძელვადიან ჩართულობას

ფინეთში მიმღებ მუნიციპალიტეტში ახალმოსულებისთვის ეწყობა სპეციალური სერვისებიდან ჩვეულებრივ სერვისებზე „გადასვლის“ შეხვედრები. კერძოდ, კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ (3 წელი), რომლის განმავლობაშიც ლტოლვილები იღებდნენ სპეციალურ სერვისებს, ტარდება ეს „გადასვლის“ შეხვედრა, რომლის დროსაც შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს მიეწოდება ძირითადი ინფორმაცია ლტოლვილების მდგომარეობის შესახებ (მაგ, სპეციალური საჭიროებების თაობაზე და სხვა), რათა ხელახლა არ გახდეს საჭირო ამ ინფრომაციის შეკრება. ამის მიზანია, აღარ მოხდეს „სპეციალური სერვისების“ გაგრძელება თავდაპირველად ინტენსიური ან სპეციალიზებული სამუშაოების გაწევის შემდეგ. ამ პრაქტიკის იდეაა ლტოლვილების მომზადება და დახმარება იმისათვის, რომ ისინი იქცნენ მუნიციპალიტეტის ჩვეულებრივ მაცხოვრებლებად, ისევე როგორც ფინეთის მოქალაქეები, რისთვისაც მათთვის იქმნება უსაფრთხო და დაცული გარემო და საზოგადოება ახდენს მათ შეთვისებას ისე, რომ შეუძლიათ ჩვეულებრივი ცხოვრება ჰქონდეთ.

პოლონეთში ქალაქ ლუბლინში არსებული „საოჯახო დახმარების ცენტრები“ ლტოლვილთა ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებია, რომლებიც რეგულარულად ფინანსდება ევროკავშირის მიერ. ლტოლვილს შეუძლია იქირავოს ქალაქის საკუთრებაში არსებული 3 ბინა ბინით უზრუნველყოფის საქალაქო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მუნიციპალური ოჯახის დახმარების ცენტრი ლუბლინში. მუნიციპალური ბინებით უზრუნველყოფა უცხოელებს ეხმარება განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში და ამზადებს მათ ადგილობრივ საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

თურქეთში სტამბოლის დედაქალაქის მუნიციპალიტეტი იყენებს მიდგომას, რომ ლტოლვილები ჩართული იყონ სხვადასხვა მომსახურების გაწევაში, როგორიცაა სოციალური მომსახურებები, საარსებო წყაროების წარმოქმნა, გაძლიერება და მონაწილეობა. ქალთა გაძლიერების ცენტრი, საუბნო სახლები და Yuvamız Istanbul-ის (სტამბოლი ჩვენი სახლია) საბავშვო ბაღები თავიანთ მომსახურებებს თანაბრად უწევენ როგორც ლტოლვილებს, ისე მასპინძელი საზოგადოებების წევრებს. ასევე ლტოლვილებს შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალიტეტის პროფესიული გადამზადების ცენტრების და დასაქმების სამსახურების მომსახურებებით. გარდა ამისა, პანდემიური ღონისძიებების ფარგლებში UNHCR დაეხმარა ISMEK-ს (დედაქალაქის მუნიციპალური სახელოვნებო და პროფესიული გადამზადების კურსები) თავისი კურსების გაციფრულებაში. ISMEK-ის პროფესიული გადამზადების ცენტრი ლტოლვილებს სთავაზობს რამდენიმე დასწრებულ სასწავლო მოდულს არაბულ ენაზე, მათ შორის თურქულის კურსი უცხოელებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სოციალური ერთობა. სტამბოლის საქალაქო საბჭო, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ჩართულობის პლატფორმას, ამჟამად ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის ფარგლებში ლტოლვილები თავიანთ რჩევებს და გამოხმაურებას მიაწვდიან მუნიციპალიტეტს.

საჭიროებები შეაფასეთ მუდმივად

ბულგარეთში 2017 წელს დაფუძნდა „Humans in the Loop“ (HITL - „ინფორმირებული ადამიანები“) — წარმატებული სოციალური საწარმო, რომლის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების გაძლიერება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში მათთვის სწავლებისა და დასაქმების შეთავაზების გზით. HITL აქტიურად ახდენს ბენეფიციარების საჭიროებებისა და გარემოებების შეფასებას. კერძოდ, შესაძლო საჭიროებების და გამოწვევების გამოვლენა ხდება უწყვეტი შეფასების პროცესით, რომელიც წლის ყოველ კვარტალში ტარდება. მაგალითად, ბენეფიციარებს უტარდებათ გამოკითხვა მათი შრომითი პირობების შესახებ, აგრეთვე თუ როგორი პირადი გამოცდილება და კარიერული წინსვლა ჰქონდათ HITL-ის სასწავლო / გადამზადების პროგრამებში და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობის შედეგად. ამისთვის HITL იყენებს მარტივ კითხვარებს. მიღებული გამოხმაურებები ანალიზდება და ინერგება ცვლილებები სწავლისა და მუშაობისას ბენეფიციარების ახალი საჭიროებების და შესაძლო დაბრკოლებების გათვალისწინებით. ეს კითხვარები შეიცავს დამატებით სექციას, რომელშიც ბენეფიციარს შეუძლია დააფიქსიროს პრეტენზიები მისი პირადი გამოცდილების საფუძველზე ისე, რომ არ გაამხილოს თავისი ვინაობა. გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს და მათზე ანგარიშს ადგენს სოციალური გავლენის განყოფილება, რომელიც ბენეფიციარების მიერ დასახელებულ ყველა საკითხს განიხილავს შესაბამის საკითხზე პასუხისმგებელ პირთან ან განყოფილებასთან.

საბერძნეთში ქალაქ კარდიცას განვითარების სააგენტო (ANKA) ახორციელებს პროგრამებს და პროექტებს კარდიცას რაიონის როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში. ამ პროცესში ის ხელმძღვანელობს ლტოლვილებისგან მიღებული გამოხმაურებებით. მაგალითად, ANKA-მ ჩამოაყალიბა ფოკუს ჯგუფები ქალაქ კარდიცაში მცხოვრები ლტოლვილთა თემის წარმომადგენლებისგან. ეს ფოკუს ჯგუფები აგროვებენ გამოხმაურებებს ANKA-ს საქმიანობების და პროექტების შესახებ, ლტოლვილებსა და მიგრანტებს რთავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ისმენენ მათ შეხედულებებს.

პოლონეთში ასოციაცია „დედამიწისთვის“ მცირე ზომის საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს ლტოლვილთა ინტეგრაციას პოლონეთის ერთ-ერთ ლტოლვილთა ცენტრში. მისი ყველა საქმიანობა წინასწარ გადის კონსულტაციას ლტოლვილებთან. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხშირად ახორციელებს გარკვეულ საქმიანობებს ლტოლვილთა მოთხოვნით, მაგალითად, შეხვედრა დიეტოლოგთან, ველოსიპედის ტარების სწავლება, ფულის შეგროვება ბავშვებისთვის სათვალეების ან კომპიუტერების საყიდლად (რომლებიც ბავშვებს დასჭირდათ კოვიდ 19-ის პანდემიის დროს).

ადვილად მისაგნები და მიზნობრივი ინფორმაცია

ბულგარეთში სოფიას განვითარების ასოციაცია (SDA) არის მუნიციპალური ფონდი, რომელმაც 2021 წლის სექტემბერში სოფიაში პირველად გახსნა „ინფორმაციისა და სერვისების ბიურო“ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ეს არის ფიზიკური სივრცე სოფიას ცენტრში, რომელიც საინფორმაციო და საინტეგრაციო მომსახურებებს უწევს სოფიაში მცხოვრებ მიგრანტებს და ლტოლვილებს. ბიურო გახლავთ ერთობლივი ინიციატივა SDA-ს, სოფიას მუნიციპალიტეტის, UNHCR-ის, ბულგარეთის წითელი ჯვრის და 13 არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით, რომლებიც ლტოლვილთა და მიგრანტთა სფეროში საქმიანობენ. ბიუროს ერთ-ერთი მიზანია თანაბარი და ადვილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეთავაზებულ სერვისებზე ყველა სხვადასხვა ჯგუფისთვის და მათთვის დახმარების გაწევა ადგილობრივად. ინიციატივაში ჩართული ყველა პარტნიორი ორგანიზაცია ლტოლვილებს და მიგრანტებს აწვდის ადვილად გასაგებ ბუკლეტს სხვადასხვა ენაზე — ინგლისურად, არაბულად, სპარსულად, პაშტოზე და სხვა ენებზე. გარდა ამისა მომავალში ხელმისაწვდომი იქნება ვებგვერდი, სადაც ბიუროს სერვისები განთავსდება საჯაროდ. შესაბამისი ინფორმაცია რეგულარულად გავრცელდება სოციალური ქსელებითაც. ბიურო მუშაობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში და SDA-მ ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ქალაქ სოფიას მუნიციპალიტეტთან კიდევ 4 წლის ვადით, რაც ითვალისწინებს პროექტის მდგრადობას ამჟამინდელი დაფინანსების ამოწურვის შემდეგაც.

პოლონეთში „კრიზისული ინფოხაზის“ მეშვეობით იმიგრანტებს შეუძლიათ ტელეფონით ან ელფოსტით სწრაფად მიიღონ ინფორმაცია გდანსკში არსებული დახმარების სერვისების შესახებ. ინფორმაცია რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი. დახმარების ხაზი ამოქმედდა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც ეხებოდა კოვიდ 19-ის ეპიდემიის შედეგად იმიგრანტების ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს.

უბარიერო მომსახურებები

ფინეთში ქალაქი ჰიამიენლინა ქალაქში მცხოვრები, ასევე ფინეთში მყოფი იმიგრანტებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას პრაქტიკის, წესების და მომსახურებების შესახებ აწვდის ვებგვერდის MyIntegration.fi მეშვეობით. ვებგვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ფინურ, ინგლისურ, არაბულ, სომალის და რუსულ ენებზე. ვებგვერდის კონტენტი ხელმისაწვდომია აგრეთვე მოსასმენ ფორმატში და მისი მოსმენა შესაძლებელია ReadSpeaker-ის მეშვეობით ფინურად, ინგლისურად, არაბულად და რუსულად. ინფორმაცია მომზადებულია თავად იმიგრანტების მიერ, რომლებსაც უკეთ შეუძლიათ განჭვრიტონ სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები და უპასუხონ ამ საჭიროებებს. გარდა ამისა, ვებგვერდი მკითხველს აძლევს სხვადასხვა ენაზე გამოხმაურების დაწერის საშუალებას. ვებგვერდზე არსებული ბლოგის მეშვეობით შესაძლებელია ასევე მოხალისეების და იმიგრანტების მიერ შექმნილი კონტენტის წაკითხვა, სადაც ისინი სხვებს უზიარებენ თავიანთ საინტეგრაციო გამოცდილებას. ვებგვერდის ადმინისტრატორები მუდმივ კავშირზე არიან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და მომსახურებების გამწევებთან, რომ კონტენტი მუდმივად განახლებული იყოს.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

OECD, ვიმუშავოთ ერთად მიგრანტების და ლტოლვილების ადგილობრივი ინტეგრაციისთვის, 2018წ., OECD-ის გამომცემლობა, პარიზი.

ამ ანგარიშში აღწერილია, რა არის საჭირო ადგილის მიხედვით ინტეგრაციის მიდგომის შემუშავებისთვის, რაც ითვალისწინებს ხელისუფლების სხვადასხვა დონეების, აგრეთვე სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების ძალისხმევის გაერთიანებას. ანგარიშში წარმოდგენილია 12 პუნქტიანი ჩამონათვალი, ინსტრუმენტების კრებული, რომელიც ნებისმიერ ქალაქს და რეგიონს ევროპაში, OECD-ში ან სხვაგან შეუძლია გამოიყენოს ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე და ადგილობრივ აქტორებთან სამუშაოდ მიგრანტების უფრო ეფექტური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

PandPAS, პროგრამები ჩამოსვლამდე და ჩამოსვლის შემდეგ ჩართულობის ხელშესაწყობად და ქსენოფობიისა და რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად. „მობრძანდით!“ ლტოლვილთა მიღების და თავდაპირველი ჩართულობის სფეროში უკვე არსებული კარგი პრაქტიკის კრებულია, 2018წ.

ეს ანგარიში გთავაზობთ ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში კარგი პრაქტიკის კრებულს, რომელიც შედგენილია PandPAS-ის პროექტის ფარგლებში სახელწოდებით „პროგრამები ჩამოსვლამდე და ჩამოსვლის შემდეგ ჩართულობის ხელშესაწყობად და ქსენოფობიისა და რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად“

პილატ ა. და პოტკანსკა დ., ადგილობრივი რეაგირება ლტოლვილთა კრიზისზე პოლონეთში. მიღება და ინტეგრაცია, NIEM-ის ანალიზი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი და მიგრაციის პოლიტიკის ჯგუფი, ვარშავა, პოლონეთი 2017წ.

ამ გამოცემაში ადგილობრივი გადმოსახედიდან დასახელებული და გაანალიზებულია მიმდინარე სარეინტეგრაციო პოლიტიკა პოლონეთში თავშესაფრის მაძიებლებთან და ლტოვილებთან მიმართებაში და აღწერილია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო დაწესებულებების მიღების, ინტეგრაციამდელი და ინტეგრაციის პოლიტიკა, პროგრამები და საქმიანობები.

UNHCR, ოპერაციული მითითებები ზრუნვის ქვეშ მყოფი პირებისადმი ანგარიშვალდებულებისთვის (AAP), 2020

UNHCR-ის ზემოაღნიშნული ანგარიში შეიცავს მითითებებს, თუ როგორ განვახორციელოთ „ზრუნვის ქვეშ მყოფი პირებისადმი ანგარიშვალდე-ბულების“ (AAP) პრინციპი, რაც გულისხმობს „ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების გამოხატული საჭიროებების, წუხილების, შესაძლებლობების და შეხედულებების შეგნებულად და სისტემატურად გათვალისწინებას, ამ პირების მრავალფეროვნების მხედველობაში მიღებით; პასუხისმგებლობას ჩვენი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების და თანამშრომლების ქმედებების გამო ყველა დაცვით, დახმარების და გამოსავლის პოვნის ოპერაციებში და პროგრამებში“.

UNHCR, UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული ოპერაციების დროს მონაწილეობითი შეფასებისთვის, 2006წ.

UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული განმარტავს ნაბიჯებს ლტოლვილების და ზრუნვის ქვეშ მყოფი სხვა პირების ჩართულობით მონაწილეობითი შეფასების განსახორციელებლად. მონაწილეობითი შეფასება განმარტებულია, როგორც „ყველა ასაკის და გამოცდილების ლტოლვილ ქალებთან და კაცებთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, სტრუქტურირებული დიალოგის საფუძველზე მათი მიზნობრივი მონაწილეობის ხელშეწყობით“

5.2 გაწეული დახმარება უნდა პასუხობდეს ყველას საჭიროებებს

თქვენი მომსახურებები მოაწყვეთ ისე, რომ სხვადასხვანაირ ჯგუფებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ერთი და იგივე დონის დახმარებაზე, მაგრამ ამასთანავე დახმარება იყოს მათზე მორგებული.

მომსახურების გაწევის ყველა ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დახმარება თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს მრავალფეროვანი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. მოწყვლად და მრავალფეროვან ჯგუფებში იგულისხმება მაგალითად ლტოლვილები და მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები და მოქალაქეობის არმქონე პირები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვები და განცალკევებით მყოფი ბავშვები, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტიქ+ პირები, ხანშიშესული ადამიანები, უსახლკარო ადამიანები, რისკის ქვეშ მყოფი ქალები, ფსიქიური და ფიზიკური პათოლოგიების მქონე ადამიანები, სოფლად მცხოვრები ადამიანები და უმცირესობები. სტრუქტურულმა უთანასწორობამ და (რამდენიმე ნიშნით) დისკრიმინაციამ სხვა ინდივიდუალურ მდგომარეობებთან ერთობლიობაში რეალურად შეიძლება შეუძლებელი გახადოს ამ ადამიანების მიერ საბაზისო მომსახურებებზე და დახმარებაზე წვდომა.

მომსახურებების ყველასათვის უზრუნველყოფა და ერთმანეთისგან განსხვავებული ჯგუფების სპეციფიური საჭიროებების დაკმაყოფილება დამატებით რესურსებს და მიზნობრივ დახმარებას მოითხოვს. ამიტომ ინტეგრაციის და ჩართულობის სფეროში მომუშავე სუბიექტებმა უნდა გამოყონ რესურსები და კვალიფიკაცია სპეციალური საჭიროებების მქონე პირების გამოვლენის, გამოკვლევის და გადამისამართების მექანიზმების შესაქმნელად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო და ხელმისაწვდომი პროცესები და პროცედურები.

რა დადებითი მხარეები აქვს დახმარების გაწევას იმგვარად, რომ ის ყველას საჭიროებებს პასუხობდეს

- სტრუქტურულად უზრუნველყოფილია მოწყვლადი პირების ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროში და საინტეგრაციო მომსახურებებში;
- გარიყულობის მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ლტოლვილებს უკეთესად მიუწვდებათ ხელი შრომის ბაზარზე, საინტეგრაციო პროგრამებზე, უნარების შეფასებაზე და სოციალურ ცხოვრებაზე მათ მიმღებ საზოგადოებაში;
- მომსახურებები უფრო მეტადაა მორგებული მოწყვლადი პირების სპეციფიურ საჭიროებებზე;
- რეაგირების სტრატეგია და ჯგუფი შექმნილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით;
- დაძლეულია ლტოლვილთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართებაში არსებული სტრუქტურული ბარიერები, დისკრიმინაცია და სტერეოტიპები;
- თავიდან აცილებულია ლტოლვილთა სოციალური გარიყვა და მარგინალიზაცია;
- ლტოლვილებში საკუთარი თავის პატივისცემა, თავდაჯერება და გაძლიერება აღდგენილია;
- ჩამოყალიბებულია კონტაქტები მოწყვლად პირებს შორის, აგრეთვე მათსა და მასპინძელ საზოგადოებას და შესაბამის დაწესებულებებს (მაგალითად, ადგილობრივი ან ეროვნული ორგანიზაციები შშმ პირთა საკითხებზე) შორის.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

უსაფრთხოება და დახმარება: ინტეგრაციის მთელი პროცესის განმავლობაში ეფექტურად და დროულად გაუმკლავდით მოწყვლადობას და ზიანის საფრთხეებს;

ხელმისაწვდომობა: ყველა თქვენი მომსახურება და დაწესებულება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ინკლუზიური (გამოყენებული ყურადღებიანი, მოქნილი მიდგომები, არ არის საკომუნიკაციო ბარიერები) და დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება მრავალფეროვნების საკითხებზე;

სხვადასხვა დარგის კვალიფიციური პროფესიონალები: უზრუნველყავით, რომ ლტოლვილთა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან იმუშავონ სხვადასხვა დარგის კვალიფიციურმა პროფესიონალებმა;

სერვისების მიწოდება ერთმანეთთან თანამშრომლობით: სერვისები მიაწოდეთ კოორდინირებულად ადგილობრივ ხელისუფლებასთან, არასამთავრობოებთან, ჯანდაცვის და სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობით, რათა მოწყვლადმა ლტოლვილებმა მიიღონ სპეციალიზებული დახმარება.

სამახსოვრო ჩამონათვალი იმისთვის, რომ დახმარება ყველას საჭიროებას პასუხობდეს

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ გაწეული დახმარება პასუხობდეს ყველას საჭიროებას.

- **გაესაუბრეთ სხვადასხვა ჯგუფებს** და **წაახალისეთ მათი მონაწილეობა** თქვენი სერვისების დაპროექტებაში;
- გადადგით ნაბიჯები მოწყვლადი ჯგუფების **გამოსავლენად, ადგილის მისაკვლევად, გასასაუბრებლად და შემდგომ კავშირზე დასარჩენად;**
- უზრუნველყავით, რომ ყველა ასაკის ყველა ქალმა და კაცმა მიიღოს **ზუსტი, ადვილად წასაკითხი და ხელმისაწვდომი ინფორმაცია** თუ როგორ ისარგებლონ თქვენი მომსახურებებით, სხვადასხვა ფორმატში (რადიოთი, ზეპირსიტყვიერად, ადვილად წასაკითხი საინფორმაციო ბუკლეტებით, სიმბოლოებიანი ტექსტითა და სურათებით, აუდიო-ვიზუალური მასალებით - ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ლტოლვილი ბავშვებისთვის და სხვა);
- თქვენი მომსახურებების მომზადების პროცესში **უზრუნველყავით სხვადასხვა ჯგუფების დაბალანსებული** და თანაბარი წარმომადგენლობა;
- თქვენი მომსახურებების დაპროექტებისა და განხორციელების ეტაპებში გაითვალისწინეთ ლტოლვილების ყველა **სხვადასხვა ჯგუფის სხვადასხვა საჭიროებები**, წუხილები და ღირებულებები;
- შექმენით **კონკრეტული მექანიზმები, უსაფრთხო სივრცეები და ფორუმები** რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჯგუფების თანაბარ ხელმისაწვდომობას და მათ დახმარებას; მაგალითად, შეიძლება მოაწყოთ არაფორმალური გარემო, რომელიც იქნება უსაფრთხო სივრცე ქალებისა და გოგონებისთვის, სადაც მათ შეეძლებათ თავიანთი სათქმელის გამოთქმა და მიზნობრივი რჩევის მიღება, აგრეთვე ღიად საუბარი თავიანთ გამოცდილებაზე, მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე და ტრავმაზეც კი ისე, რომ არ იყვნენ გაკიცხული;

შექმენით ისეთი სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველას უნარისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, მათ შორის ყველაზე მოწყვლად პირთა ჯგუფებისა;

პარტნიორებს, ჯანდაცვის და სოციალურ მომსახურებებში მომუშავე ადამიანებს ასწავლეთ მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის პრიორიტეტად ქცევა და დაეხმარეთ ამის დამოუკიდებლად გაკეთების **უნარის გამომუშავებაში;**

ტრეინინგებში და სამუშაო შეხვედრებში ჩართეთ ადგილობრივი საზოგადოების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგალითად ახალგაზრდული ჯგუფები, ქალთა ორგანიზაციები, ლგბტიქ+ ორგანიზაციები და შშმ პირთა ორგანიზაციები და სხვა კოლექტივები;

უზრუნველყავით, რომ მომსახურების გამწევებმა და პოტენციურმა პარტნიორებმა მიაწოდონ სპეციალიზებული მომსახურებები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოწყვლადი ჯგუფებისთვის; მაგალითად, შშმ ლტოლვილების უზრუნველყოფა შესაბამისი საცხოვრისით და დამხმარე აღჭურვილობით;

პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას უზრუნველყავით **მომსახურებების მოქნილობა,** რადგან ლტოლვილების დიდი ნაწილი როგორც წესი დადგენილი სამუშაო საათების შემდეგ მუშაობს; გაუწიეთ მათ ადაპტირებული და არაფორმალური დახმარება (მაგალითად, მიუჩინეთ ამხანაგი/მენტორი, გამოუყავით რესურსები/სივრცე სამუშაო საათების შემდეგ);

თქვენი მომსახურებების შეფასებისას **დასვით კითხვები სხვადასხვა ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებთან დაკავშირებით** და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განახორციელეთ ცვლილებები თქვენს მომსახურებებში, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოწყვლადი პირებისთვის დაბრკოლებების მოხსნაზე;

უზრუნველყავით, რომ ყველა ასაკის ყველა ქალს და კაცს მიეცეს **კომენტარის გაკეთების**, თავიანთი შეხედულების გამოხატვის და წვლილის შეტანის **შესაძლებლობა** მიწოდებულ მომსახურებებთან დაკავშირებით;

გაავრცელეთ ინფორმაცია და **ისაუბრეთ** მოწყვლადი ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებზე, როდესაც ამ საკითხებზე იქნება საუბარი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამართალდამცავებთან, ჯანდაცვის მუშაკებთან, ჰუმანიტარულ მუშაკებთან და მედიის წარმომადგენლებთან;

შეიმუშავეთ თანასწორობის სქემები, განსაკუთრებით სახელმწიფო მომსახურებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტული მექანიზმები დისკრიმინაციის თავიდან აცილების და თანასწორობის უზრუნველყოფის მხრივ.

ხელმისაწვდომობა

ბულგარეთში მოქმედებს თვითდახმარების ონლაინ პლატფორმა MigrantLife.bg, რომლის მიზანია ბულგარეთში მცხოვრები მიგრანტების გაძლიერება და დახმარება მათთვის ამომწურავი,განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდების გზით. პლატფორმაზე წარმოდგენილია მრავალი სხვადასხვა კატეგორია, როგორიცაა სამართლებრივი დახმარება, დასაქმება, განათლება, სოციალური შეღავათები, ბულგარეთის მოქალაქეზე დაქორწინება, მოქალაქეობა, ადამიანით ვაჭრობა, დაკავება, ნებაყოფლობით დაბრუნებაში და რეინტეგრაციაში დახმარება. ამჟამად ინფორმაცია პლატფორმაზე წარმოდგენილია 7 ენაზე — ბულგარული, ინგლისური, არაბული, სპარსული, ურდუ, პაშტო და რუსული. ეს ის ენებია, რომლებზეც ბულგარეთში მყოფი ლტოლვილების და მიგრანტების უმრავლესობა საუბრობს, ამდენად პლატფორმის გამოყენებისას ენობრივი ბარიერები მაქსიმალურად მოხსნილია. გარდა ამისა, არის მოდული „მოითხოვე დახმარება“, რომელშიც მომხმარებელს შეუძლია დასვას შეკითხვა და მიიღოს პასუხი FAR-ისგან ტელეფონით, ზუმით ან ელფოსტით. ეს საშუალებას აძლევს სოფიას გარეთ მცხოვრებ ლტოლვილებს და მიგრანტებს, სადაც სპეციალიზებული სამართლებრივი დახმარება შესაბამისი სფეროს და მიგრაციის სამართლის სპეციალისტებისგან ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის, მიიღონ პროფესიული სამართლებრივი დახმარება. პლატფორმაზე განთავსებული კომპონენტები ადვილად კითხვადია და მომხმარებელს ნაბიჯ--ნაბიჯ ინსტრუქციას სთავაზობს.

ფინეთში ქალაქი ჰიამიენლინა სთავაზობს კურსებს იმიგრანტებს, რომლებიც არ არიან ჩართული ფორმალური განათლების სისტემაში, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრებისეული მდგომარეობის ან დეკრეტული შვებულების გამო. ამ კურსების მიზანია ფინური ენის უნარების განვითარება, წერა-კითხვის უნარების გაუმჯობესება და ადაპტირებული ინფორმაციის მიწოდება ფინეთის საზოგადოების შესახებ. მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთი პირადი მიზნების ქონაც, მაგალითად, ყოველდღიური რუტინით ცხოვრება, სხვა ადამიანებთან შეხვედრა ან გართობისა თუ დასვენების აქტივობებში ჩართვა. ვინაიდან ბევრ მონაწილეს ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს, კურსების დროს გათვალისწინებულია რამდენიმე შესვენება და სწავლის სხვადასხვა ფორმატი. ამ კურსების დროს ყოველკვირეულად უფრო ნაკლები გაკვეთილები ტარდება, ვიდრე ფორმალური განათლების პირობებში, რათა სწავლება არ იქცეს ზედმეტად დამღლელად და გადაულახავად მონაწილეებისთვის.

შვედეთში ვენესბორგის მუნიციპალიტეტმა მოაწყო ლტოლვილთა სპეციალური მიმღები ცენტრი, რომელიც საზოგადოებისთვის ღიაა კვირაში ორჯერ. აქ ლტოლვილებს შეუძლიათ იოლად მიიღონ ინფორმაცია მათთვის განკუთვნილი შეღავათების შესახებ. ლტოლვილებს მიეჩინებათ საკონტაქტო პირი, რომელიც მათ უზრუნველყოფს რჩევითა და დახმარებით პრაქტიკულ საკითხებში, მაგალითად, ეხმარება შვედური ენის კურსზე ჩარიცხვაში, ბავშვების სკოლაში შეყვანაში, ბანკში ანგარიშის გახსნაში და საბანკო ბარათის აღებაში, შესაფერისი ავეჯის პოვნაში, ანდა უბრალოდ ირგვლივ ადგილმდებარეობის ჩვენებაში.

შვედეთში, ვესტრა-გოტალანდის ლენში შეიცვალა სოციალური მომსახურების გაწევის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ენა, რათა ეს სერვისები უფრო ხელმისაწვდომი და ნაკლებად ბიუროკრატიული გამხდარიყო. შედეგად, ბენეფიციარებისთვის უფრო გასაგები გახდა სოციალურ დახმარებაზე მათი განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის საფუძვლები.

სხვადასხვა დარგის კვალიფიციური სპეციალისტები

სერბეთში ორგანიზაციამ „Grupa 484“ თანამშრომლობა დაიწყო სერბეთის ოლიმპიურ კომიტეტთან, რაც ითვალისწინებს ქვეყნის განათლების სისტემაში ჩართული მიგრანტი ბავშვების ინტეგრაციის დაჩქარებას. კერძოდ, 2018 წელს ამ ორგანიზაციამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა მიგრანტი ბავშვებისა და ადგილობრივი ბავშვების ინტენსიურ და დინამიურ სოციალიზაციას, სხვადასხვა სასწავლო და სხვა კლასგარეშე საქმიანობებში მონაწილეობის გზით როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ. პროგრამა ითვალისწინებს სემინარს და ოლიმპიური კლასის ჩამოყალიბებას. სემინარის დროს ხდება მიგრანტ ბავშვებთან მუშაობის პროფესიული უნარების განვითარება და ამ ბავშვებისთვის კლასგარეშე გამაჯანსაღებელი საქმიანობების დაგეგმვა. ამ მიზნით პროფესიონალ სპეციალისტებს და ფიზკულტურის მასწავლებლებს ასწავლიან მიგრანტი ბავშვების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, მიგრანტების წარმოშობის ქვეყნების კულტურას. მათ საშუალება ეძლევათ, გაცვალონ გამოცდილება განათლებაში გამოყენებული მიდგომებისა და მეთოდების შესახებ და დიდაქტიკური მასალები. ეს ხელს უწყობს მიგრანტი ბავშვების უფრო უკეთესად ჩართვას სერბეთის პირველადი განათლების სისტემაში და ამავდროულად ხელს უწყობს შემწყნარებლობის იდეის, ურთიერთგაგების უფრო ფართოდ გავრცელებას, მრავალფეროვანი იდენტობის და კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობას და კულტურათაშორის თანამშრომლობას.

ფინეთში **ტურკუს ზრდასრულთა სწავლების ცენტრი** რეგულარულად აწყობს ინდივიდუალურ საცნობარო საუბრებს სტუდენტებისთვის. საცნობარო საუბრები ტარდება თითოეულ სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ათთვიანი საინტეგრაციო კურსის დასაწყისში, შუაში და ბოლოში. ამ საუბრების დროს სტუდენტი და მასწავლებელი კონფიდენციალურად განიხილავენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებს, კარიერას და სამომავლო გეგმებს. ეს საუბრები სტუდენტებს ეხმარება თავიანთი აზრისა და შეხედულებების გამოთქმაში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით და მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციის საკუთარი გზის მოძებნაში.

უსაფრთხოება და დახმარება

სერბეთში იეზუიტების ლტოლვილთა სამსახურს (JRS) აქვს ინტეგრაციის სახლი სახელწოდებით „Pedro Arrupe“, რომელშიც ცხოვრობენ თანმხლები პირების გარეშე მყოფი 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები, რომლებიც თავიანთი ოჯახებისგან განცალკევებული არიან. დაწესებულებაში შეიძლება განთავსდეს 20-მდე ადამიანი გარკვეული შეზღუდული ვადით. გარდა მინიმალური საჭიროებებისა, როგორიცაა ჭერი, საკვები, ტანსაცმელი და სამედიცინო დახმარება, ტარდება ერთობლივი საქმიანობები. არასრულწლოვნებს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ დაწესებულების თანამშრომლები და პარტნიორი ორგანიზაციები. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ბენეფიციარებს, რომლებიც ერთ თვეზე მეტი ხნით რჩებიან, რთავენ განათლების სისტემაში. აგრეთვე ტარდება არაფორმალური განათლების და კრეატიული სამუშაო შეხვედრები, განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით. სახლი მზრუნვე-ლობას უწევს ყველაზე დაუცველ ბავშვებს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლებს, ბავშვებს რომლებიც იმყოფებიან ადამიანით ვაჭრობის რისკის, სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციის და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის რისკის ქვეშ, რომლებთან მიმართებაშიც დადგინდა დიდი ჯგუფისგან განცალკევების საჭიროება. ბენეფიცი-არებთან მუშაობისას მხედველობაში მიიღება გამოვლენილი მოწყვლადობები. ბენეფიციარებს აცნობენ თავშესაფრის წესებს და თავშესაფარში ხელმისაწვდომ დახმარებას სხვადასხვა ენაზე.

პოლონეთში ფონდი „ხსნა“ (Ocalenie) ახორციელებს პროექტს **ჩემი შანსი პოლონეთში,** რომელიც ქვეყანაში შრომის ნებართვის მქონე უცხოელებს უვითარებს საბაზისო უნარებს.

გაწეული დახმარება მოიცავს მათი საჭიროებების დიაგნოსტიკას და ამის საფუძველზე სწავლებების ჩატარებას, კონსულტაციის გაწევას და ფსიქოლოგიურ დახმარებას. განათლების სფეროში დახმარება უზრუნველყოფილია ყველა მონაწილისთვის და ის ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფორმით.

თითოეულ მონაწილეს მიჩენილი ჰყავს მასწავლებელი, რომელსაც ევალება მონაწილის მოტივაციაზე მუშაობა. მათი ურთიერთობა გამოიხატება მენტორინგით და მოიცავს რჩევების მიცემას, განვითარებაში დახმარებას და კონსულტაციას. ბენეფიციარებს ასევე უფლება აქვთ ისარგებლონ ბავშვზე უფასო ზრუნვით, სანამ ისინი ამ სწავლებებს ესწრებიან. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ხელმისაწვდომია იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც სურთ მისი მიღება. ასეთი მხარდაჭერა ორი ფორმით შეეთავაზებათ: ინდივიდუალური შეხვედრები ფსიქოლოგთან და მხარდაჭერის ჯგუფებში მონაწილეობა.

საბერძნეთში ათენის მუნიციპალიტეტმა დაიწყო საპილოტე პროგრამა ახალგაზრდა ლტოლვილების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, რომელიც სთავაზობს ენის გაკვეთილებს, ინდივიდუალურ კონსულტაციას კარიერის და საცხოვრისის საკითხებზე და სწავლებას კომპიუტერული უნარების და აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში.

საბერძნეთში ქალაქ ათენში მდებარე **დამოკიდებულ პირთა თერაპიის ცენტრი** (KETHEA) ახორციელებს პროგრამას, რომლის ფარგლებში დამოკიდებულების მქონე იმიგრანტებს და ლტოლვილებს მიეწოდებათ ინფორმაცია, კონსულტაცია, ფსიქოლოგიური დახმარება და რეციდივის თავიდან აცილების მომსახურებები.

საბერძნეთში ათენის კარიტასმა დააფუძნა „დღის ცენტრი ლტოლვილთა ოჯახებისთვის“. ეს გახლავთ უსაფრთხო და მიმღები ადგილი, რომელიც მოწყობილია ჩვეულებრივი სახლივით. მასში არის დასვენების სივრცე, სივრცე ბავშვებისთვის, ტელევიზორი, სამზარეულო, საოჯახო სივრცე, საპირფარეშოები და საშხაპეები. აქ ლტოლვილ ქალებს შეუძლიათ ისადილონ, დაიძინონ, დაისვენონ, გამოკვებონ ძუძუთი ბავშვი, მიიღონ ცხელი შხაპი, აჭამონ ბავშვს, მიიღონ სუფთა ტანსაცმელი და ჰიგიენის ნივთები, ისარგებლონ ინტერნეტით ოჯახთან კომუნიკაციის მიზნით და მიიღონ სოციალური მუშაკის კონსულტაცია. ამ მომსახურებების მიზანია, ქალებმა და ბავშვებმა იგრძნონ თავი უსაფრთხოდ, მიღებულად, პატივცემულად და „ისე როგორც საკუთარ სახლში“.

გერმანიაში შრომის, სოციალურ და საოჯახო საკითხთა და ინტეგრაციის სამინისტროს ქალაქ ჰამბურგის განყოფილების დაფინანსებით და ხელმძღვანელობით მოქმედებს „ფურგონი გაძლიერებისთვის“ — მობილური საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისი, რომელიც მოწყობილია მრავალფუნქციურ ფურგონ ავტომობილში. ავტომობილი რეგულარულად სტუმრობს მიმღებ ცენტრებს და ლტოლვილთა განსახლების დაწესებულებებს, სადაც ქალებს და გოგონებს იზოლაციაში ყოფნა უწევთ. ხშირად ასეთ ადგილებში მათ არ აქვთ უსაფრთხო და პირადი სივრცე. ამ შემთხვევაში ფურგონი წარმოადგენს უსაფრთხო სივრცეს, რომელშიც ქალებს შეუძლიათ ისარგებლონ ყველაფრით — დაწყებული ექიმთან ვიზიტით და დამთავრებული ახალი საცხოვრისის მოძებნით, თუ მასზე ადგილი ჰქონდა ძალადობას.

როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ენა, რათა ეს სერვისები უფრო ხელმისაწვდომი და ნაკლებად ბიუროკრატიული გამხდარიყო. შედეგად, ბენეფიციარებისთვის უფრო გასაგები გახდა სოციალურ დახმარებაზე მათი განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის საფუძვლები.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

ევროპის რეგიონების გაერთიანება (AER), პროექტ AMiD-ის შედეგების მიტანა ევროპის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებამდე, 2019წ.

ამ ანგარიშში სიღრმისეულად განხილულია, როგორ უნდა მოხდეს შშმ ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების და მიგრანტების მიღების და ინტეგრაციის ეფექტური მართვა ევროკავშირში.

პროექტი „შშმ მიგრანტების ხელმისაწვდომობა სერვისებზე“ (AMID), ანგარიში ხარვეზების ანალიზის და საჭიროებათა შეფასების შესახებ: ავსტრია, ფინეთი, საბერძნეთი და იტალია, 2018წ.

ამ ანგარიშში გამოვლენილი და გაანალიზებულია ხარვეზები და გამოწვევები შშმ პირთა სექტორში და შშმ მიგრანტების არსებულ მომსახურებებში ავსტრიაში, საბერძნეთში, ფინეთში და იტალიაში.

თითოეული ამ ქვეყნის ანგარიშის დასკვნების საფუძველზე შეიქმნება „საჭიროებათა შეფასების ინსტრუმენტების კრებული“, რომლის გამოყენებითაც მოხდება ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიური საჭიროებების გამოვლენა და შეფასება.

Handicap International, სამახსოვრო ჩამონათვალი შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში გადაუდებელი რეაგირებისთვის. ადაპტირებული სპეციალისტთა ჯგუფიდან.

ამ დოკუმენტში მოცემულია სამახსოვრო ჩამონათვალი შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში გადაუდებელ რეაგირებასთან დაკავშირებით და ზოგადი რეკომენდაციები დაშავებული და შშმ ადამიანების დაცვის და ჩართულობის თაობაზე.

ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო (FRA), ახალგაზრდა ლტოლვილების ინტეგრაცია ევროკავშირში: კარგი პრაქტიკა და გამოწვევები, 2018წ.

FRA-ს ანგარიშში წარმოდგენილია ახალგაზრდა ლტოლვილების (ბავშვები და ახალგაზრდები 16-დან 24 წლამდე) ინტეგრაციის წარმატებული პრაქტიკა ევროკავშირში.

კომიტეტი (IASC), გენდერის სახელმძღვანელო ჰუმანიტარული ქმედებისთვის, 2017წ.

ეს სახელმძღვანელო არის მოკლე ცნობარი, რომელიც ეყრდნობა ჰუმანიტარული საზოგადოების გამოცდილებას და იძლევა პასუხებს გამოწვევებზე, რომლებსაც აქვს ადგილი ჰუმანიტარული დაგეგმვის და პროგრამირების ეტაპებზე გენდერის ადეკვატურად ინტეგრირებისას.

UNFPA, სახელმძღვანელო ქალებისა და გოგონებისთვის განკუთვნილი უსაფრთხო სივრცეების თაობაზე, 2015წ.

ეს სახელმძღვანელო გთავაზობთ უსაფრთხო სივრცეების მიმოხილვას და იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული ასეთი სივრცეების შექმნისას ჰუმანიტარულ და კრიზისისშემდგომ სიტუაციებში.

UNHCR-IDC, მოწყვლადობის შემოწმების ინსტრუმენტების კრებული — მოწყვლადობის გამოვლენა და მასზე რეაგირება: ინსტრუმენტების კრებული თავშესაფრის და მიგრაციის სისტემებისთვის, 2016წ.

ეს შემოწმების ინსტრუმენტების კრებული მოწყვლადობის გამოვლენისა და მასზე რეაგირების თაობაზე არის UNHCR-ის და IDC-ის ერთობლივი ნაშრომი, რომელიც წინა ხაზის მუშაკებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აწვდის ინსტრუქტაჟს და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს მოწყვლადობის ფაქტორებს დაკავების გადაწყვეტილების მიღებისას, ინფორმაციას დაკავების ალტერნატიული მექანიზმების, ღია ტიპის მიღების ცენტრების, საზოგადოებაში განთავსების და დახმარების ვარიანტების შესახებ, თავშესაფრის და მიგრაციის პროცედურების და სისტემის კონტექსტში.

UNHCR-ის პოლიტიკა ასაკის, გენდერის და მრავალფეროვნების საკითხებზე, 2018წ.

ამ პოლიტიკის დოკუმენტში განმარტებულია, როგორ იყენებს UNHCR ასაკის, გენდერის და მრავალფეროვნების (AGD) მიდგომას მისი საქმიანობის ყველა ასპექტში, რათა ზრუნვის ქვეშ მყოფ პირებს შეეძლოთ თავიანთი უფლებებით თანასწორად სარგებლობა და შედეგიანი მონაწილეობა გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე, ოჯახებზე და საზოგადოებებზე.

UNHCR, ბავშვთა დაცვის ჩარჩო, 2012წ.

UNHCR-ის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტი ეყრდნობა ბავშვთა დაცვის სისტე-მების მიდგომას, რაც გულისხმობს ყველა დონის ვალდებულ პირზე - ესენია ოჯახი, საზოგადოება, სახელმ-წიფო და საერთაშორისო ორგანოები – შესაბამისი ვალდებულების დაკის-რებას დაცვის სფეროში ბავშვების წინაშე არსებული რისკების შემცირებისა და რეაგირების მხრივ.

UNICEF, მითითებები შშმ ბავშვების ჰუმანიტარულ ქმედებაში ჩართვის თაობაზე (2017წ.)

UNICEF-ის მიერ შემუშავებული მითითებების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შშმ ბავშვები და მოზარდები ჩართული იქნენ ჰუმანიტარული ქმედების ყველა ეტაპზე, დაწყებული საგანგებო ვითარებისთვის მზადებიდან დამთავრებული ამ ვითარების შემდგომი აღდგენის ეტაპით.

5.3 მომსახურებები შექმენით გრძელვადიანი გათვლით

დანერგეთ ჩართულობის გრძელვადიანი ხედვა, რომელიც იმოქმედებს მიღების და თავდაპირველი ინტეგრაციის ეტაპის შემდეგაც

ლტოლვილთა საჭიროებების გამოვლენა და დაკმაყოფილება მიღებისა და ინტეგრაციის თავდაპირველი ეტაპის შემდეგაც უნდა მოხდეს. ამის მიხედვით უნდა იმოქმედონ მომსახურების გამწევებმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მათ დაქვემდებარებაში მყოფმა სამსახურებმა (სკოლები, დასაქმების სააგენტოები, სოციალური სამსახური, საავადმყოფოები და სხვა დაწესებულებები). გრძელვადიანი გათვლის არარსებობის პირობებში იქმნება სიღარიბის გაღრმავების და სოციალურ-ეკონომიკური გარიყულობის გამწვავების საფრთხე.

ინტეგრაციის მომსახურებები უნდა ითვალისწინებდეს ისეთ მიზნობრივ ღონისძიებებს, რომლებიც პასუხობს ლტოლვილთა სპეციალურ საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ გრძელვადიან დასახლებას და სოციალურ მობილობას (მაგ., ზედა დონის ენის კურსები, უნარების შეფასება, აღიარება და გაუმჯობესება, საუნივერსიტეტო განათლების მიღებაში დახმარება, ა.შ.). ინტეგრაციის ღონისძიებები უნდა იყოს კოორდინირებული და ადაპტირებული, საინტეგრაციო პოლიტიკის ყველა სფეროში, რომ ისინი პასუხობდნენ იმიგრანტთა თანამედროვე საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემებს. ლტოლვილთა მომსახურებების გრძელვადიანად შექმნას და სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობის შესაძლებლობების გაჩენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის რეალიზებისთვის. ამისთვის კი საჭიროა დროში შეზღუდული პროექტის ფორმის მქონე ინიციატივებიდან — რომლებიც ერთმანეთთან ბმაში არ არის და დამოკიდებულია ერთ (გარე) დონორზე — ყოვლისმომცველ მრავალწლიან ინტეგრაციის სტრატეგიაზე გადასვლა, რომელიც დაფუძნებული იქნება გარანტირებულ დაფინანსებაზე ან დივერსიფიცირებულ დაფინანსების წყაროებზე.

რა დადებითი მხარეები აქვს მომსახურებების შექმნას გრძელვადიანი გათვლით:

- ლტოლვილთა უნარების, კვალიფიკაციის და ღირებულების ეფექტური აღიარება;
- უბანში, ადგილობრივ დაწესებულებებში და მასპინძელ საზოგადოებაში სოციალურ-კულტურული სეგრეგაციის თავიდან აცილება;
- ლტოლვილების უკეთესი და უფრო რეგულარული ხელმისაწვდომობა განათლებაზე, საცხოვრისზე, ჯანდაცვაზე და დასაქმებაზე;
- მრავალკულტურული და მრავალენობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნება სოციალურ ერთობას;
- რეგულარული ურთიერთობა ცოტა ხნის წინ ჩამოსულ და ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის;
- ინტეგრაციის დადებით შედეგები, რომლებიც ამცირებს სოციალურ-ეკონომიკურ ბარიერებს ცოტა ხნის წინ ჩამოსულ და ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

ჰორიზონტალური და მრავალდონიანი კოორდინაცია: შექმენით პოლიტიკის ჰორიზონტალური კოორდინაციის ძლიერი მექანიზმები ძირითად აქტორებს შორის, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, არასამთავრობოები და მომსახურებების კერძო გამწევები;

მრავალფეროვნება საჯარო სამსახურში: მოსახლეობაში არსებული მრავალფეროვნება ასახეთ საჯარო სამსახურების შრომითი კოლექტივების შემადგენლობაში ყველა სამსახურის დონეზე;

უწყვეტი მორგება მრავალფეროვანი საზოგადოების საჭიროებებზე: სტრუქტურულად უზრუნველყავით მრავალფეროვნების გათვალისწინება სოციალური სერვისების და ინფრასტრუქტურის მართვაში — სკოლები, ბაღები, სოც. ზრუნვა, სახელმწიფო საცხოვრისები და ჯანდაცვის სერვისები;

გრძელვადიანი ინტეგრაციის მიზნები: მიიღეთ ინტეგრაციის ეფექტური რეგიონული ან ადგილობრივი გეგმები ან სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ბიუჯეტით და მხარეების ჩართულობით (სამოქალაქო საზოგადოება, ადგილობრივი და რეგიონული დონეები, ა.შ.);

კულტურათაშორისი უნარები: თქვენი მომსახურებების მიწოდებისას გაზარდეთ კულტურათაშორისი და მრავალფეროვნების მგრძნობიარობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმირება და ურთიერთობა უცხო ენებზე.

სამახსოვრო ჩამონათვალი იმისთვის, რომ მომსახურებები შექმნათ გრძელვადიანი გათვლით:

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მომსახურებების შექმნა გრძელვადიანი გათვლით[3]

- **გააკეთეთ საჭიროებათა შეფასება** და სწორად გათვალეთ შესაძლო შეფერხებები და ლტოლვილთა მომავალი მოთხოვნები თქვენს სფეროში (იხილეთ ძირითადი სფერო 1);
- **კოორდინაცია გაუკეთეთ და დააბალანსეთ თქვენი ინვესტიციები** სხვადასხვა სისტემებსა და პოლიტიკის სფეროებში (მაგ., ბავშვზე ზრუნვა, განათლება, საცხოვრისით უზრუნველყოფა) მოცემულ ტერიტორიაზე იმ გათვლით, რომ სხვადასხვა სერვისები ერთმანეთს ავსებდეს; **პრიორიტეტი მიანიჭეთ სოციალურ ინვესტიციებს** და ადეკვატურ **სოციალურ ინფრასტრუქტურას**;
- **ენის კურსები** შესთავაზეთ ინტეგრაციის თავდაპირველი პერიოდის შემდეგაც, კერძოდ ჩაღრმავებული და საჭიროებებზე დაფუძნებული კურსები იმ ლტოლვილებისთვის, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ან დიდი ხანია ცხოვრობენ ქვეყანაში;
- **შემოიღეთ მიზნობრივი პროფესიული სწავლება ლტოლვილებისთვის** და მიიღეთ ზომები, რომ ეს სწავლება გახდეს რეგულარული, მათი უნარების ან კვალიფიკაციის შეფასებისა და აღიარებით;
- **სისტემატური მხარდაჭერა გაუწიეთ ლტოლვილ ბავშვებს სკოლებში და მათ მშობლებს;** მშობლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ თავიანთი შვილების სწავლის პროცესში, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ არამარტო აკადემიური მოსწრების, არამედ მათი გრძელვადიანი სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით;
- ხელი შეუწყვეთ და დანერგეთ ამხანაგის და მენტორის პროგრამები, რაც გააადვილებს სოციალურ ჩართულობას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ძირითადი სფერო 5);
- **წაახალისეთ ლტოლვილების უმაღლეს განათლებაში ჩართვის ინიციატივები;**

[3] შენიშნეთ, რომ ზოგიერთი პუქნტი ვერ იქნება გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციის შემთხვევაში და ამიტომ ეს ამოცანები გამოტოვეთ შეფასების დროს.

- **მხარი დაუჭირეთ ხელმისაწვდომობას ჯანდაცვაზე,** განსაკუთრებით ფსიქიური ჯანმრთელობის და ასაკოვან ადამიანებზე ზრუნვის სერვისებზე;
- დაეხმარეთ ლტოლვილებს თავშესაფრის მაძიებლებისთვის განკუთვნილი მიმღები დაწესებულებიდან დამოუკიდებელ საცხოვრებელ ადგილას გადასვლაში; **მიეცით ლტოლვილებს საცხოვრისის სუბსიდიით ან სოციალური საცხოვრისით სარგებლობის შესაძლებლობა;**
- **გაეცით დაფინანსება ადგილობრივ და მცირე არასამთავრობოებზე** ლტოლვილთა გრძელვადიანი ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით;
- **მოახდინეთ სახელმწიფო თანხების ინვესტირება** (და გადანაწილება) **დაბალშემოსავლიან უბნებში, სადაც მოსახლეობა მრავალფეროვანია;**
- **მოახდინეთ კოორდინაცია სოციალურ და სივრცითი (საქალაქო) დაგეგმარებას შორის**, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად, ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის;
- სახელმწიფო მომსახურებების უნარიანობა უნდა იყოს საკმარისი თქვენს არეალში მყოფი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- **გაავრცელეთ ახალი დადებითი იდეოლოგია ლტოლვილების შესახებ** იმ სფეროებში, რომლებიც განიცდის სოციალური ინვესტიციის სტაგნაციას ან შემცირებას;
- **გამოავლინეთ გრძელვადიანი ინტეგრაციის დაფინანსების ახალი შესაძლებლობები** და მხარი დაუჭირეთ მომსახურების გამწევების მიერ შემოტანილ განცხადებებს, რადგან 2021-2027 წლებში ევროკავშირი მთლიანობაში უფრო მეტ დაფინანსებას გამოყოფს ლტოლვილთა და მიგრანტთა ინტეგრაციისთვის და ეს დაფინანსება უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის. კერძოდ, გაიზრდება ევროპის სოციალური ფონდის გამოყენება, რომელიც ევროკავშირის მთავარი დაფინანსების ინსტრუმენტია სოციალური ჩართულობისა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ინიციატივებისთვის. ამ დაფინანსების მიზანი იქნება გრძელვადიანი ინტეგრაცია;
- **შეიტანეთ კორექტივები თქვენ მომსახურებებში ლტოლვილთა კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე,** რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან ჩართულობას და თავიდან აგვაცილებს დიდი ხნის განმავლობაში გარე დახმარებაზე დამოკიდებულებას;
- **მიაწოდეთ ლტოლვილებს ინფორმაცია თქვენი მომსახურებების გრძელვადიანი დადებითი მხარეების შესახებ და თავიდან აიცილეთ პროგრამიდან გარიცხვები;** მაგალითად, კოვიდ 19-ის პანდემიის დროს შესაძლებელია შეიქმნას კომუნიკაციის ახალი არხები ლტოლვილებთან ურთიერთობისთვის (შეიძლება ჩატარდეს შეხვედრები ღია ცის ქვეშ, რეგულარულად იქნას გამოყენებული სოციალური მედია, მაგალითად whatsapp და ა.შ.); უზრუნველყავით ლტოლვილები უსაფრთხო ტექნიკური საშუალებებით, რომ შეძლონ წვდომა თქვენს მომსახურებებზე (მაგ., გადაეცით ლეპტოპები, პლანშეტები, ინტერნეტი).

ლტოლვილების დახმარება თავდაპირველი მიღების შემდეგაც: კარგი პრაქტიკის მაგალითები

გრძელვადიანი ინტეგრაციის მიზნები

იტალიაში ორგანიზაცია CIAC (Centro immigrazione asilo e cooperazione onlus) ახორციელებს თანაცხოვრების პროექტს სახელწოდებით „ტანდემი“, რომელშიც ჩართული არიან ახალგაზრდა იტალიელები და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე ახალგაზრდა მიგრანტები (19-დან 30 წლამდე ასაკის). პროექტის მიზანია კულტურათაშორისი ურთიერთობების წახალისება, ურთიერთდახმარება და ავტონომია. პროექტი ითვალისწინებს ლტოლვილების დახმარებას მიმღები სისტემიდან გასვლაში, ღირსეული საცხოვრისის პოვნაში, ინფორმაციის მიღებაში და პირადი კავშირების ჩამოყალიბებაში. ამისათვის სპეციალური სამსახური ადგენს ხელმისაწვდომ დროის განრიგს და უწევს ეკონომიკურ დახმარებას კომუნალური გადასახადების დასაფარად. „ტანდემის“ ბენეფიციარები მონაწილეობენ ასევე ყოველთვიურ კოლექტიურ და ერთი-ერთზე შეხვედრებში. სოციალური მუშაკი მათ ეხმარება ბინის საკითხებში. სოციალური მუშაკის მუდმივი თანადგომა აუმჯობესებს ურთიერთობას ბენეფიციარებთან და იძლევა შესაძლო სირთულეების გამოვლენის საშუალებას. „ტანდემი“ არის ინოვაცია იმ გამოწვევებთან გამკლავებაში, რომლებსაც ლტოლვილები აწყდებიან ბინის შოვნის და მასპინძელ ქვეყანაში პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბების მხრივ.

იტალიაში ბოლონიის მუნიციპალიტეტში პიროვნების სერვისების სახელმწიფო კომპანია (ASP) ახორციელებს პროექტს SIforREF, რომლის მიზანია მიღების ეტაპის შემდგომ ლტოლვილთა მარგინალიზაციის რისკების შემცირება. პროექტი ითვალისწინებს პოლიტიკის შემმუშავებელი პირების, ადგილობრივი დაწესებულებების და ბენეფიციარების ჩართვას ლტოლვილთა ინტეგრაციაში. ინფორმაცია საინტეგრაციო საჭიროებებისა და ადგილობრივი რესურსების შესახებ იკრიბება საკონსულტაციო საქმიანობების მეშვეობით (კითხვარები, სტრუქტურირებული გასაუბრებები, ფოკუს ჯგუფები), რომლებშიც მონაწილეობენ თავად ლტოლვილთა და მიგრანტთა გაერთიანებები. ამის შემდეგ ASP აწყობს სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს და „საზოგადოებრივ ლაბორატორიებს“ ოთხი თემის ირგვლივ (სახლი, სოციალიზაცია, სამსახური და ადამიანების გაძლიერება), რაც აუმჯობესებს ლტოლვილთა პირად კავშირებს და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ასევე შეიქმნა WhatsApp-ის ნომერი და ელფოსტა, რომელთა მეშვეობით ხდება ადამიანებთან კონტაქტის შენარჩუნება და საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ლტოლვილებს შეუძლიათ გააგზავნონ შეტყობინებები და მოითხოვონ ინფორმაცია (მაგ., ლაბორატორიის ადგილმდებარეობის და განრიგის შესახებ) ყველა ენაზე. საქმიანობების განრიგი ეცნობებათ როგორც ლტოლვილებს, ისე ადგილობრივებს.

კულტურათაშორისი უნარები

შვედეთში ბოტშერკას მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა საპილოტე პროექტი „UNESCO LUCS“, რომელიც ითვალისწინებს ლტოლვილთა მიღებას კულტურათაშორისი პრინციპის საფუძველზე. პროექტის შედეგების თანახმად, კულტურათაშორისი პრინციპის დაცვა ხდება როგორც ლტოლვილებთან და ახალჩამოსულებთან შეხვედრისას, ისე სტრუქტურულ-ორგანიზაციულ დონეზე.

უნგრეთში ცენტრალურმა ევროპულმა უნივერსიტეტმა შექმნა **„ღია სწავლების ინიციატივა“** (OLIve), რომელიც რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში ხორციელდება სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობით და ლტოლვილებს სთავაზობს სრულ ან ნახევარგანაკვეთიან სასწავლო პროგრამას მათთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად. OLIve-ის მიზანია არამარტო აკადემიური უნარების და უშუალოდ საგნის ცოდნის გადაცემა, არამედ ენობრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა, რაც აუცილებელია აკადემიურ გარემოში. გარდა ამისა, OLIve ლტოლვილ სტუდენტებს ეხმარება ადვოკატირების და კარიერული უნარების განვითარებაში, როგორც მათი აკადემიური მომზადების დანამატი.

გერმანიაში **ჰაილბრონერის რაიონი** მოხალისეობრივ საფუძველზე ან ფასიანი მომსახურების სახით ორგანიზებას უწევს მშობელი მენტორის მიჩენას, სკოლასა და მიგრანტ მშობლებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ნაკლებობის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, რაიონის მმართველობა პოულობს გერმანულად და სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს, რომლებიც მიგრანტ მშობლებს ინფორმაციას მიაწვდიან სკოლის სისტემის შესახებ. ეს მენტორები იგზავნებიან იმ სკოლებში და საბავშვო ბაღებში, რომლებიც ითხოვენ მათ მომსახურებას. მენტორებს უნაზღაურდებათ გაწეული ხარჯები.

უწყვეტი ადაპტაცია მრავალფეროვანი საზოგადოების საჭიროებებისადმი

საპილოტე პროექტი სახელწოდებით **„მობრძანდით სახლში“**, რომელიც პოლონეთში ხორციელდება, მიზნად ისახავს ლტოლვილების დახმარებას საცხოვრისის შოვნაში, ვინაიდან კერძო ბაზარზე ბინის ქირაობა ძვირი ღირს, ხოლო სოციალური საცხოვრისით სარგებლობის მსურველთა სია საკმაოდ გრძელია. ამიტომ ორგანიზაცია კერძო გამქირავებლებისგან ხანგრძლივი დროით (2 წელი და მეტი ვადით) ქირაობს ბინებს საბაზრო ფასით, ხელშეკრულების საფუძველზე და შემდეგ ქვექირავნობის ფორმით საბაზრო ფასზე დაბალ ფასში გადასცემს მათ ლტოლვილთა ოჯახებს, რომლებიც უსახლკაროდ დარჩენის რისკის ქვეშ იმყოფებიან. გარდა ამისა, ამ ბინებში ცხოვრების პერიოდში ოჯახები მონაწილეობენ ინდივიდუალიზებულ საინტეგრაციო პროგრამაში, რომელშიც შედის ენის სწავლება, შრომის ბაზარზე დახმარება, კულტურათაშორისი მენტორობა და სხვა. ოჯახების მოძლიერებასთან ერთად მათ ბინის ქირა თანდათანობით ეზრდებათ, ვიდრე არ შეძლებენ ქირის გადახდას უკვე საბაზრო ტარიფით.

პოლონეთში რაიონულ დონეზე ოჯახის დახმარების ცენტრები ლტოლვილებს ეხმარებიან როგორც ფულით, ისე არაფულადი სახითაც. ამ ცენტრებიდან ზოგიერთი უფრო მეტად აქტიურია და ისინი საგამონაკლისო საქმიანობებს ახორციელებენ, რომ ლტოლვილებს მათზე უფრო მეტად მორგებული დახმარება გაუწიონ. მაგალითად, პროგრამა „ვიტეკი“, რომელსაც ვარშავის ოჯახის დახმარების ცენტრი ახორციელებს, შერჩეულ ოჯახებს დამატებით დახმარებას უწევს ლტოლვილებისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ინდივიდუალური სარეინტეგრაციო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ. კიდევ ერთი საინტერესო ინიციატივა „ინტეგრაცია თვითკმარობისთვის“ ითვალისწინებ-და სპეციალისტთან უფასო კონსულტაციას და დახმარებას სამუშაოს შოვნაში, საცხოვრებლის ქირაობაში და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სოცუზრუნველყოფის სამსახურებთან და ჯანდაცვის დაწესებულებებთან ურთიერთობაში.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

ბამბერგ კ., ნიკოლეტი რ., ლაჯილი-ჯალაი ფ., განზერლა ს., ქალაქები და მიგრანტები, ინტეგრირებული ქალაქების ქარტიის შესრულება, EuroCities, 2020წ.

ამ ანგარიშში განხილულია ქალაქების მიერ გატარებული საინტეგრაციო ღონისძიებები და დაფიქსირებულია მიგრანტების ინტეგრაციასთან დაკავშირებით ქალაქებისთვის საერთო ძირითადი ტენდენციები.

ევროპის საბჭო, პოლიტიკის ლაბორატორია ინკლუზიური ინტეგრაციის თემაზე. ინკლუზიური ინტეგრაციის სტრატეგიები: საზიარო მოდელისკენ, 2019წ.

ამ დოკუმენტში ლაპარაკია, რომელ ძირითად პრინციპებზე უნდა იყოს აგებული ინკლუზიური ინტეგრაცი-ის სტრატეგია, რადგანაც ეს პრინციპები გამომდინარეობენ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო-ების სტანდარტებიდან და ღირებულებებიდან. აქვე მოცემულია ლოგიკური ჩარჩო, რათა ინტეგრაციის სტრატეგია იყოს მიზნობრივი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური.

ევროპის საბჭო, მრავალკულტურული ქალაქი ნაბიჯ-ნაბიჯ. მრავალკულტურული ინტეგრაციის საქალაქო მოდელის დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2014წ.

სახელმძღვანელოში წარმოდ-გენილია მრავალკულტურული ინტეგრაციის ცნების მოკლე განმარტება და რჩევები იმ ნაბიჯებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დაეხმარება ქალაქებს მრავალკულტურული სტრატეგიის შემუშავებაში. აგრეთვე მაგალითის სახით მოცემულია ასეთი სტრატეგიის შემადგენელი კომპონენტები ანალიტიკურ შეკითხვებთან, რეკომენდაციებთან და ევროპული და სხვა ქალაქების პრაქტიკასთან ერთად.

EWSI-ის სარედაქციო ჯგუფი, რა კეთდება მიგრანტების და ლტოლვილების გრძელვადიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ევროპაში?, ევროპული ვებ-ვერდი ინტეგრაციის თემაზე (EWSI), 2020წ.

EWSI-ის სარედაქციო ჯგუფმა *შეისწავლა გრძელვადიანი ინტეგრაციის რიგი ინდიკატორები ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და დიდ ბრიტანეთში, აგრეთვე ლტოლვილების შესახებ კონკრეტული პოლიტიკის ან ღონისძიებების არსებობის ან ხელმისაწვდომობის საკითხი.*

OECD, ლტოლვილთა და მიგრანტთა ფინანსური განათლება და გრძელვადიანი ინტეგრაცია. ლტოლვილთა კრიზისზე რეაგირების ღონისძიებები, 2016წ.

ამ ანგარიშში ლაპარაკია იმაზე, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს ფინანსურმა განათლებამ უფრო გრძელვადიან პოლიტიკაში, რომელიც მიზნად ისახავს ლტოლვილთა ინტეგრაციას კრიზისის შემდგომ შემთხვევებში.

UNHCR, UNHCR-ის ოპერაციული სახელმძღვანელო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირებისადმი ანგარიშვალდებულების თაობაზე, 2020წ.

UNHCR-ის ზემოაღნიშნული ანგარიში შეიცავს მითითებებს, თუ როგორ განვახორციელოთ „ზრუნვის ქვეშ მყოფი პირებისადმი ანგარიშვალდებულების“ (AAP) პრინციპი, რაც გულისხმობს „ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების გამოხატული საჭიროებების, წუხილების, შესაძლებლობების და შეხედულებების შეგნებულად და სისტემატურად გათვალისწინებას, ამ პირების მრავალფეროვნების მხედველობაში მიღებით; პასუხისმგებლობას ჩვენი ორგანიზაციის გადაწყვეტილებების და თანამშრომლების ქმედებების გამო ყველა დაცვით, დახმარების და გამოსავლის პოვნის ოპერაციებში და პროგრამებში“.

UNHCR, UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული მონაწილეობითი შეფასებისთვის ოპერაციების დროს, 2006წ.

UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული განმარტავს ნაბიჯებს ლტოლვილების და ზრუნვის ქვეშ მყოფი სხვა პირების ჩართულობით მონაწილეობითი შეფასების განხორციელებისთვის. მონაწილეობითი შეფასება განმარტებულია, როგორც „ყველა ასაკის და გამოცდილების ლტოლვილ ქალებთან და კაცებთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, სტრუქტურირებული დიალოგის საფუძველზე მათი მიზნობრივი მონაწილეობის ხელშეწყობით“

5.4 არამარტო იმუშავეთ ადამიანებისთვის, არამედ იმუშავეთ მათთან ერთად

ჩართეთ ლტოლვილები დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში. გაითვალისწინეთ მათი გამოხმაურება

ლტოლვილების ჩართულობა მათთვის გასაწევი მომსახურებების შექმნაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში წარმოადგენს ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის ფუნდამენტურ კომპონენტს. ეს არამარტო უზრუნველყოფს მათი როგორც მთავარი სუბიექტების ინტერესების და შეხედულებების, საჭიროებების და შესაძლებლობების სისტემატურად ასახვას, არამედ ზრდის მათი მხრიდან ამ მომსახურებების მიმღებლობის და საკუთარი თანამონაწილეობის განცდის ხარისხს. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს ურთიერთობებს შესაბამის ორგანოებთან და განამტკიცებს დაინტერესებული მხარეების ნდობას ლტოლვილებისადმი, ვინაიდან მათგან უკვე მოელიან აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და არამხოლოდ მომსახურებებით მოსარგებლეების როლში ყოფნას. მათთან კონსულტაციების და მათი მონაწილეობის ეს პროცესი უნდა განივრცოს და შეეხოს არამარტო ცალკეულ პროექტებს, არამედ იქცეს პოლიტიკის ნაწილად, რაც უზრუნველყოფს ლტოლვილთა საჭიროებების რეალურად დაკმაყოფილებას.

ამიტომ უნდა იყოს გზები და პროცედურები განსხვავებული მონაცემების (მაგალითად, ქვეყანაში ცხოვრების ხანგძლივობა, სოციალური კაპიტალი, ბინადრობის სტატუსი, ენის ფლობის დონე და მოქალაქეობის მოპოვების ეტაპი) ადამიანებზე ეფექტური ზრუნვისთვის.

რა დადებითი მხარეები აქვს ლტოლვილებთან ერთად მუშაობას

- უფრო მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებულია ლტოლვითა შეხედულებებზე, ცოდნაზე და უნარებზე;
- ორგანიზებული პარტნიორობები ლტოლვილთა სხვადასხვა ჯგუფებთან, რაც ხელს უწყობს ასაკის, გენდერის ან მრავალფეროვნების მიზეზით მათი გარიყვის რისკების შემცირებას;
- ლტოლვილთა საინტეგრაციო საჭიროებების უკეთ ცოდნა;
- იმ საინტეგრაციო დაბრკოლებების უკეთ ცოდნა, რომლებიც დგას იძულებით გადაადგილებული პირების და მათი მიმღები საზოგადოების წინაშე; ამ დაბრკოლებების გამომწვევი მიზეზების ცოდნა;
- უფრო ეფექტური და ნაკლებხარჯიანი პროგრამები და მომსახურებები;
- თანამშრომლების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობით და მომსახურების მიწოდებით კმაყოფილების უფრო ზუსტი შეფასება;
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების და მომსახურებების გამწევების გაუმჯობესებული ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა როგორც ლტოლვილების, ისე დონორების მიმართ;
- საკუთარი თავის მეტი პატივისცემა, მეტი თავდაჯერებულობა და კონტროლის ქონის შეგრძნება ლტოლვილებში;
- გაძლიერებული სოციალური ჩართულობა და მეტი სოლიდარობა ლტოლვილებში.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

ფართო წარმომადგენლობა: ინტეგრაციის მომსახურებების შექმნის პროცესში ჩართეთ და კონსულტაცია გაიარეთ სხვადასხვა გენდერის, ასაკის, მოქალაქეობის და სხვა მრავალფეროვნების ფაქტორების მიხედვით შერჩეულ ლტოლვილებთან (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობა, განათლების დონე და ა.შ.), რათა ყველას შეხედულება თანაბრად იყოს წარმოდგენილი.

უწყვეტობა: ეს პროცესი გაიაზრეთ და დაგეგმეთ გრძელვადიანი ხედვით და არა როგორც ერთჯერადი საქმიანობა; კონსულტაცია გაითვალისწინეთ და აწარმოეთ წინასწარ, როგორც აუცილებელი პროცედურა.

თანამონაწილეობის განცდა და მონაწილეობის სურვილი: ჩამოაყალიბეთ ნდობის ურთიერთობა და განუმარტეთ კონსულტაციის პროცესის დადებითი მხარეები; მიუდექით მათ, როგორც მცოდნეებს და არა როგორც მომსახურების პასიურ მიმღებებს;

გასაგები კომუნიკაცია: კონსულტაციები აწარმოეთ იმ ენაზე და ისეთ ფორმატში, რომელთა პირობებშიც ლტოლვილები თავს იგრძნობენ კომფორტულად და რომლებიც იძლევა წარმომადგენლობითი მონაწილეობის შესაძლებლობას;

ხელმისაწვდომი პროცესი: მიეცით ლტოლვილებს კონსულტაციის პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, რისთვისაც მიაწოდეთ მასალები და გააცანით პირობები, რაც საჭიროა მონაწილეობისთვის.

სამახსოვრო ჩამონათვალი მომსახურების გამწევებისთვის, რომ მათ იმუშავონ ლტოლვილებთან ერთად

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლტოვილებთან ერთად მუშაობა.

- კონსულტაციების დაწყებამდე **შეაგროვეთ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და მონაცემები** არსებულ ლტოლვილ მოსახლეობასთან და მათ ინტეგრაციასთან დაკავშირებით;
- **დააფიქსირეთ ლტოლვილების ადგილმდებარეობა და მათი საჭიროებები,** განსაზღვრეთ მოწყვლადი და ერთმანეთისგან განსხვავებული სოციალური ჯგუფები;
- **აანალიზეთ შეკრებილი მონაცემები** პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში;
- პროექტის ბიუჯეტის შემუშავებისას **დამფინანსებლებთან და დონორებთან განიხილეთ** ლტოლვილების და კულტურათაშორისი მედიატორების მონაწილეობის მნიშვნელობა;
- **ჩართეთ ლტოლვილები** თქვენი **ინიციატივის შემუშავების** და **განხორციელების პროცესში**;
- **შესთავაზეთ კომპენსაცია და სამგზავრო ხარჯების ანაზღაურება** იმ ლტოლვილებს, რომლებსაც უნდათ თქვენი მომსახურებებით სარგებლობა, მაგრამ აწყდებიან ფინანსურ სირთულეებს;
- კონსულტაციების პერიოდში **ლტოლვილები**, რომელთაც ჰყავთ ოჯახები და ამის გამო ვერ პოულობენ დროს სხვა საქმიანობისთვის, **უზრუნველყავით ბავშვზე ზრუნვით** (ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქალების შემთხვევაში);
- **გამოიყენეთ ხელმისაწვდომი ფორმატი და ადვილად გასაგები ენა,** რომელიც კომფორტული იქნება ლტოლვილებისა და მიგრანტებისთვის პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში კომუნიკაციის დროს;

- მომსახურების გაწევის შემდეგ **ითხოვეთ გამოხმაურებები ბენეფიციარებისგან**; ასეთი გამოხმაურება შეიძლება იყოს, მაგალითად, თხოვნა თქვენს ორგანიზაციაში (სოციალური სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა) საკონტაქტო პირის შეცვლის თაობაზე ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების მიზეზების განმარტების თაობაზე (ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ან სხვა ორგანოების შემთხვევაში);
- თქვენი მომსახურებების შესახებ გამოხმაურების მისაღებად წელიწადში ორჯერ მაინც **ჩაატარეთ კვლევა**;
- **განიხილეთ მიღებული გამოხმაურებები და მიიღეთ ზომები,** რომ მიღებული კომენტარების მიხედვით თანდათან შეიტანოთ კორექტივები თქვენს ოპერაციებში;
- **ჩააბით ლტოლვილები სოციალურ კვლევაში** დიზაინერების, მრჩევლების, მკვლევარების ან გასაუბრების ჩამტარებლების ფუნქციით;
- **აღიარეთ ლტოლვილების უფლება, გამოთქვან თავისი შეხედულებები** თქვენი მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით და **გამოყავით უსაფრთხო ადგილები, სადაც შეიძლება მოსაზრების დაფიქსირება.** მაგალითად, ლტოლვილებმა შეიძლება ითხოვონ შეხვედრა ამა თუ იმ მომსახურების გამწევი განყოფილების თანამშრომელთან ან ხელმძღვანელთან;
- უზრუნველყავით ლტოლვილები გამოხმაურების მექანიზმებით და სისტემატურად აცნობეთ მათ, როგორ იქნა გამოყენებული მათი მოსაზრებები საინტეგრაციო ინიციატივების შექმნის, გადაკეთების ან გაუმჯობესებისთვის და როგორია ამ მომსახურების საბოლოო სახე.

ჩამონათვალი უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის, რომ მათ იმუშავონ ლტოლვილებთან ერთად

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ლტოლვილთა ინტეგრაციის საკითხში და ამიტომ მათ ესაჭიროებათ კონკრეტული მითითებები, თუ როგორ ჩართონ ლტოლვილები მათ საქმიანობასა და მომსახურებებში. ეს სამახსოვრო სია გთავაზობთ ძირითად საკითხებს, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ უზრუნველყონ უფრო მეტად ინკლუზიური მიდგომა მმართველობასა და შესყიდვებში.

- **ხელი შეუწყვეთ** მიგრანტის ან ლტოლვილის წარსულის მქონე **პირების წარმომადგენლობას** რეგიონულ და ადგილობრივ საკრებულოებში, პარლამენტში და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა ორგანოებში ისე, რომ მათი წარმომადგენლობა ასახავდეს მათ რეალურ წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
- **ჩააბით ლტოლვილები გადაწყვეტილების მონაწილეობითად მიღებაში ადგილობრივ დონეზე** (მოქალაქეთა ფორუმები, საკონსულტაციო შეხვედრები, უბნის განვითარება, ა.შ.);
- **შექმენით დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანოები** ადგილობრივ დონეზე, სადაც გაჟღერდება ლტოლვილების და მიგრანტების საჭიროებები და ინტერესები;
- სოციალურ საორიენტაციო საქმიანობებში **შეიტანეთ ინფორმაცია სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით;**
- მომსახურებების მიწოდების თაობაზე გარე ორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადების დროს მომსახურების განხორციელების ერთ-ერთი პირობის სახით ხელშეკრულებაში **შეიტანეთ სპეციალური ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს ლტოლვილების სოციალურ ჩართულობას.**

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობა ლტოლვილებთან ერთად: კარგი პრაქტიკის მაგალითები

ფართო წარმომადგენლობა

ლტოლვილებთან ეფექტური მუშაობისთვის პირველი ნაბიჯია კომუნიკაციის ფიზიკური ადგილის უზრუნველყოფა და კომუნიკაციის შესაძლებლობების შექმნა. იტალიაში რავენას მუნიციპალიტეტმა ცვლილება შეიტანა მუნიციპალიტეტის კოდექსში, რომლის ძალითაც „კულტურათაშორისი ქსელი იმიგრაციის საკითხებზე“ ოფიციალურად იქნა აღიარებული საკონტაქტო პირად მუნიციპალიტეტთან ურთიერთობებში. ქსელში გაწევრიანება შეუძლია ყველა მოქალაქეს და განსაკუთრებით მიგრანტებს და ლტოლვილებს.

კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც რავენას მუნიციპალიტეტმა გაატარა ლტოლვილთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, გახლავთ ფოკუს ჯგუფების და მსოფლიო კაფეების მოწყობა. ამ ინსტრუმენტებს მუნიციპალიტეტი იყენებს შესაძლო ბარიერების თაობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად. ფოკუს ჯგუფის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იქნა მონაწილეთათვის საერთო ენა: ყველა მონაწილე უნდა საუბრობდეს ერთი და იგივე ენაზე ან როგორც მინიმუმ თავისუფლად უნდა შეეძლოთ ურთიერთობა როგორც ფასილიტატორებთან, ისე ერთმანეთთან. დისკუსიის შემდეგ ეწყობა ცალკე შეხვედრები, სადაც განიხილება მონაწილეთა მოთხოვნები და მათ შეეთავაზებათ ინდივიდუალური ფსიქოლოგიური და ტექნიკური დახმარება.

გასაგები კომუნიკაცია

ნორვეგიაში ოსლოს ვიცე მერი, რომელიც პასუხისმგებელია მრავალფეროვნების საკითხებზე, ყოველკვირეულად ატარებს ონლაინ შეხვედრებს უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რა დროსაც ხდება არსებული სიტუაციის გაცნობა, საჭიროებების განხილვა და შეთანხმება მოქმედებებზე, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების ღონისძიებების და სოციალური დისტანცირების წესების შესასრულებლად. ქალაქ ოსლოს შექმნილი აქვს ონლაინ საინფორმაციო გვერდი სხვადასხვა ენებზე. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს მოწყვლად უმცირესობათა ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და გადასცემს მათ სპეციალურ საინფორმაციო პლაკატებს და რთავს მათ სოციალური მედიის კამპანიებში. საინფორმაციო პლაკატები გამოფენილია მაღაზიებში, მეჩეთებში, ეკლესიებში და სხვა დაწესებულებებში, რომ ყველა მაცხოვრებელს მიუწვდებოდეს ხელი განახლებულ და სწორ ინფორმაციაზე. სპეციალური ზომები იქნა მიღებული, რომ ინფორმაცია და დახმარება მისულიყო ბოშებთან და დოკუმენტების არმქონე მიგრანტებთან.

თანამონაწილეობის განცდა და მზაობა

იმიგრანტების, ლტოლვილების და ეთნიკური უმცირესობების ოფიციალურ კონსულტაციებში ჩართვის კარგი მაგალითია საკონსულტაციო საბჭო ეთნიკური ურთიერთობების საკითხებზე (ETNO) ფინეთში. ეს არის ექსპერტთა ფორმალური ქსელი ინტეგრაციის, მიგრანტების და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე. ქსელში შედის ეროვნული საკონსულტაციო საბჭო და შვიდი რეგიონული საბჭო, რომლებიც ოთხი წლის ვადით ირჩევიან, აგრეთვე 300 წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან, მიგრანტთა და მრავალკულტურული გაერთიანებებიდან, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაერთიანებებიდან, პოლიტიკური პარტიებიდან, შრომითი ბაზრის ორგანიზაციებიდან, სამინისტროებიდან, რეგიონული ხელისუფლების ორგანოებიდან და მუნიციპალიტეტებიდან.

მალტაზე თეატრმა Teatru Salesjan პროექტ „Capcapcaplaq"-ის ფარგლებში თავის პროექტებთან დაკავშირებით შემოიღო ქალებისგან გამოხმაურებების მიღების სისტემა. გამოხმაურებების მიღების შემდეგ იმართება რეგულარული საკონსულტაციო საქმიანობები ლტოლვილების მონაწილეობით, რათა მათი წვლილი და მოსაზრებები მომსახურებების ხარისხის თაობაზე გათვალისწინებული იყოს პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში. გარდა ამისა, პროექტების მონიტორინგისა და ანალიზის მიზნებისთვის სისტემატურად იკრიბება პროექტების მიმდინარეობის მონაცემები.

პოლონეთში ქალაქმა გდანსკმა განაცხადა, რომ პოლონეთში პირველად შეიქმნა იმიგრანტთა საბჭო, რომელიც გდანსკის მერს და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს კონსულტაციას უწევს მიგრანტების და ლტოლვილების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მრავალფეროვანი იმიგრანტი მოსახლეობის ადეკვატურად წარმომადგენლობის მიზნით, მოხალისეები შეირჩევიან იმგვარად, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ თავიანთი წარსულით, განათლებით და რელიგიური მრწამსით. შეზღუდული უფლებამოსილების და საკუთარი ბიუჯეტის არქონის მიუხედავად, საბჭო სასარგებლო აღმოჩნდა განსაკუთრებით კოვიდ 19-ის პანდემიის დროს, რადგან ის ქალაქს აწვდიდა პირველწყაროდან მიღებულ ინფორმაციას უცხოელების და ლტოლვილების საჭიროებების შესახებ.

გდანსკის თანასწორი მოპყრობის ცენტრი არის უსაფრთხო ადგილი, სადაც შეიძლება საჩივრის შეტანა მოქალაქეობის, რასის, რელიგიის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გამო. ცენტრს აქვს 7 პუნქტი, რომლებსაც უძღვებიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები მრავალფეროვანი შემადგენლობით.

2016 წელს, ქალაქ ვარშავის მერიამ შეიმუშავა „აქტიური მაცხოვრებლის ცნობარი" ინგლისურ, უკრაინულ და ვიეტნამურ ენებზე. ცნობარში წარმოდგენილია ქალაქის საქმიანობებში (მაგ., ბიუჯეტის დაგეგმვა და ადგილობრივი ინიციატივები) უცხოელების ჩართვის შესაძლებლობები, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა.

არასამთავრობო ორგანიზაციების და მომსახურების გამწევების მუშაობა ლტოლვილებთან ერთად: კარგი პრაქტიკის მაგალითები

პროცესის ხელმისაწვდომობა

თურქეთში ოჯახის, ქალების და შშმ პირთა დაცვის ცენტრი (AKDEM) ახორციელებს სოციალური დაცვის, საარსებო წყაროების, სოციალური ერთობის და კოორდინაციის პროგრამებს ლტოლვილებისთვის ზეითინბურნუს მუნიციპალიტეტში. AKDEM არის საზოგადოებრივი ცენტრი მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაუცველი ჯგუფებისთვის და მუშაობს ყოვლისმომცველი მიდგომით მოწყვლად პირებთან მიმართებაში, მიუხედავად მათი სამართლებრივი თუ მოქალაქეობის სტატუსისა. AKDEM-ის საქმიანობის სფეროს და ინკლუზიური მიდგომის გათვალისწინებით ლტოლვილი ქალები და ბავშვები ერთვებიან სოციალური დაცვის მომსახურებებში და ცენტრის მიერ შეთავაზებულ გაძლიერების საქმიანობებში. დედები მუშაობენ საფეიქრო საამქროებში და ესწრებიან თურქულის გაკვეთილებს. ცენტრის მომსახურებები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე, მათ შორის სირიიდან და ავღანეთიდან წამოსული ლტოლვილებისთვის. ზრუნვის საჭიროების მქონე პირები სხვადასხვა განათლებისა და მონაცემების ადამიანები არიან.

პოლონეთში, მაზოვის სავოევოდოში არსებობს კითხვარი იმ უცხოელებისთვის, რომელთაც სურთ პოლონეთში თავიანთი ყოფნის ლეგალიზება. კითხვარი მოიცავს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან უცხოელები მაზოვის სავოევოდოს ადმინისტრაციის მომსახურებით.

გდანსკში იმიგრანტთა მხარდაჭერის ცენტრში (Centrum Wsparcia Imigrantów i Imigrantek) ფუნქციონირებს იმიგრანტთა უფლებების დაცვის პუნქტი, რომელიც დახმარებას უწევს იმიგრანტებს, რომლებსაც უთანასწოროდ მოექცნენ მათი მოქალაქეობის სტატუსის გამო ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამსახური, ბინა, უსაფრთხოება, სკოლა და ოფიციალურ ორგანოებთან ურთიერთობა.

ფართო წარმომადგენლობა

პოლონეთში ასოციაცია „დედამიწისთვის“ მცირე ზომის საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ლტოლვილთა ინტეგრაციის საქმიანობებს ახორციელებს პოლონეთის ერთ-ერთ ლტოლვილთა ცენტრში. ლტოლვილებთან წინასწარი კონსულტაცია იმართება ასოციაციის ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებაში. ქალი ლტოლვილების გაძლიერების მიზნით დაფუძნდა ქალთა შეხვედრის კლუბი, სადაც ლტოლვილები სწავლობენ ხელსაქმეს პოლონელი ქალებისგან. მომავალში იგეგმება სოციალური საწარმოს გახსნაც, სადაც ლტოლვილი ქალები აწარმოებენ და შემდეგ გაყიდიან თავიანთ ნაწარმს, რაც ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას.

„ფონდი სომალისთვის“ არის მრავალკულტურული ორგანიზაცია, რომელიც ღიაა ყველა მიგრანტისთვის მათი მოქალაქეობის და რელიგიის მიუხედავად, რომელსაც ერთობლივად უძღვებიან როგორც სხვადასხვა მოქალაქეობის მიგრანტები, ისე პოლონელები. ლტოლვილებთან მჭიდრო თანამშრომლობით ფონდი სხვადასხვა პროექტს ახორციელებს: 1) **არაფერი ჩვენზე უჩვენოდ** ითვალისწინებს უცხოელებთან კონსულტაციას მათი საჭიროებების თაობაზე და მათი პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზებას; 2) **მიგრანტთა ინტერკულტურული ინკუბატორი** უცხოელებს ეხმარება საკუთარი ორგანიზაციების დაფუძნებასა და გაძღოლაში; 3) **მეწარმეობის ანბანი** არის სრულმეტრაჟიანი კურსი ბიზნესის დაწყების და წარმოების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ უცხოელები იღებენ შემდგომ ინდივიდუალურ დახმარებას.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

ქალაქების ევროპული კოალიცია რასიზმის წინააღმდეგ (ECCAR), ECCAR-ის ათპუნქტიანი სამოქმედო გეგმა. ინსტრუმენტების კრებული თანასწორობის სფეროში. საქალაქო პოლიტიკა რასიზმის წინააღმდეგ, 2017წ.

ეს ინსტრუმენტების კრებული თანასწორობის სფეროში არის სახელმძღვანელო, რომელიც ქალაქებს დაეხმარება ისეთი ადგილობრივი პოლიტიკის გატარებაში ან არსებულის შეცვლაში, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებულ ბრძოლას რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ქსელი „SHARE“, ვებინარი, მონაწილეობა და თანაშემოქმედება ლტოლვილების და მიგრანტების ევროკავშირში ინტეგრაციისთვის, 15 დეკემბერი, 2020წ.

ქსელი „SHARE“ ჩამოთვლის 10 ძირითად პრინციპს და გასათვალისწინებელ საკითხს მონაწილეობითი და თანაშემოქმედებითი მიდგომის დასანერგად ლტოლვილებისა და მიგრანტებისადმი.

ტორფა მ., ორგანიზაციები ლტოლვილების ხელმძღვანელობით ევროპაში: პოლიტიკის შექმნაში შეტანილი წვლილი, შესაძლებლობები და გამოწვევები, ECRE-ს (ევროპული საბჭო ლტოლვილების და ემიგრანტების საკითხებზე) სამუშაო დოკუმენტი, 2019წ.

ამ დოკუმენტში შეფასებულია, რამდენად პოზიტიური წვლილის შეტანა შეუძლიათ ლტოლვილების ხელმძღვანელობით მოქმედ ორგანიზაციებს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და პრაქტიკული გამოსავლების მოძებნაში ლტოლვილთა საკითხებთან დაკავშირებით და რეალურად რატომ არ არიან ისინი ჩართული თავშესაფრის და ინტეგრაციის პოლიტიკის/პრაქტიკის შექმნაში, შეფასებაში და განხილვაში ევროკავშირის დონეზე.

UNHCR, უფრო უსაფრთხო და უფრო ძლიერი: დიდ ბრიტანეთში განსახლებული ლტოლვილი ქალების გამოცდილება, 2020წ

ამ ანგარიშში წარმოდგენილია მონაწილეობითი შეფასების დასკვნები დიდ ბრიტანეთში დიდი ბრიტანეთის განსახლების სქემების საფუძველზე განსახლებული ლტოლვილი ქალების დაცულობის და მათი ინტეგრაციის მდგომარეობის შესახებ.

UNHCR, ლტოლვილთა უკეთესად დაცვა ევროკავშირში და მსოფლიოში: UNHCR-ის წინადადებები უკეთესი მართვით, პარტნიორობით და სოლიდარობით ნდობის მოპოვების თაობაზე, 2016წ.

ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ხედვა, თუ როგორ შეიძლება სამომავლოდ ევროკავშირში ყოვლისმომცველი პოლიტიკის დანერგვა თავშესაფრის და ლტოლვილთა საკითხებთან მიმართებაში, როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის გარეთ ისე, რომ გრძელვადიან პერიოდში ამ პოლიტიკამ ხელი შეუწყოს ლტოლვილთა ნაკადებზე ეფექტურად რეაგირების ურთიერთ-შეწყობილი საკავშირო მექანიზმების განვითარებას.

UNHCR, UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული მონაწილეობითი შეფასებისთვის ოპერაციების დროს, 2006წ.

UNHCR-ის ინსტრუმენტების კრებული განმარტავს ნაბიჯებს ლტოლვილების და ზრუნვის ქვეშ მყოფი სხვა პირების ჩართულობით მონაწილეობითი შეფასების განხორციელებისთვის. მონაწილეობითი შეფასება განმარტებულია, როგორც „ყველა ასაკის და გამოცდილების ლტოლვილ ქალებთან და კაცებთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, სტრუქტურირებული დიალოგის საფუძველზე მათი მიზნობრივი მონაწილეობის ხელშეწყობით“

5.5 ჩართეთ ადგილობრივი ჯგუფები და ხელი შეუწყვეთ მოხალისეობას

მობილიზება გაუკეთეთ მიმღებ საზოგადოებაში არსებულ რესურსებს და ხელი შეუწყვეთ ნდობას და პოზიტიურ იმიჯს

ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებელი კომპონენტია ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა. ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია, რომელიც მიმღები საზოგადოებისგან მხარდაჭერას და აქტიური როლის შესრულებას მოითხოვს. ინტეგრაციის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებმა ხელი უნდა შეუწყონ მკვიდრი მოქალაქეების როლს, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით გამოკვეთონ მათი მოვალეობაც და წაახალისონ სამოქალაქო ინიციატივები. საბოლოო მიზანია კეთილმიმღებლური სოციალური კლიმატის ჩამოყალიბება, რომელიც თავისუფალი იქნება ქსენოფობიისა და დისკრიმინაციისგან. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და მომსახურებების გამწევებისთვის ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის ლტოლვილთა ინტეგრაციის სფეროში მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდაჭერა.

მოხალისეობრივი საქმიანობები ძალიან უწყობს ხელს ინტეგრაციას, რადგან ამ დროს ვითარდება ლტოლვილთა და მიგრანტთა უნარები და პირადი კავშირები და ხდება სახელმწიფოს საინტეგრაციო ღონისძიებების შევსება (ხშირად კი მათი მთლიანი ჩანაცვლება). ეს ინიციატივები აძლიერებს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრაციას, რადგან უფრო მეტია შეხება ადგილობრივ ენასთან და კულტურასთან და იზრდება ინდივიდუალური მხარდაჭერა. ასეთი ინიციატივები მნიშვნელოვანია ჩამოსვლის და მიღების ეტაპზე, რადგან ხელს უწყობენ თავშესაფრით უზრუნველყოფას და პირველად ორიენტაციას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ გრძელვადიანი ჩართულობის მიზნებისთვისაც.

მოხალისეობრივი საქმიანობების მხარდაჭერის დადებით მხარეები

- ხშირად უფრო ხელმისაწვდომი და ინოვაციურია, ვიდრე სტრუქტურულად მოქმედი საინტეგრაციო პროგრამები;
- მათი გამოცდა და განხორციელება ადვილად შეუძლიათ სხვადასხვა კატეგორიის პრაქტიკოსებს, რომლებიც უშუალოდ ადამიანებთან ურთიერთობით არიან დაკავებული;
- მოხალისეებს და ადგილობრივებს თავიანთი პროფესიული გამოცდილების და თავიანთი სფეროს ცოდნის გამოყენება შეუძლიათ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ;
- სწრაფი, მოხერხებული და თანამშრომლობითი „სტარტაპ“ სტრუქტურები, რომლებიც იძლევა „ქვემოდან ზემოთ“ ინიციატივების განხორციელების და ვირტუალური მონაწილეობის საშუალებას;
- მოქალაქეების მონაწილეობასა და მოქალაქეებისგან მიღებულ დაფინანსებაზე (crowdsourcing) დაფუძნებული გამოსავლები;
- კერძო სოციალური ქსელების და ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის აპების და ონლაინ პლატფორმების რეგულარულად გამოყენება;
- მეტი ხილვადობა და მეტი წვდომა კომუნიკაციაზე მეტი ყურადღების შედეგად, რაც ნაკლებად ხდება სტრუქტურულად მოქმედი საინტეგრაციო პროგრამების შემთხვევაში.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

ინდივიდუალიზებული და უწყვეტი დახმარება: ხელი შეუწყვეთ ლტოლვილების სოციალურ ჩართულობას, ინდივიდუალური / თანატოლური პრინციპით მუდმივი მენტორის მიჩენით, რაც დაეხმარება მათ ნდობის და ხანგრძლივი ურთიერთობების აწყობაში;

დახმარების მოდელების სრული სპექტრის გამოყენება: გამოსცადეთ და ერთმანეთთან კომბინაციაში გამოიყენეთ მოხალისეობრივი საქმიანობის ყველა ფორმა, როგორიცაა დასვენება თუ გართობა, განათლება, მუშაობა, ოჯახი და „ბიუროკრატიული“ მენტორინგი;

ყველა მონაწილე მხარის კულტურათაშორისი უნარების გაუმჯობესება: საქმიანობები დაგეგმეთ იმგვარად, რომ გაძლიერდეს როგორც მოხალისეების, ისე ბენეფიციარების კულტურათაშორისი უნარები და მათ შორის ურთიერთგაგება;

უკვე დასახლებული იმიგრანტების ჩართულობა: მოახდინეთ ადრე ჩამოსული ლტოლვილების და იმ მაცხოვრებლების მობილიზება, რომლებსაც აქვთ მიგრანტობის წარსული და ჩართეთ ისინი მოხალისეობრივ საქმიანობაში, როგორც „ხიდის მშენებლები“ და კულტურათაშორისი უნარების მფლობელები;

დახმარების და ინფორმირების კომბინირება: გააუმჯობესეთ საზოგადოების აზრი ინტეგრაციის შესახებ და განავითარეთ „კეთილმიმღებლური კულტურის“ იდეა, რისთვისაც გააძლიერეთ მოხალისეობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია და გამოკვეთეთ ლტოლვილთა და მიგრანტთა მონაწილეობა სამოქალაქო საქმიანობებში;

მოხალისეების საქმიანობების ზუსტი თანხვედრა ლტოლვილთა კონკრეტულ საჭიროებებთან: გამოიყენეთ საჭიროებათა დამთხვევის ონლაინ პროგრამები და მოხალისეთა მონაცემთა ბაზები, რომ სისტემატურად მოუყაროთ ერთად თავი გაბნეულ მოხალისეებს და მხარი დაუჭიროთ შესაძლებლობებს;

დროის და ადგილის განსაზღვრა საჭიროებების მიხედვით: საქმიანობები დაგეგმეთ ისე, რომ ისინი განხორციელდეს თავისუფალ დროს (შაბათ-კვირას, სამუშაო საათების შემდეგ) და იმავე უბანში ან იმ უბანთან ახლოს, სადაც მდებარეობს ბენეფიციართა საცხოვრებელი მიმღები ცენტრი.

სამახსოვრო პუნქტები მოხალისეობრივი ინიციატივების ხელშეწყობისთვის

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოხალისეობრივი ინიციატივების მხარდაჭერა.

- **ჩაუტარეთ სწავლება მოხალისე მენტორებს და მოახდინეთ მათი კოორდინაცია.** დააწყვილეთ ისინი ლტოლვილებთან და მიგრანტებთან მათი საცხოვრებელი ადგილის და საერთო პროფესიის ან ინტერესების მიხედვით;
- **აქცენტი გააკეთეთ სწავლაზე ორიენტირებულ ინიციატივებზე**, რაც ხელს შეუწყობს ენის ათვისებას და ტექნიკურ ან უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას. ეცადეთ შექმნათ ისეთი შეთავაზებები, რომლებიც შეავსებს სტრუქტურული საინტეგრაციო პროგრამებით გათვალისწინებულ ენის სწავლების და სოციალური ორიენტაციის კურსებს;
- **მიუჩინეთ რეპეტიტორი თანატოლური პრინციპით**, რომელიც სკოლის მოსწავლეებს დაეხმარება გაკვეთილების მომზადებაში, გამოცდებზე გასვლაში და სკოლიდან სამსახურში გადასვლაში;
- **ხელი შეუწყვეთ ერთად სწავლებას და ერთობლივ კულტურულ და გასართობ აქტივობებს**, რომლებიც დაფუძნებული იქნება ლტოლვილების და მიგრანტების უნარებზე და ინტერესებზე, მაგ., კულინარია, სპორტი, ხელოვნება და ხელობა, რაც მოქმედებაში მოიყვანს ლტოლვილების და მიგრანტების სოციალურ და კულტურულ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს კულტურათაშორის სწავლებას;
- **ხელი შეუწყვეთ მენტორობის პროგრამებს დასაქმების და თვითდასაქმების მიზნით**, რომლის დროსაც მენტორი აქცენტს გააკეთებს მოტივაციაზე, მისაბაძ მაგალითებზე, პროფესიულ კონტაქტებზე, „რბილ უნარებზე“ და ახალგაზრდა ზრდასრულების და ქალების კონკრეტულ საჭიროებებზე;
- **ხელი შეუწყვეთ ოჯახის მენტორის პროგრამებს** განცალკევებული ოჯახის წევრებს ან ცალკე მცხოვრებ ბავშვებსა და მათ ოჯახებს შორის კავშირის აღდგენის მიზნით; მენტორმა უნდა შესთავაზოს ემოციური თანადგომა და ხელმძღვანელობა, რომ მათ თავი იგრძნონ მიღებულად; თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნის შემთხვევაში კი მენტორმა უნდა შეასრულოს კანონიერი წარმომადგენლის როლიც;

ხელი შეუწყვეთ ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ითვალისწინებს ახალმოსულების თანხლებას ბიუროკრატიული პროცესის განმავლობაში - რეგისტრაციისა და საცხოვრებლად დასახლების დროს. ამისათვის გამოიყენეთ ისეთი მოხალისეები, რომლებმაც იციან როგორ გაიკვლიონ გზა შესაბამის სახელმწიფო თუ ადგილობრივ ორგანოებში, ახალმოსულების ინდივიდუალური საჭიროებების და ინტერესების დაცვის მიზნით;

გამოიყენეთ ონლაინ ინფორმაციის, ორიენტაციის და თარგმნის ინსტრუმენტების პოტენციალი;

გამოხატეთ მხარდაჭერა, მონაწილეობა მიიღეთ საჯარო დებატებში და მოიზიდეთ საზოგადოების და მედიის მეტი ყურადღება. საზოგადოებრივი კამპანიების გზით ერთმანეთთან დააკავშირეთ ახალმოსულები და მათი ადგილობრივი მეზობლები, რითაც დაუპირისპირდებით ჭორებს და მოიხვეჭთ მიმღებლობას, ნდობას და დახმარების სურვილს.

მოხალისეობის მხარდაჭერა: კარგი პრაქტიკის მაგალითები

ინდივიდუალიზებული და უწყვეტი დახმარება:

ფინეთში 2012 წლიდან პროექტი Womento ითვალისწინებს განათლების მქონე მიგრანტი ქალებისთვის თანატოლი რეპეტიტორის მიჩენას. Womento-ს თანამშრომლები არჩევენ მენტორს, რომელიც იმიგრანტ ქალთან განიხილავს ფინეთში მუშაობის საკითხებს ან აცნობს ფინურ ენაზე იმ სიტყვათა მარაგს, რომლებიც მას დაეხმარება თავის პროფესიაში ან ვაკანსიაზე განცხადების შეტანაში და რეზიუმეს მომზადებაში. თითოეული ასეთი წყვილი ინდივიდუალურად მუშაობს და ეს მომსახურება არის უფასო.

სერბეთში ადამიანის უფლებათა ბელგრადის ცენტრი სერბეთში UNHCR-ის წარმომადგენლობის აქტიური მონაწილეობით 2021 წლის აპრილიდან ახორციელებს საპილოტე პროექტს „ლტოლვილები ლტოლვილებისთვის“ (R4R). პროექტის ფარგლებში ლტოლვილები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ ქვეყანაში, გამოცდილებას უზიარებენ იმ ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთაც დამატებითი დახმარება ესაჭიროებათ სერბეთის საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის. დამხმარის როლში მყოფ ლტოლვილებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ მათ მსგავს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს დაეხმარონ გაშინაურებაში და საკუთარი უფლებების და ვალდებულებების გაცნობაში. მათ შეუძლიათ გააძლიერონ სხვა ლტოლვილები თავიანთი პირადი გამოცდილების და სხვადასხვა ცოდნისა თუ უნარის გაზიარებით, რომლებიც აუცილებელია სერბეთში ახალი ცხოვრების დასაწყებად.

დახმარების მოდელების სრული სპექტრის გამოყენება:

2004 წლიდან ფინეთში ეროვნული მასშტაბით მოქმედებს ქსელი **ვიკითხოთ ერთად**, რომელიც ფინური ენის ცოდნას და ფინურად წერა-კითხვას ავრცელებს ფინეთში მყოფ იმიგრანტ ქალებსა და გოგონებს შორის და ამით ეხმარება მათ ფინეთის საზოგადოებაში ინტეგრაციაში. სასწავლო ჯგუფები იკრიბებიან კვირაში ერთხელ ორი საათით. გარდა ამისა, ქსელი აწყობს სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს და აქვეყნებს საგანმანათლებლო მასალებს.

მხარდაჭერის გაწევის და ინფორმირების კომბინირება:

ესტონეთში **„ტოლერანტულმა ესტონეთმა“** თავის კონცერტებზე უამრავი აუდიტორიის მოზიდვა შეძლო და საჯარო დებატებშიც ჩაერთო ძირითად მედია საშუალებებთან პარტნიორობით. ლტოლვილთა კრიზისისთვის გაადამიანურების და ცალკეული ადამიანების ბედის გამოკვეთის მიზნით, კონცერტებში უშუალოდ იყვნენ ჩართული და საზოგადოების მხრიდან დანახული ლტოლვილი მუსიკოსები და შემსრულებლები. ეს კომპონენტი მრავალ კულტურულ ინიციატივაში იყო გათვალისწინებული.

მოხალისეების საქმიანობის ზუსტი თანხვედრა ლტოლვილთა კონკრეტულ საჭიროებებთან

ფინეთში ადგილობრივი ინიციატივის ფარგლებში შეიქმნა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოქმედი მრავალენოვანი მობილური აპლიკაცია **ამოირჩიე შენი მომავალი**, რომლის საშუალებითაც მიგრანტებს ადვილად და სწრაფად შეუძლიათ აღმოაჩინონ თავიანთი ახალი მშობლიური ქალაქი, იპოვონ საინტერესო ღონისძიებები და გაიცნონ ადამიანები; **სტარტაპი ფუნზი** „სასწავლო პაკეტის“ პროგრამას სთავაზობს თავშესაფრის მაძიებლებს, სარწმუნო ინფორმაციას აწვდის მობილური ტელეფონების მომხმარებლებს და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას ფინეთში.

ფინეთში **სტარტაპი ლტოლვილებისთვის** ასობით იმიგრანტს და ლტოლვილს დაეხმარა მათი ოცნების ასრულებაში — გამხდარიყვნენ მეწარმეები. პროგრამას ახორციელებენ ცნობილი მეწარმეები 300-იოდე ბიზნეს ორგანიზაციიდან და სამთავრობო და არასამთავრობო პარტნიორებიდან. გარდა ამისა, წამოწყებას ეხმარება 300 მოხალისე, რომლებიც მიმღებ ცენტრებში ახდენენ ლტოლვილთა სამეწარმეო უნარების აღრიცხვას, მენტორების შერჩევას და ბიზნეს ინკუბატორის მოწყობას იდეის განსავითარებლად.

ყველა მონაწილე მხარის კულტურათაშორისი უნარების გაუმჯობესება

გერმანიაში **ქირონის უნივერსიტეტმა** შექმნა ონლაინ სწავლების პლატფორმა მთელი მსოფლიოს ლტოლვილებისთვის და დაუცველი ჯგუფებისთვის ახლო აღმოსავლეთიდან. 1500 აბიტურიენტმა შეიტანა განცხადება ორწლიან სასწავლო პროგრამაში ჩარიცხვაზე სხვადასხვა სპეციალიზაციით, როგორიცაა კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინჟინერია, ბიზნესი და ეკონომიკა, სოციოლოგია. სტუდენტები ერთმანეთს ეხმარებიან როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ ჯგუფებში შეხვედრების მეშვეობით. პირველი ონლაინ ეტაპის გადალახვის შემთხვევაში შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ 22 პარტნიორ უნივერსიტეტში.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის ბროშურა, როგორ ეხმარებიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ლტოლვილებს და მიგრანტებს ევროკავშირში: წარმატებული გამოცდილება და პერსპექტიული პრაქტიკა 2016 წლის EESC-ის სამოქალაქო საზოგადოების ჯილდოს ნომინაციებიდან, 2017წ.

ამ გამოცემაში ზოგადად მიმოხილულია სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები, რომლებიც ევროკავშირში ლტოლვილების და მიგრანტების წარმატებით ინტეგრაციას ეხება.

ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის საკითხებზე (EWSI), სარედაქციო ჯგუფი, შედარებითი ანალიზი: მოხალისეთა და მოქალაქეთა ინიციატივები 2015 წლამდე და მის შემდეგ, 2016წ.

ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის საკითხებზე გთავაზობთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში წამოწყებული მოხალისეობრივი ინიციატივების ანალიზს, მათ შორის ცალკეული ქვეყნების მიხედვით. აღნიშნულია ახალი ინიციატივები, შედარებულია მანამდე არსებულთან და გაანალიზებულია მათი ნოვაცია, დამატებითი სარგებელი და შესაძლო გავლენა ინტეგრაციაზე.

ქსელი „სირიუსი“, მენტორინგი: რისი მიღწევა შეუძლია მხარდაჭერის პროექტებს სკოლებისგან განსხვავებით?, 2014წ.

ამ პოლიტიკის დოკუმენტში გამოკვლეულია მენტორინგის დადებითი მხარეები და მენტორინგის ორგანიზაციების პროფესიონალიზაცია, აგრეთვე როგორ შეიძლება პოლიტიკის შემქმნელებმა მენტორინგის და სხვა დახმარების პროექტები განათლების სფეროში აქციონ განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილად. გარდა ამისა, მოცემულია წარმატებული მენტორინგის მაგალითები, რომელთა შემთხვევაშიც მოხერხდა მიგრანტების შვილების ფარული ნიჭების და პოტენციალის გამოვლენა.

UNHCR, ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომა UNHCR-ის ოპერაციებში, 2008წ.

ეს არის UNHCR-ის სახელმძღვანე-ლო, რომლის მიზანია დაეხმაროს UNHCR-ის თანამშრომლებს ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვაში UNHCR-ის ოპერაციებისას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ზრუნვის ქვეშ მყოფი პირები იყონ მთავარი ამოსავალი წერტილი ყველა იმ გადაწყვეტილე-ბისა, რომელიც მათ ცხოვრებას ეხება.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), საერთაშო-რისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) და ორგანიზაცია Terre des hommes (Tdh), ინსტრუმენტების კრებული: სპორტი ადამიანების დასაცავად. პროგრამების შემუშავება იძულებით გადაადგილებაში მყოფ ახალგაზრდებთან ერთად, 2018წ.

ინსტრუმენტების კრებული „სპორტი ადამიანების დასაცავად“ არის ლტოლვილთა ოლიმპიური ფონდის სახელმძღვანელო და ის შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სფეროს ორგანიზაციების და დაინტერესებული მხარეების მიერ, რათა მათ უკეთ გაიაზრონ და განახორციელონ პროგრამირება პრინციპით „სპორტი ადამიანების დასაცავად“.

ვოლფჰარტ ა., კონტე კ., ჰადლსტონ ტ., ლტოლვილთა ინტეგრაციის ევროპული მაჩვენებელი. ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმის (NIEM) მიერ ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი, ვარშავა/ბრიუსელი, 2019წ.

ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმის (NIEM) ზემოაღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებული ლტოლვილთა საინტეგრაციო სისტემების ურთიერთშედარებითი შეფასება. ანალიზში აქცენტი გაკეთებულია სამართლებრივ და პოლიტიკის ინდიკატორებზე, აგრეთვე სხვა ინდიკატორებზე, რომლებიც ზომავს ლტოლვილთა ინტეგრაციის ავტომატურად გათვალისწინებას ყველა სფეროში, პოლიტიკის კოორდინაციას და მიმღები საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის ღონისძიებებს.

5.6 მიიღეთ ზომები რომ საინტეგრაციო და ჩართულობის დახმარება იყოს ყოვლისმომცველი

დაამყარეთ კავშირები და მოახდინეთ კოორდინაცია მომსახურებების სხვა გამწევებთან და შეავსეთ სისტემაში არსებული ხარვეზები

ლტოლვილთა ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა მთელი მთავრობის და მთელი საზოგადოების გააქტიურებას მოითხოვს. იგულისხმება შემდგარი და პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა ყველა შესაბამის სუბიექტს შორის, როგორიცაა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფო სერვისები, სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება. ეს ასევე მოითხოვს ინტეგრაციის სტრუქტურულად და გრძელვადიანად დაფინანსებას და ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის სტაბილური დაფინანსების ხელმისაწვდომობას. ერთმანეთთან შეწყობილად მუშაობა და პოლიტიკის ერთობლივად განხორციელება იძლევა უფრო კონცენტრირებული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას, რაც უფრო ადეკვატურად პასუხობს ლტოლვილების საჭიროებებს და შეხედულებებს.

იმის გამო, რომ სხვადასხვა მხარის მონაწილეობა ზრდის ლეგიტიმაციას და სამოქალაქო საზოგადოებაც / რეგიონული აქტორები უფრო აქტიურ როლს ასრულებენ, ამგვარად შემუშავებული პოლიტიკა უფრო მდგრადი იქნება და უფრო ძლიერ შედეგებს გამოიღებს. სახელმწიფოსგან მეტი მხარდაჭერის პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მეტი წვლილი შეიტანონ ლტოლვილების მიმღებ საზოგადოებაში გრძელვადიანი ჩართვის კუთხით.

ლტოლვილებთან ერთად მუშაობის დადებითი მხარეები

- სტაბილური, გრძელვადიანი და მრავალსუბიექტიანი პარტნიორობები მმართველობის სხვადასხვა დონეზე, რაც აძლიერებს მონაწილე სუბიექტების მიერ ლტოლვილთა ინტეგრაციაში წვლილის შეტანის შესაძლებლობებს;
- ინტეგრაცია და მრავალფეროვნება უკვე ჩაშენებული საკითხია ყველა შესაბამის სფეროში, მომსახურებაში და პოლიტიკაში;
- გაძლიერებული კოორდინაცია ლტოლვილთა ინტეგრაციის საკითხებზე რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის;
- გაუმჯობესებული კოორდინაცია ადგილობრივ ხელისუფლებასა და დასაქმების, ჯანდაცვის, ბინით უზრუნველყოფის და განათლების ორგანოებს და პროვაიდერებს შორის;
- ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა არასამეწარმეო ორგანიზაციების უწყვეტი ხელმისაწვდომობა რესურსებზე და მხარდაჭერაზე ხელს უწყობს ლტოლვილთა გრძელვადიან ჩართულობას.

წარმატების ფაქტორები: კრიტერიუმები კარგი პრაქტიკის მისაღწევად

მრავალსუბიექტიანი და მრავალდონიანი სტრატეგია: ერთობლივად შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი საინტეგრაციო სტრატეგია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, მომსახურების გამწევები და სამოქალაქო საზოგადოება;

თანამონაწილეობის შეგრძნება და მონაწილეობა: მხარი დაუჭირეთ ლტოლვილების რეგულარულ ჩართულობას და მათთან კონსულტაციას სამოქალაქო საქმიანობებში, ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღებაში;

მიმღები საზოგადოების ჩართულობა: ინტეგრაციას შეხედეთ როგორც ორმხრივ პროცესს და მხარი დაუჭირეთ მიმღები საზოგადოების როლის გააქტიურებას ადგილობრივი სახელმწიფო პოლიტიკის უკეთ გატარებაში;

სტრუქტურული დაფინანსების ხელმისაწვდომობა: ინტეგრაციის ღონისძიებებისთვის უზრუნველყავით მდგრადი, მრავალწყაროიანი და საკმარისი რესურსები, რომლებიც იძლევა უწყვეტობის და განვითარების შესაძლებლობას. ბევრ ქვეყანაში და ბევრ შემთხვევაში ეს ნიშნავს ხელმისაწვდომობის მოპოვებას ევროკავშირის მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების და ლტოლვილთა ორგანიზაციებისთვის გამოყოფილ თანხებზე.

სამახსოვრო პუნქტები, რომ დაამყაროთ კავშირები და მოახდინოთ კოორდინაცია მომსახურებების სხვა გამწევებთან და შეავსოთ სისტემაში არსებული ხარვეზები

ქვემოთ მოცემულია პუნქტობრივი ჩამონათვალი, რომლის გამოყენებით ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაზღვრონ და დაგეგმონ ქმედებები იმისათვის, რომ დაამყარონ კავშირები და მოახდინონ კოორდინაცია მომსახურების სხვა გამწევებთან.

- **შეიმუშავეთ ისეთი სტრატეგია,** რომელიც **მიმღები საზოგადოებისგან** მოელის ან ავალდებულებს მას, იყოს აქტიურად ჩართული და გაითვალისწინოს ბენეფიციარების ინტერესები;
- **შეიმუშავეთ ისეთი სტრატეგია**, რომელიც **რეგიონულ ხელისუფლებას, ადგილობრივ ხელისუფლებას და მომსახურების გამწევებს** რთავს ლტოლვილთა ინტეგრაციის ხელშეწყობაში და გამოყავით სახსრები ასეთი სტრატეგიების სისრულეში მოსაყვანად;
- **შექმენით მრავალსუბიექტიანი მექანიზმი**, რომლის ფარგლებშიც შეიმუშავებთ ინტეგრაციის და ჩართულობის ყოვლისმომცველ სტრატეგიებს და განიხილავთ საქმიანობებს, პრაქტიკას, მომსახურებებს და ინტეგრაციის შედეგებს შესაბამის პარტნიორებთან კოორდინაციით (ადგილობრივი ხელისუფლება, სოციალური პარტნიორები, კვლევითი დაწესებულებები და სხვა);
- **ააწყვეთ პარტნიორობები რეგიონებში**, რაც უზრუნველყოფს ლტოლვილთა და მიგრანტთა ჩართულობას და ინტეგრაციას სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც ისინი შეიძლება უფრო მოწყვლადი იყონ გამომდინარე სიშორიდან, იზოლაციიდან და მიზნობრივ მომსახურებებზე ნაკლები ხელმისაწვდომობიდან;
- **ხელი შეუწყვეთ მოხალისეობრივ ინიციატივებს**, რომლებიც შეავსებენ სახელმწიფო პროგრამებს; ამისათვის, დააფინანსეთ ამ ინიციატივებთან კოორდინაცია ყველა დონეზე, რომ ეს ინიციატივებიც იქცნენ ლტოლვილებისთვის შეთავაზებული სტანდარტული საინტეგრაციო მომსახურებების ნაწილად (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **თავი 5.5: ჩართეთ ადგილობრივი ჯგუფები და ხელი შეუწყვეთ მოხალისეობას);**
- **მხარი დაუჭირეთ ლტოლვილების ჩართვას** სამოქალაქო საქმიანობებში, რისთვისაც მიზანმიმართულად მიაწოდეთ მათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ამ საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, აგრეთვე შესთავაზეთ სახსრები სხვადასხვა ორგანიზაციებს ლტოლვილებთან კომუნიკაციის საწარმოებლად;

შექმენით ორგანო, რომელიც აწარმოებს კონსულტაციას ლტოლვილებთან მათი ინტეგრაციის და ჩართულობის საკითხებზე; ამ ორგანოში უნდა შედიოდეს ლტოლვილთა გაერთიანებები ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენელი, როგორც მუდმივი წევრი; გამოყავით სახსრები მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანოს შექმნისთვის;

რეგულარულად აწარმოეთ და დააფინანსეთ კამპანიები, რომელთა მიზანი იქნება მიმღები საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლება ლტოლვილთა მდგომარეობისადმი, დისკრიმინაციასთან ბრძოლა და არასწორ შეხედულებებთან და წინასწარ შექმნილ აზრებთან გამკლავება;

თქვენ, როგორც ევროკავშირის სახსრების განმკარგავმა და გამანაწილებელმა სახელმწიფო ორგანომ, **გამოუყავით ევროკავშირის დაფინანსება** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. მიაწოდეთ მათ ინფორმაცია დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ და ჩართეთ ისინი პარტნიორების სახით აღნიშნული თანხების ხარჯვის ეროვნულ დონეზე პროგრამირებაში;

სტრატეგიულად გამოიყენეთ ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო დაფინანსება, რათა აღმოფხვრათ ხარვეზები არსებულ დახმარების სისტემაში, განახორციელოთ და დატესტოთ ახალი ინიციატივები და ისწავლოთ არსებული მოდელებიდან და გამოცდილებიდან. ამისთვის სრულად გამოიყენეთ ყველა ხელმისაწვდომი მექანიზმი, მათ შორის ევროპის სოციალური ფონდი (ESF) და თავშესაფრის, მიგრაციის და ინტეგრაციის ფონდი (AMIF).

ყოვლისმომცველი მიდგომა: კარგი პრაქტიკის მაგალითები

მრავალსუბიექტიანი და მრავალდონიანი სტრატეგია

სერბეთში არსებობს ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავების პრაქტიკა, რომელთა მიზანია დევნილების და მიგრანტების შერჩეული კატეგორიებისთვის საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს ამ კატეგორიის ადამიანების პრობლემების გადაჭრას გეგმაზომიერად და გრძელვადიან პერსპექტივაში; ამიტომ მათში გაწერილი ღონისძიებები და ქმედებები სრულად შესაბამისობაშია ამ ადამიანების რეალურ საჭიროებებთან. ეს იძლევა არსებული რესურსების (მატერიალური, ტექნიკური, ადამიანური და ინსტიტუციური) უფრო ხარჯეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას, შესაბამისი ადგილობრივ დაწესებულებებსა და სხვა ადგილობრივ პარტნიორებს შორის კოორდინაციის შედეგად. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია არსებული მონაცემები იძულებით გადაადგილებული მიგრანტების თითოეული კატეგორიის ასაკის, გენდერის და განათლების საჭიროებების შესახებ და განსაზღვრულია პრიორიტეტის მქონე ჯგუფები ან ყველაზე დაუცველი ქვეჯგუფები. ადგილობრივი მთავრობა ყურადღებით აფიქსირებს ამ მოსახლეობის პრობლემებს და საჭიროებებს და შესაბამისად გეგმავს და იძლევა წინადადებებს გამოსავლების თაობაზე. იძულებით გადაადგილებული მიგრანტების თითოეულ გამოვლენილ კატეგორიასთან მიმართებაში დგინდება კონკრეტული ამოცანები. მაგალითად, ბაჩკა ტოპოლას მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2020-2024 წლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა საჭიროებების უკეთ გაგება და შემწყნარებლობის პირობების შექმნა. ამისთვის დაგეგმილია ადგილობრივ საზოგადოებაში მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სივრცის აღჭურვა ჯანდაცვის, განათლების, კულტურის და სხვა მომსახურებებისთვის და საბავშვო მოედნების და სპორტული მოედნების მოწყობა. ასეთი ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება ყველა მუნიციპალიტეტში, შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით და მათ შესრულებაში მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

პოლონეთში მაზოვის პროვინციაში შეიქმნა საბჭო უცხოელთა ინტეგრაციის მოდელის შექმნის საკითხებზე, რომელიც აერთიანებდა უცხოელთა ინტეგრაციის სფეროში მომუშავე რიგ უწყებებს და ორგანიზაციებს: მაზოვის ვოევოდას ადმინისტრაცია, განათლების განყოფილება, სოციალური დახმარების ცენტრი, ვარშავის შრომის განყოფილება, პოლონეთის კარიტასი, პოლონეთის მიგრაციის ფორუმის ფონდი, სომალის ფონდი, უცხო ენების შემსწავლელი ფონდი „Linguae Mundi“, სამართლებრივი ინტერვენციის ასოციაცია და დიალოგისა და შემწყნარებლობის ფონდი. საბჭოს მიზანი იყო ვითარების დიაგნოსტირება, სხვადასხვა სფეროებში უცხოელთა ინტეგრაციის საჭიროებების დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება. საბჭოში გამართული კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გამოქვეყნდა ნაშრომში „უცხოელები პოლონეთში. სახელმძღვანელო მიგრანტებთან მომუშავე ადამიანებისთვის“.

ასევე შემუშავდა დოკუმენტი სახელწოდებით „მაზოვის სავოევოდოში მიგრანტების ინტეგრაციის სტრატეგიის დაშვებები“. ეს დოკუმენტები ხელს შეუწყობს ინტეგრაციის საქმიანობებს მაზოვის პროვინციაში და ამასთანავე ის გამოყენებული იქნება იმიგრანტების ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისთვის.

შვედეთში პარტნიორობა სკანე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გრძელვადიან მუშაობაზე ახალჩამოსული მიგრანტების მონაწილეობისა და ინფორმირების მიზნით. ეს გახლავთ რეგიონული (სამხარეო) დონის პარტნიორობა, რომელიც მთელ რიგ მუნიციპალიტეტებს აერთიანებს. პარტნიორობაში გაერთიანებული არიან ახალჩამოსულების მიღებაზე და დასახლებაზე მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც ერთობლივად შეიმუშავებენ პრიორიტეტული საჭიროებების მოგვარების მეთოდებს და უსაფრთხო პირობებს, როდესაც ეს რეგიონულ თანამშრომლობას და რესურსების კოორდინაციას მოითხოვს.

ბულგარეთში სოფიას მუნიციპალიტეტის ობორისტეს რაიონი არის პირველი და ერთადერი ადგილობრივი ხელისუფლება ქვეყანაში, რომელიც ლტოლვილთა ინტეგრაციის ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებს. ობორისტეს რიონი ბევრ ლტოლვილ ოჯახს იღებს, რომელთაც სოფიაში დასახლება სურთ და სთავაზობს მათ პირველად საინტეგრაციო დახმარებას, რაიონის კომპეტენციის ფარგლებში, 6 თვემდე ვადით.

ეს დახმარება გულისხმობს ბინით უზრუნველყოფას, დახმარებას ადგილობრივ სკოლებში ჩარიცხვაში და მუნიციპალურ სოციალურ დახმარებას, დადგენილ შემთხვევებში. ობორისტეს რაიონმა ლტოლვილებისთვის დახმარების გაწევა 2020 წელს დაიწყო, როდესაც ორი დიდი ოჯახი დაასახლა, რომლებიც თავშესაფარს ითხოვდნენ ბულგარეთში (სულ 15 ადამიანი). 2021 წელს ობორისტემ კიდევ 5 ოჯახი მიიღო (სულ 27 ადამიანი) თავშესაფრის, მიგრაციის და ინტეგრაციის ფონდის (AMIF) მიერ დაფინანსებული პროექტის „ერთად ინტეგრაციისთვის“ ფარგლებში. პროექტი ეფუძნება მრავალსუბიექტიან მიდგომას. მას ხელმძღვანელობს ბულგარეთის წითელი ჯვარი და ორი სხვა პარტნიორი: სოფიას მუნიციპალიტეტის ვიტოშას რაიონი და ფონდი „ნადია“. ბულგარეთის წითლ ჯვარს გამოყოფილი ჰყავს სოციალური მუშაკები და თარჯიმნები, ხოლო ფონდ „ნადიას“ — ფსიქოლოგები. ეს პროექტი 2022 წლის დეკემბრამდე გაგრძელდება. მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროექტის გუნდმა უკვე შეიტანა განცხადება 2 ახალ პროექტზე ევროპული და საერთაშორისო დაფინანსებით.

ფინეთში ფინეთის წითელი ჯვარი კოორდინაციას უწევს და ავითარებს „არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაციების ქსელს“. ქსელის წევრები იკრიბებიან წელიწადში ოთხჯერ და განიხილავენ მიღებასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქსელის შეხვედრებს ესწრება ზოგიერთი სამინისტროც, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას მესამე სექტორიდან ხელისუფლებისკენ და პირიქით. ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ქსელის მეშვეობით შეიქმნა, არის ინტეგრაციის პლატფორმა ორგანიზაციებისთვის (kotoutumistarjotin). ეს პლატფორმა შეიცავს ინფორმაციას იმ საქმიანობების შესახებ, რომლებსაც მესამე სექტორი ახორციელებს ადგილობრივ დონეზე ახალმოსულების ინტეგრაციის ხელშესაწყობად. პლატფორმაზე შეგიძლიათ იხილოთ საქმიანობების განაწილება მესამე სექტორის წარმომადგენლებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის, მაგალითად მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ლიტვაში ლიტვის საზოგადოებაში უცხოელთა ინტეგრაციის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება რეგულარულ თანამშრომლობას და კოორდინაციას არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივი ხელისუფლებების ასოციაციას, განათლების, სოციალური დაცვის და ჯანდაცვის მომსახურებებს შორის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლტოლვილთა წარმატებით ინტეგრაცია საზოგადოებაში.

სამოქმედო გეგმის თანახმად, რეგიონული და ადგილობრივი დონის განათლების ორგანოებმა სწავლებები უნდა ჩაუტარონ განათლების მუშაკებს, რომელთა მიზანია კულტურათაშორისი უნარების გაუმჯობესება, სტერეოტიპების შემცირება, მრავალფეროვნების და თანასწორობის ღირებულებების პატივისცემის გაზრდა. საგანმა-ნათლებლო ღონისძიებები გათვალისწინებულია დამქირავებლებისთვისაც, რომ მათაც ესმოდეთ ლტოლვილთა ინტეგრაციის საჭიროებები და და ამ საჭიროებების მრავალფეროვნება ისეთი ნიშნებით, როგორიცაა გენდერი, ასაკი, წარმოშობის ქვეყანა და ოჯახური მდგომარეობა. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ინტეგრაციის პროცესის და პოლიტიკის მონიტორინგს. ამ მიზნით სახელმწიფო ორგანოები ახდენენ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეკრებას და აღრიცხვას.

მიმღები საზოგადოების ჩართულობა

იტალიაში პროექტი Diffondere Diversità, Rafforzare Comunità ითვალისწინებს სამუშაო ადგილების შექმნას ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის სოფლის მეურნეობის სექტორში და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერას სოფლის ტიპის დასახლებებში. პროექტში მონაწილეობს ორი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი (ლოზინე და ჩერვენო) და 40 მცირე საწარმოსგან შემდგარი ორგანული სოფლის მეურნეობის გაერთიანება Bio Distretto di Valcamonica. პროექტი ითვალისწინებს სამუშაო ძალის გამოყენების მარტივ, მაგრამ ეფექტურ ფორმას, როდესაც ორი ან მეტი საწარმო აერთიანებს თავიანთ რესურსებს და სამუშაო ძალას საერთო სარგებლობისთვის. კერძოდ, დამქირავებლების ჯგუფი ჩვეულებრივი პირობებით ქირაობს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებიც შემდეგ ამ დამქირავებლებს ემსახურებიან მთელი წლის განმავლობაში მათი საჭიროებებისდა მიხედვით. ამ სქემის წყალობით მცირდება შრომითი ხარჯები, იქმნება სამუშაო ადგილები და ვითარდება სასოფლო სამუშაოებზე შრომითი მოწყობა სამართლიანი სამუშაო პირობებით. გარდა ამისა, ეს საწარმოები არიან ქსელის წევრები, რომელიც გარკვეულ შეღავათებს ანიჭებს თავის წევრებს. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს მიმღები საზოგადოების აქტიურ როლს, მცირე სასოფლო სამეურნეო საწარმოების ასოციაციის ნებაყოფლობითი მონაწილეობის ფორმით, რომლის ფარგლებში ეს საწარმოები ერთმანეთთან თანამშრომლობით ეხმარებიან ერთმანეთსაც და ახალგაზრდა ფერმერებს და მათ ოჯახებსაც, რაც აქტიურად უწყობს ხელს მიგრანტების ინტეგრაციის პროცესს.

იტალიაში ემილია-რომანიას რეგიონი სისტემატურად აწარმოებს **მეორე ენის სწავლებას და კულტურათაშორის მედიაციას** მიგრანტების და ლტოლვილების საზოგადოებაში ჩართვის, აგრეთვე ბოლო წლებში მიგრანტთა ნაკადის უპრეცედენტო ზრდაზე რეაგირების მიზნით. ამისათვის რეგიონის ხელისუფლება თანამშრომლობს სკოლებთან, არასამეწარმეო სექტორთან, მუნიციპალიტეტებთან, სხვა საჯარო ორგანოებთან და ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯგუფებთან. სამოქალაქო საზოგადოებასთან და კოოპერატივებთან თანამშრომლობა ხორციელდება მრავალდონიანი და სტრუქტურირებული პარტნიორობის ფორმით.

ბელგიაში ბრიუსელის დედაქალაქის რეგიონმა მიიღო **2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ**, რომელიც ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლებას და ყოველი სამინისტროს, აგრეთვე სახელმწიფო მდივნის ჩართვას რასიზმის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. გეგმა მოიცავს 23 პოლიტიკის ღონისძიებას, რომელთა მიზანია ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს შემწყნარებლობას და სოლიდარობას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის. შექმნილია საკონსულტაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობით ხდება ურთიერთობა ბრიუსელის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომელთაც სურთ ამ გეგმის ფარგლებში თანამშრომლობა და მუშაობა.

ფინეთში პროექტი „Föreningsliv för alla“ მიზნად ისახავს მიგრანტების დახმარებას სოციალურ ჩართულობაში, კერძოდ, ფინეთის ასოციაციების საქმიანობაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობის გზით. პროექტი მიგრანტებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ ახალი ენა კლასგარეშე გარემოში, შექმნან თავიანთი არაფორმალური ქსელები და გაიჩინონ რეალური კონტაქტები. პროექტის შედეგად იაკობსტადის რეგიონმა შეიმუშავა „ორმხრივი“ ინტეგრაციის მოდელი მესამე სექტორისა და აღნიშნული ასოციაციების მონაწილეობით.

თურქეთში გაზიანტეპის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის ქალების, ოჯახის, განათლების და სოციალური მომსახურებების განყოფილებამ 2014 წელს დააფუძნა ენსარის საზოგადოებრივი ცენტრი. ცენტრი წარმოადგენს უსაფრთხო სივრცეს როგორც თურქეთის ადგილობრივი ჯგუფებისთვის, ისე ლტოლვილებისთვის, რომელთაც შეუძლიათ აქ მოვიდნენ, იურთიერთონ ერთმანეთთან და დაეუფლონ ახალ უნარებს. 2017 წელს IOM-ის დახმარებით ცენტრი გარემონტდა და განახლდა. ასევე, IOM-მა ჩაატარა სოციალური ჩართულობის ღონისძიებები და სხვა კლასგარეშე საქმიანობები. ცენტრი ხელმისაწვდომია ყველა ასაკის, გენდერის და მოქალაქეობის ადამიანებისთვის. ცენტრში ჩატარებულ საქმიანობებს და გაწეულ მომსახურებებს დადებითი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, რადგან აუმჯობესებს კომუნიკაციას ლტოლვილებსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის და ხელს უწყობს უფრო მჭიდრო კონტაქტების და ურთიერთობის დამყარებას სოციალური საქმიანობების მეშვეობით.

თანამონაწილეობის შეგრძნება და მონაწილეობა

შვედეთში სოციალური საწარმოს კარგი პრაქტიკის მაგალითია Yalla Trappan — საინტეგრაციო სოციალური საწარმო და ქალთა კოოპერატივი, რომელსაც უძღვება ქალაქ მალმოში მდებარე არასამეწარმეო ასოციაცია. საწარმო ატარებს ტრეინინგებს სამ სფეროში: კაფე და კვების სერვისი , კერვის სტუდია, დასუფთავება და საკონფერენციო მომსახურებები. Yalla Trappan მუშაობს „სწავლა კეთებით“ პრინციპით და ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებაში ეხმარება იმიგრანტ ქალებს, რადგან ისინი შრომის ბაზრიდან გამორიცხვის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

ფინეთში ფინეთის ლტოლვილთა საბჭო ატარებს „სამოქალაქო ორიენტაციის“ კურსს, რომელიც ფინეთში ახლადჩამოსული ზრდასრული მიგრანტებისთვისაა განკუთვნილი. კურსი იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას ფინეთში ბინადრობის, ცხოვრების და მუშაობის შესახებ. კურსის ფარგლებში ისწავლება ამ ქვეყანაში ცხოვრებისთვის საჭირო სამოქალაქო უნარები. გარდა ამისა მიგრანტები ეცნობიან ფინელი ხალხის ისტორიას. ამ კურსის მიზანია გაზარდოს ლტოლვილების და ახალმოსულების ცოდნა ფინეთის საზოგადოების შესახებ და გააცნოს მათ მათი უფლებები და მოვალეობები ქვეყანაში ყოფნისას. თითოეულ კურსს ასწავლის მასწავლებელი, რომელიც საუბრობს კურსის მონაწილეების ენაზე. კურსის დროს გამოყენებული ცნებები, სწავლის მეთოდები და სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია შეუზღუდავი გამოყენებისთვის მუნიციპალიტეტებში და სასწავლო დაწესებულებებში. პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ჰელსინკის რეგიონის მუნიციპალიტეტები და დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტრო.

თურქეთში ილდირიმის მუნიციპალიტეტი ლტოლვილებს უზრუნველყოფს დაცვით, საარსებო წყაროებით და სოციალური ერთობის ღონისძიებებით მას შემდეგ, რაც სირიელმა ლტოლვილებმა დაიწყეს თურქეთში შემოსვლა. მუნიციპალიტეტმა რაიონში დააფუძნა სოციალური ერთობის ცენტრი. ეს ერთ-ერთი პირველი ინიციატივაა, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების გაწევაში ლტოლვილების ჩართვას. ცენტრი ლტოლვილებს და ადგილობრივებს აერთიანებს სტრუქტურირებული საქმიანობების მეშვეობით, მაგ. თერაპია თამაშით, რომლებიც ხელს უწყობს ერთმანეთთან ურთიერთობის და კავშირების დამყარებას და საკუთარი პრობლემის გადაწყვეტის უნარების განვითარებას. გარდა ამისა, ხდება ინფორმირება და ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა არსებული მომსახურებების შესახებ. გარდა ამისა, ცენტრი ეხმარება ქალთა კოოპერატივებს, სადაც ლტოლვილი ქალები არიან დასაქმებული, ქალთა გაძლიერების და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობების მიცემაში.

შეიტყვეთ მეტი: სასარგებლო მასალები, ლიტერატურა

ევროპის რეგიონების გაერთიანება (AER), პროექტ AMiD-ის შედეგების მიტანა ევროპის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებამდე, 2019წ.

ამ ანგარიშში სიღრმისეულად განხილულია, როგორ უნდა მოხდეს შშმ ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლების და მიგრანტების მიღების და ინტეგრაციის ეფექტური მართვა ევროკავშირში.

ევროკომისია, ინსტრუმენტების კრებული მიგრანტის გამოცდილების მქონე ადამიანების ინტეგრაციისთვის ევროკავშირის თანხების გამოყენებაზე, 2018წ.

ამ ინსტრუმენტების კრებულის მიზანია, დაეხმაროს ეროვნულ და რეგიონულ დამფინანსებელ ორგანოებს მიგრანტის გამოცდილების მქონე ადამიანებზე გათვლილი ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელებაში ევროკავშირის თანხების გამოყენებით 2014-2020 წლების პროგრამირების პერიოდში.

ჰადლსტონ ტ., ბილგილი ო., იოკი ა. და ვანკოვა ზ., მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი, ბარსელონა/ ბრიუსელი, 2015წ.

მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX) არის უნიკალური გრძელვადიანი პროექტი, რომელიც აფასებს და ერთმანეთს ადარებს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და ზოგიერთ არაწევრ სახელმწიფოში მთავრობების მიერ მიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს.

EWSI-ის სარედაქციო ჯგუფი, რა კეთდება მიგრანტების და ლტოლვილების გრძელვადიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ევროპაში?, ევროპული ვებ-ვერდი ინტეგრაციის თემაზე (EWSI), 2020წ.

EWSI-ის სარედაქციო ჯგუფმა *შეისწავლა გრძელვადიანი ინტეგრაციის რიგი ინდიკატორები ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და დიდ ბრიტანეთში, აგრეთვე ლტოლვილებთან დაკავშირებით კონკრეტული პოლიტიკის ან ღონისძიებების არსებობის და ხელმისაწვდომობის საკითხი.*

ნატალ ფ., კალანტარიან ს., სციპიონი მ., ალესსანდრინი ა. და პასა ა., მიგრაცია ევროკავშირის სასოფლო დასახლებებში, პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები - ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) ანგარიში, ლუქსემბურგი, 2019წ.

ამ ანგარიშში წარმოდგენილია რაოდენობრივი მიმოხილვა სასოფლო დასახლებებში მიგრაციისა მთელი ევროკავშირის მასშტაბით. გარდა ამისა, ის ემსახურება ცნობიერების ამაღლებას სოფლად მიგრაციის ნაკლებად შესწავლილი ფენომენის შესახებ.

ვოლფჰარტ ა., მიგრანტთა ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის პრაქტიკული განხორციელება, RESOMA-ს პოლიტიკის ანალიზი განხილვისთვის, 2019წ.

ReSOMA-ს მიერ შექმნილი პოლიტიკის ანალიზში განმარტებულია ინტეგრაციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის ცნება და განხილულია ადგილობრივი დონის პოტენციალი - მაგრამ ამავე დროს შეზღუდვებიც - მიგრანტთა ინტეგრაციის მხრივ. აქ განხილულია 10 შესაძლო კონკრეტუ-ლი საკონტაქტო პირი/ უწყება, რომლებიც შეიძლება დაფინანსდეს ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი მიდგომის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

ვოლფჰარტ ა., კონტე კ., ჰადლსტონ ტ., ლტოლვილთა ინტეგრაციის ევროპული მაჩვენებელი. ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმის (NIEM) მიერ ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი, ვარშავა/ბრიუსელი, 2019წ.

ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმის (NIEM) ზემოაღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენი-ლია განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებული ლტოლვილთა საინტეგრაციო სისტემების ურთიერთშედარებითი შეფასება. ანალიზში აქცენტი გაკეთებულია სამართლებრივ და პოლიტიკის ინდიკატორებზე, აგრეთვე სხვა ინდიკატორებზე, რომლებიც ზომავს ლტოლვილთა ინტეგრაციის ავტომატურად გათვალისწინებას ყველა სფეროში, პოლიტიკის კოორდინაციას და მიმღები საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის ღონისძიებებს.

ვოლფჰარტ ა., კონტე კ., ჰადლსტონ ტ., ლტოლვილთა ინტეგრაციის ევროპული მაჩვენებელი. ეროვნულ დონეზე ინტეგრაციის შეფასების მექანიზმის მიერ ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი. შეფასება 1: სიღრმისეული ანგარიში, ვარშავა/ ბრიუსელი, 2020წ.

NIEM-ის ამ ანგარიშში წარმოდგენილია 2017-2019 წლებში ლტოლვილთა ინტეგრაციის ძირითადი მონაცემები და განვითარებები, თანახმად 14 წევრ სახელმწიფოში ჩატარებული კვლევის შედეგებისა.

5. შემაჯამებელი პუნქტები ყოვლისმომცველი საინტეგრაციო და ჩართულობის ინიციატივის შესამუშავებლად:

- [ ] რეგულარულად გამოავლინეთ ლტოლვილთა საჭიროებები და შესაძლებლობები;
- [ ] დააფიქსირეთ და მოხსენით ენობრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის თქვენი მომსახურებების ხელმისაწვდომობას;
- [ ] შეიტანეთ ცვლილებები თქვენს გეგმებსა და სტრატეგიებში ლტოლვილთა საჭიროებებიდან, შესაძლებლობებიდან და გამოხმაურებებიდან გამომდინარე;
- [ ] უზრუნველყავით ისეთი მომსახურებები, რომლებიც მიმართული იქნება ლტოლვილთა სოციალურ-ეკონომიკურ ჩართულობაზე თავდაპირველი მიღების ეტაპის შემდეგაც;
- [ ] გრძელვადიანი ინტეგრაციის მიზნით მოახდინეთ დაფინანსების მიღების შესაძლებლობების დივერსიფიკაცია;
- [ ] ჩააბით ლტოლვილები თქვენი მომსახურებების შეფასებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგში, ადაპტირებაში და კვლავ შეფასებაში;
- [ ] უზრუნველყავით მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა თქვენი მომსახურებების თანაშემოქმედების პროცესში;
- [ ] უზრუნველყავით, რომ მოწყვლად პირებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი და ჰქონდეთ ისეთი დახმარება, როგორც სხვა ლტოლვილებს;
- [ ] მომსახურებების გაწევის შემდეგ ითხოვეთ ლტოლვილთა კომენტარები და ამყოფეთ ისინი რეგულარულად ინფორმირებული;
- [ ] ხელი შეუწყვეთ მოხალისეობრივ საქმიანობას და ჩართეთ ადგილობრივი საზოგადოება, რომ წაახალისოთ ლტოლვილების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია;
- [ ] მხარი დაუჭირეთ ადგილობრივ ინიციატივებს ლტოლვილებისთვის, როგორიცაა გართობა, განათლება, დასაქმება, ოჯახი და „ბიუროკრატიული“ მენტორინგი;
- [ ] ჩამოაყალიბეთ ჭეშმარიტ პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა და ჩააბით ინტეგრაციის სფეროში მოღვაწე ყველა შესაბამისი აქტორი, მათ შორის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, სახელმწიფო სერვისები, სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება;
- [ ] თქვენი საქმიანობები, პრაქტიკა, მომსახურებები და ინტეგრაციის შედეგები განიხილეთ სხვა შესაბამის პარტნიორებთან კოორდინაციით.

7. ინდიკატორები თქვენი საინტეგრაციო პრაქტიკის ხარისხის შეფასებისთვის

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი კარგი პრაქტიკა მისაბაძ მაგალითებად შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით:

განზომილება 1: ჩართულობა და მონაწილეობა

ინდიკატორები

თქვენი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ თქვენი მომსახურებები ხელმისაწვდომი იყოს მრავალფეროვანი ჯგუფებისთვის?

- სამიზნე ჯგუფებს (სხვადასხვა ასაკის ქალები და კაცები; ლგბტქ+ პირები, ადამიანები რომლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან სპეციფიური საჭიროებები) უზრუნველყოფს თანაბარი შესაძლებლობებით;
- მოქმედებს მონაწილეობითი, გენდერის ყველა სფეროში გათვალისწინების, მრავალფეროვნებაზე და ასაკზე მგრძნობიარე ინკლუზიური მიდგომით;
- სერვისების მიწოდებისას არსებით ყურადღებას უთმობს თანასწორობას და მრავალფეროვნებას და ითვალისწინებს განსხვავებულ საჭიროებებს და შესაძლებლობებს;
- ინიციატივის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს სხვადასხვა ენებზე, სხვადასხვა ფორმატში და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, სამიზნე აუდიტორიის ასაკიდან, გენდერიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე;
- შეაქვს გონივრული ცვლილებები მის მიერ მომსახურებების მიწოდებაში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს სამიზნე ჯგუფის კონკრეტული საჭიროებები (მაგ., ბავშვზე ზრუნვის მომსახურება მშობლებისთვის, მათ შორის მარტოხელა მშობლებისთვის, სპეციფიური კორექტივები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის, მოქნილი მომსახურებების მოქნილად მიწოდება, ადაპტირებული და არაფორმალური დახმარება ლტოლვილებისთვის).

თქვენი პრაქტიკა ითვალისწინებს მიმღები საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას?

- ინტეგრაციას მიიჩნევს ორმხრივ პროცესად და მიზნად ისახავს ცვლილებების განხორციელებას მიმღებ საზოგადოებაშიც (ქცევებში, ნორმებში და დაწესებულებებში);
- მოიაზრებს მიმღები საზოგადოების აქტიურ როლს მის განხორციელებაში (მაგ., მოხალისეობრივი საქმიანობების ფორმით);
- ახორციელებს საქმიანობებს, რომლებიც გულისხმობს ურთიერთქმედებას მიმღებ საზოგადოებასთან.

თქვენი პრაქტიკა ითვალისწინებს კონსულტაციების გავლას ბენეფიციარებთან და მათ ჩართვას ქმედების შეფასებაში, შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგში და მერე ისევ შეფასებაში?

- აწარმოებს რეგულარულ კონსულტაციებს ლტოლვილებთან, რათა მათ წვლილი შეჰქონდეთ მთელი პროგრამის განმავლობაში, თავდაპირველი შეფასებიდან დაწყებული საბოლოო შეფასებით დამთავრებული;
- უხდის ბენეფიციარებს გარკვეულ კომპენსაციას ამ კონსულტაციების წარმოების ხელშესაწყობად;
- ბენეფიციარებს სთავაზობს გამოხმაურების დაფიქსირების მექანიზმებს, რომელთა მეშვეობით ისინი უსაფრთხოდ შეძლებენ საკუთარი შეხედულების გამოხატვას მომსახურებების ხარისხთან დაკავშირებით.

განზომილება 2: აქტუალობა და ურთიერთშევსება

ინდიკატორები

თქვენი პრაქტიკის მიზნები შეესატყვისება სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს?

გამოავლენს და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს (ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები სამიზნე ჯგუფთან, სამაგიდე კვლევა, საზოგადოებრივი აზრის კვლევები).

თქვენი პრაქტიკა ავსებს საინტეგრაციო დახმარებაში არსებულ ხარვეზებს?

- გამოავლენს და აანალიზებს საინტეგრაციო დახმარებაში არსებულ ხარვეზებს და შეიმუშავებს ღონისძიებებს ამ ხარვეზების გამოსასწორებლად;
- ავსებს არსებულ ღონისძიებებს, მათ საფუძველზე და მათთან კოორდინაციით;
- თავიდანვე მუშაობს ბენეფიციარებთან გრძელვადიანი საინტეგრაციო გეგმის შემუშავებაზე; იღებს ზომებს, რომ მოხდეს სოციალური დაცვის, ინტეგრაციის და ჩართულობის პროგრამების მეინსტრიმინგი (სავალდებულო გათვალისწინება).

თქვენი პრაქტიკა იყენებს ეროვნულ და საერთაშორისო (ევროკავშირის) დონეზე ამჟამად არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებს, წესებს, ინსტრუქციებს, ინსტრუმენტების კრებულებს და კარგ პრაქტიკას?

- იყენებს/უთითებს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო (ევროკავშირის) ინსტრუქციებზე და ინსტრუმენტების კრებულებზე.

თქვენ პრაქტიკას შედეგად მოაქვს სისტემური გაუმჯობესება და აკმაყოფილებს სამიზნე ტერიტორიაზე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობის საჭიროებებს?

- ხელს უწყობს ლტოლვილების და მათი საზოგადოებების შესაძლებლობების გაძლიერებას;
- აძლიერებს შესაბამისი დაწესებულებების მიერ საინტეგრაციო დახმარების მიწოდების შესაძლებლობებს (რაც გულისხმობს პოლიტიკის ან სტრატეგიის ცვლილებას; საკანონმდებლო რეფორმას; ინსტიტუციურ რეფორმებს; მმართველობის რეფორმებს; მეტ ანგარიშვალდებულებს სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებით; საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესებას).
- იღებს ზომებს დისკრიმინაციის და ინფორმაციის მხრივ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რადგან ისინი ხელს უშლის გრძელვადიან ინტეგრაციას;
- პრაქტიკა ადაპტირებადია და ითვალისწინებს გაფართოების კონკრეტულ გეგმას.

განზომილება 3: ეფექტურობა

ინდიკატორები

რამდენად იყო/არის თქვენი პრაქტიკა რეალისტური და რამდენად ხდებოდა/ხდება მისი მონიტორინგი, შეფასება და მიღწევა?

- აღწევს დასახულ მიზნებს კონკრეტული შუალედური და საბოლოო შედეგებით;
- არსებობს წინასწარ დასახული მკაფიო შედეგები, რომლებიც იძლევა რეალური შედეგების და გავლენის შეფასების შესაძლებლობას, ჭკვიანი ინდიკატორების გამოყენებით;
- პროგრამა ითვალისწინებს შესაძლო რისკებს;
- სისტემატურად კრებს ინფორმაციას შედეგიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რეგულარული მონიტორინგის და ანალიზის მიზნით;
- განიხილავს და აფასებს პრაქტიკის შედეგად მიღწეულ პროგრესს, წინასწარ დასახული ამოცანების მიხედვით;
- აანალიზებს, რამდენად უწყობს მისი ინტერვენცია ხელს გრძელვადიან მდგრად ცვლილებებს, ინტეგრაციის თვალსაზრისით.

განზომილება 4: მდგრადობა

ინდიკატორები

თქვენი პრაქტიკა ითვალისწინებს საქმიანობის დასრულების შემდეგ მისი დადებითი მხარეების გამოყენებას?

ამზადებს და იყენებს მკაფიო სალიკვიდაციო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს დადებითი ცვლილებების შენარჩუნებას და საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტების/შედეგების გამოყენებას.

თქვენი პრაქტიკა იზიდავს სტრუქტურულ დაფინანსებას, ახალ სპონსორებს ან თვითონ ახდენს საკუთარი რესურსების წარმოებას?

- აყალიბებს პარტნიორობებს და ურთიერთობებს შესაბამის მხარეებთან და ეს წარმოადგენს მისი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რათა უზრუნველყოფილი იქნას საქმიანობის გაგრძელება თავდაპირველი დაფინანსების ამოწურვის შემდეგაც;
- გრძელვადიანი ინტეგრაციის მიზნით ახდენს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას და გამოავლენს დაფინანსების ახალ შესაძლებლობებს ევროკავშირიდან ან ადგილობრივად (მაგ., ცალკეული პროექტების დაფინანსებიდან - რომლებიც დროში შეზღუდულია და ერთ (გარე) დონორზეა დამოკიდებული, გადადის უფრო ყოვლისმომცველი ინტეგრაციის მრავალწლიან სტრატეგიაზე, რომელიც უზრუნველყოფილია გარანტირებული დაფინანსებით ან დაფინანსების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით);
- გამოყოფს ადამიანურ რესურსებს, გამოცდილებას და ინფრასტრუქტურას იმისათვის, რომ მომსახურებების მიწოდება გაგრძელდეს საქმიანობის დასრულების შემდეგაც.

განზომილება 5: პარტნიორობა და თანამშრომლობა

ინდიკატორები

თქვენი პრაქტიკა ითვალისწინებს სტრატეგიას სხვა შესაბამის აქტორებთან (მაგ., სამოქალაქო საზოგადოება, ხელისუფლების ორგანოები, კერძო სექტორი) კომუნიკაციის და კოორდინაციისთვის, მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით?

- უზრუნველყოფს ძირითადი მხარეების ჩართულობას სტრატეგიის შემუშავებაში;
- შემუშავებული აქვს და ახორციელებს სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს ამ აქტორების ჩართულობას თავის საქმიანობაში.

თქვენი პრაქტიკა ხელს უწყობს დისკუსიას საინტეგრაციო პოლიტიკის გაუმჯობესების თაობაზე?

- ხელს უწყობს ინტეგრაციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებას, რომელშიც ჩართული არიან ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, მომსახურების გამწევები და სამოქალაქო საზოგადოება;
- უზრუნველყოფს შესაბამის პარტნიორებთან (ადგილობრივი ხელსუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, კვლევითი დაწესებულებები და სხვა) კოორდინირებულ მუშაობას, რათა ერთობლივად მოხდეს საქმიანობების, პრაქტიკის, მომსახურებების და ინტეგრაციის შედეგების განხილვა.

8. ტერმინთა განმარტება

თავშესაფრის მაძიებელი: თავშესაფრის მაძიებელი არის პირი, რომელსაც სურს საერთაშორისო დაცვის მიღება. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ინდივიდუალიზებული პროცედურა მოქმედებს, თავშესაფრის მაძიებელს უწოდებენ პირს, რომლის მოთხოვნაზეც ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია იმ ქვეყანას, რომელსაც მან მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით. ყველა თავშესაფრის მაძიებელს არ ენიჭება ლტოლვილის სტატუსი, მაგრამ ყველა ლტოლვილი თავიდან არის თავშესაფრის მაძიებელი.

საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარები: პირები, რომელთაც უკვე მინიჭებული აქვთ ლტოლვილის სტატუსი ან დამატებითი ხასიათის დაცვის სხვა ფორმა. წინამდებარე სახელმძღვანელოში სიტყვა ლტოლვილში ვგულისხმობთ ყველა ამ კატეგორიას.

სუბსიდიარული დაცვის ბენეფიციარები: ევროკავშირის სამართლის თანახმად, ისინი არიან პირები, რომელებიც არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს, მაგრამ რომელთაც თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დაემუქრებათ სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხე და რომელთაც არ შეუძლიათ ამ ქვეყნისგან დაცვის მიღება.

დამატებითი შესაძლებლობები (complementary pathways): უსაფრთხო და რეგულირებული შესაძლებლობები, რომლებიც ავსებენ ლტოლვილის განსახლების პირობებს და რომელთა საშუალებით ლტოლვილი შეიძლება იქნას მიღებული ქვეყანაში და იქ მოხდეს მათი საერთაშორისო დაცვის საჭიროების დაკმაყოფილება, რათა შეძლონ საკუთარი თავის შენახვა, ვიდრე მიღწეული იქნება მდგრადი და გრძელვადიანი გამოსავალი.

გრძელვადიანი გამოსავლები: საშუალება, რომელიც დამაკმაყოფილებლად და პერმანენტულად აგვარებს ლტოლვილის მდგომარეობას სახელმწიფოს მიერ მისი სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფით.

ფოკუს ჯგუფში განხილვა: კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით წინასწარ შერჩეული ადამიანთა ჯგუფიდან ხარისხობრივი მონაცემების/ინფორმაციის მოპოვების მეთოდი.

უცხოელი: ამ კატეგორიაში იგულისხმება ყველა ის პირი, ვინც გადაადგილდა თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილიდან, დროებით ან მუდმივად, ნებისმიერი მიზეზით.

კარგი პრაქტიკა: ინოვაციური, საინტერესო და პერსპექტიული პრაქტიკა, რომელსაც აქვს ნაწილობრივ ან მთლიანად სხვა ქვეყნებში გამოყენების პოტენციალი. წინამდებარე ინსტრუმენტების კრებულში მოგროვებული საუკეთესო პრაქტიკა შეირჩა თითოეულ თავში განსაზღვრული კრიტერიუმების და შემდეგი ხუთი ძირითადი ინდიკატორის მიხედვით: ჩართულობა და მონაწილეობა; აქტუალობა და ურთიერთშევსება; ეფექტურობა; მდგრადობა; პარტნიორობა და თანამშრომლობა.

ჩართულობა: საზოგადოებაში ლტოლვილების მონაწილეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება მათთვის მოქალაქეების თანასწორი უფლებების მინიჭებით, კავშირებისა და მეგობრული ურთიერთობების დამყარებით, ადგილობრივ სამუშაოზე დასაქმების ან ადგილობრივ სკოლაში ჩარიცხვის შესაძლებლობის მიცემით, სხვადასხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობით, როგორიცაა საცხოვრისი და ჯანდაცვა. ევროკომისიის 2021-2027 წლების ინტეგრაციის და ჩართულობის სამოქმედო გეგმის თანახმად, „ყველას ჩართულობაში იგულისხმება, რომ ყველა პოლიტიკა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და უნდა აწყობდეს ყველას, მათ შორის მიგრანტებს და ევროკავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც მიგრანტობის წარსული აქვთ. ეს ნიშნავს პოლიტიკის კორექტირებას და გარდაქმნას მრავალფეროვანი საზოგადოების საჭიროებების მიხედვით, სხვადასხვა ჯგუფების კონკრეტული გამოწვევების და საჭიროებების გათვალისწინებით. მიგრანტების ინტეგრაციის წამახალისებელი ღონისძიებები არ არის აუცილებელი განხორციელდეს და არც უნდა განხორციელდეს იმ ღონისძიებების ხარჯზე, რომლებიც სხვა მოწყვლადი ან დაუცველი ჯგუფების ან უმცირესობებისთვისაა განკუთვნილი. პირიქით, ამ ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყონ პოლიტიკის უფრო მეტად ინკლუზიურად ქცევას.“

ინტეგრაცია: ლტოლვილების შემთხვევაში ადგილობრივი ინტეგრაცია ნიშნავს დინამიურ და მრავალწახნაგოვან ორმხრივ პროცესს, რომელიც მოითხოვს ყველა მხარის მიერ გარკვეული ზომების მიღებას, მათ შორის ლტოლვილების მხრიდან მასპინძელ საზოგადოებაზე მორგების მზაობას, საკუთარი კულტურული იდენტობის დაკარგვის გარეშე და მეორე მხრივ მასპინძელი საზოგადოების და საჯარო დაწესებულებების მხრიდან ლტოლვილების მიღების და მრავალფეროვანი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილების მზაობას (UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა ადგილობრივი ინტეგრაციის შესახებ No. 104 (LVI) – 2005).

მიგრანტები: ადამიანები, რომლებმაც მიიღეს საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთის გადაწყვეტილება არა დევნის, სერიოზული ზიანის ან სიკვდილის პირდაპირი მუქარის გამო, არამედ სხვა მიზეზებით, როგორიცაა მაგალითად საკუთარი პირობების გაუმჯობესება სამუშაოს ან სწავლის ძიების ან ოჯახთან გაერთიანების გზით.

არასრულწლოვნები: პირები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სრულწლოვანების ასაკისთვის და შესაბამისად სამართლებრივად არ არიან დამოუკიდებელნი. ამ ტერმინში იგულისხმება მოზარდებიც. ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) მიხედვით, „ბავშვი“ არის 18 წლამდე ასაკის პირი, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა ასაკი არ არის განსაზღვრული. CRC-ის მიხედვით, „ბავშვი“ და „არასრულწლოვანი“ ერთმანეთთან გათანაბრებულია.

მონაწილეობითი მიდგომა: რაიმეს შემუშავებისადმი და/ან მმართველობისადმი ისეთი მიდგომა, როდესაც პოლიტიკის ან საქმიანობის ძირითადი მხარეები (განსაკუთრებით კი პოტენციური ბენეფიციარები) აქტიურად არიან ჩაბმული პრობლემების და პრიორიტეტების განსაზღვრაში და ფლობენ მნიშვნელოვან კონტროლს გამოსავლების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე და მონიტორინგზე.

ზრუნვის ქვეშ მყოფი პირები: ყველა პირი, რომელთა მიმართებაშიც UNHCR-ის მანდატი ითვალისწინებს დაცვას, გამოსავლის ძიებას და დახმარებას. ამ პირებში იგულისხმება ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები, დაბრუნებული ლტოლვილები, მოქალაქეობის არმქონე პირები და ხშირ შემთხვევაში — იძულებით გადაადგილებული პირები, მათ შორის ისინიც, ვინც იმავდროულად დაცვას და დახმარებას იღებს სახელმწიფოსგან ან სხვა პარტნიორებისგან.

დაცვა: ცნება, რომელიც მოიცავს ყველა საქმიანობას, მიმართულს ადამიანების უფლებების სრული პატივისცემის უზრუნველყოფისკენ, ადამიანის უფლებათა, ლტოლვილთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დოკუმენტების ტექსტებისა და სულისკვეთების შესაბამისად. დაცვაში იგულისხმება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც უზრუნველყოფილია პირობები იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები აღსრულდეს, თავიდან იქნას აცილებული ან შემსუბუქებული ძალადობის ამა თუ იმ ფორმის უშუალო შედეგები და აღდგენილ იქნას ღირსეულად ცხოვრების პირობები რეპარაციით, რესტიტუციით ან რეაბილიტაციით.

ლტოლვილი: პირი, რომელიც აკმაყოფილებს ლტოლვილის ცნებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც გათვალისწინებულია ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო ან რეგიონული დოკუმენტებით, UNHCR-ის მანდატით და/ან სახელმწიფოს კანონმდებლობით.

განსახლება: ლტოლვილთა გადაყვანა ქვეყნიდან, სადაც მათ ითხოვეს თავშესაფარი, იმ სახელმწიფოში, რომელიც დათანხმდა მათ მიღებას. როგორც წესი, ლტოლვილს ანიჭებენ თავშესაფარს ან რაიმე სხვა ფორმით გრძელვადიანი მაცხოვრებლის უფლებებს. ხშირ შემთხვევაში მათ ეძლევათ მოქალაქეობის მოპოვების შესაძლებლობაც, ნატურალიზაციის ფორმით. ამიტომ განსახლება ითვლება გრძელვადიან გამოსავლად და ლტოლვილთა დაცვის ინსტრუმენტად. გარდა ამისა, განსახლება არის ტვირთისა და პასუხისმგებლობის განაწილების პრაქტიკული მაგალითი საერთაშორისო დონეზე.

UNHCR-ის მანდატი: UNHCR-ის როლი და ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრულია UNHCR-ის წესდებით და დაზუსტებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით. UNHCR-ის წესდების თანახმად, მისი მანდატი გულისხმობს ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფას და მათთვის პერმანენტული გამოსავლების ძიებას. გარდა ამისა, UNHCR-ს დამატებით აქვს უფლებამოსილება მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებითაც, რადგან მას ამ მხრივ განსაზღვრულ როლს ანიჭებს „მოქალაქეობის შემცირების შესახებ“ 1961 წლის კონვენციის მე-11 მუხლი. ასევე, მას გენერალური ასამბლეის მიერ ეთხოვა მოქალაქეობის არქონის შესახებ 1954 წლის და 1961 წლის კონვენციების შესრულების ხელშეწყობა და მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილებისთვის ზრუნვა კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხებზე სახელმწიფოებისთვის ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურების გაწევით.

მოწყვლადი პირები: ფიზიკურად, ფსიქიურად ან სოციალურად დაუცველი პირები, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილება და შეიძლება ესაჭიროებოდეთ სპეციალური დახმარება.

9. გამოხმაურებები

„ეს სახელმძღვანელო სასარგებლო ინსტრუმენტია, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას გამოადგება თავისი საინტეგრაციო პრაქტიკის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში. ის გთავაზობთ სხვადასხვა პრაქტიკულ იდეას იმის თაობაზე, თუ როგორ ჩავაბათ პროცესში თავად ბენეფიციარები“.

—

კატარინა ბამბერგი, პოლიტიკის მრჩეველი, მიგრაცია და ინტეგრაცია, ქსელი „EUROCITIES“

„წინამდებარე ინსტრუმენტების კრებული სასარგებლო მითითებებს სთავაზობს პრაქტიკოსებს ინტეგრაციისა და ჩართულობის საკითხებზე. ეს მითითებები ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა გაძლიერება, თანაშემოქმედება, მრავალფეროვნების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და კულტურათაშორისი ურთიერთობა. რეკომენდებული საკითხავია მრავალკულტურული ქალაქების პროფესიონალებისა და მოხალისეებისთვის მთელ მსოფლიოში.“

—

ირენა გუიდიკოვა, ჩართულობის და ანტიდისკრიმინაციული პროგრამების უფროსი, ევროპის საბჭო

„ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს საინტეგრაციო პოლიტიკის ადგილზე წარმატებით აღსრულებაში, მაგრამ როდესაც საქმე აღსრულებაზე მიდგება, ისინი ხშირად მარტო არიან. UNHCR-ის სახელმძღვანელო ინტეგრაციის თემაზე ფასდაუდებელი ინსტრუმენტი იქნება ამ შემთხვევაში.“

—

ანტიე გროტეერი, რეგიონების საკითხებზე ევროპული კომიტეტის მომხსენებელი მიგრაციის და თავშესაფრის ახალი პაქტის თემაზე და გერმანიაში ქალაქ ბრემენის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

UNHCR-ის მანდატი: UNHCR-ის როლი და ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრულია UNHCR-ის წესდებით და დაზუსტებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით. UNHCR-ის წესდების თანახმად, მისი მანდატი გულისხმობს ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფას და მათთვის პერმანენტული გამოსავლების ძიებას. გარდა ამისა, UNHCR-ს დამატებით აქვს უფლებამოსილება მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებითაც, რადგან მას ამ მხრივ განსაზღვრულ როლს ანიჭებს „მოქალაქეობის შემცირების შესახებ“ 1961 წლის კონვენციის მე-11 მუხლი. ასევე, მას გენერალური ასამბლეის მიერ ეთხოვა მოქალაქეობის არქონის შესახებ 1954 წლის და 1961 წლის კონვენციების შესრულების ხელშეწყობა და მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილებისთვის ზრუნვა კანონმდებლობისა და პრაქტიკის საკითხებზე სახელმწიფოებისთვის ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურების გაწევით.

© UNHCR 2021